



# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული ორგანო.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne „LA PATRIE“

პარიზი. ნოემბერი 1932 წ.

№ 12

### შ ი ნ ა ა რ ს ი :

ნაწყვეტები ნაწერებიდან  
ილია ჭავჭავაძე  
რამ გვიხსნა და რა გვიხსნის  
28 აგვისტო  
საეკლესიო წყობა  
საქართველოს საერთაშ. უფლება  
საქართველო  
კავკასია  
უკრაინა  
თავისუფალი ყაზახობა  
ოსმალეთის რესპუბლიკა  
ემიგრაციაში  
ღია წერილი ბ. სპ. კედიას

ილია ჭავჭავაძე  
შ. ამირეჯიბი.  
ალ. ასათიანი  
გ. ჟურული  
რ. ინგილო  
ე. პ.  
\*\*  
დ. ვაჩნაძე  
ი. კოსენკო  
მ. ბალინოვი  
დონ-ვინი  
\*\*  
ცენ. ბიურო.

# საქართველო




საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული ორგანო.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne „LA PATRIE“

ნოემბერი. 1932.    :-:    **№ 12**    :-:    Novembre. 1932.

987-1



ი ჯ ი ა ზ ა ვ ზ ა ვ ა ძ ე

(1837-1907)



## ნაწევრები ილიას ნაწერებიდან

### სულიერი და ხორციელი

(1895 წ.).

ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხელის ნაწევრ-ნადავისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მადლარი მშიერს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქვეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაქმელად, უძლური ძლიერს გაუბრბის და ორნივ-კი—დამწვევიც და გამქცევიც—ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან—ხელი მომიმართეო.

ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზანი არსებობისა არა აქვს, თუ არ ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული, ვამბობთ, ჯოჯოხეთი იქნებოდა, რომ ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში სხივფენილ მადლსაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსანი ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნადავი კაცთა სანუგეშოდ და სასიქადულოდ. დიდ-ბუნებოვანობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, მის-მიერ გატანილ მადლის მეტ-ნაკლებობაშია. ეგ მეტ ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის, თუ მთელის ერის, კაცურ-კაცობისა, მისის შინაგან სიმაგრისა, ქვაკუთხედი მისის აღმატებულობისა. მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითეულ ადამიანისას, ისეც მთელის ერისას, და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა.

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურიტა ერთითა კოცხალ არს“. მართალია; მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფლის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს—სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე,—გვაში ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, საქაოსათვის მიანცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰლადადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს

იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის მამავლი.

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“—აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი,—ამ სისრულის გზაზე, ვინ რამდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის,—აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

## საახალწლო მიმოხილვა

(1892 წ.)

შემოვდგი ფეხიო, გწყალობდეს ღმერთიო, იძახის დღეს დაბადებული ახალი წელიწადი. გწყალობდეთ ღმერთი, ვიძახით ჩვენც და ზედ ვუმატებთ, ღვთის წყალობასთან ერთად წყალობა მიღოს ჩვენზე ჩვენმა მხნეობამაც, ჩვენმა გამრჯელობამაც და ფრთა-ასხმულმა სიყვარულმა ქვეყნისამ, დღეს-აქამომდე უქმი ქართველი საქმიან კაცად გარდაჰქმნას მისის ქვეყნის სასიხარულოდ და სასიქადულოდ.

ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალ-ღონე საქმის ქმნისა, და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენის ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველს იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ჰხადის მთელის ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსანს ხადილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე და თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს მოედნიდამა ასე თუ ისე, და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამავალითოდ და მადლობით მოსახსენებლად.

ეს ნატვრა, ეს ვედრება მით უფრო საჭიროა დღეს, რომ ეს ახალი წელიწადი დიდის იმედებით დაგვებადა და ბრწყინვალე იმედებითაც. ამ დიდს იმედებს დიდი მხნეობაც უნდა, დიდი ჭკუისა და გულის დადება, დიდი წინდახედული გარჯა და საქმიანობა.

წარსულმა წელმა, რომელიც ჩვენგან დიდის მადლობით მოსაგონია, ბევრი რამ უანდერძა ამ ახალს წელიწადს. ეგ წარსული წელი კარგა მსხმოიარე წელიწადი იყო ჩვენი ჭკუა-გონების და გულის სამოქმედოდ დაძვრისათვის და თუმცა თითონ ვერა მოიძკო-რა, მაგრამ იმიტაც სადიდებელია, რომ მოსავალი მოთესა, მოიყვანა და ახალ წელიწადს დაულოცა: აი მოგხან-მოვთესე, შენ მომკე და შეირგეო, ეხლა შენ იცი და შენმა გამრჯელობამაო, მე-კი გეთხოვები

სამუდამოდ და დასასრულ გეუბნები: რაც შევიძელი, იგი ვეძინო  
 მართალიც არის: რაც შეიძლო, იგი ჰქმნა, და ამასაც ვიტყვიც,  
 —ამისთანა საქმიანი წელიწადი ბევრი არ ჩამოითვლება ჩვენში ამ  
 ოთხმოც-და-ათის წლის მანძილზე. რა ჰქმნა ასეთი ამ განვლილმა  
 წელიწადმაო, იკითხავს მკითხველი. ისა ჰქმნა, რომ ორი დიდი ძალა  
 წამოაყენა ფეხზე ჩვენში, იმისთანა ძალა, ურომლისოდაც წარმატება  
 ერისა, მისი წინსვლა, მისი ბედნიერება, ჯანმრთელობა, დღეგრძე-  
 ლობა, ღონიერობა—შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ერთს ეძა-  
 ხიან ძალას თვითმოქმედებისას და მეორეს—თავის-თავის იმედისას.

დიაღ, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ  
 ხელ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს  
 მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელ-გამომავალი კაცი უყ-  
 ვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა,  
 რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარე-  
 ბულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ  
 და ვინც თავის-თავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის-თავის იმე-  
 დით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში—არსებობისა და საბატო  
 ადგილის დაჭერისათვის. მე თუ თითონ არა ვარ ჩემის ქვეყნისათვის,  
 ჩემის თავისათვისო, სხვა უფრო არ იქნებაო,—ამ აზრმა თავი იჩინა  
 საყოველთაო დასანახავად უფრო წარსულ წელს, ვიდრე სხვა დროს  
 როდისმე.

ამ თვითმოქმედებით და თავის-თავის იმედით დაწყებულ საქ-  
 მეთა ზოგიერთი მაგალითები წინა-წლების მეოხებითაც თვალ-წინა  
 გვაქვს. ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი—წერა-კითხვის გამა-  
 ვრცელებელი, დრამატიული, ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამ-  
 ხანაგობა,—ყოველივე ესენი ერთად და თვითეულად ცალკე ჩვენის  
 თვითმოქმედების, თავის-თავის იმედის შვილები არიან და, როგორც  
 ვხედავთ, თუმცა ტატიით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით  
 წინ მიდიან დღითი-დღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. ყო-  
 ველივე ეს მომხდარია ამ ოცს წელიწადში თითოობით, ხანდაზმო-  
 ბით, დროგამოშვებით, კანტი-კუნტად, ხოლო წარსულმა წელიწადმა  
 ერთბაშად მოგვიხნა და მოგვითესა უშველებელი ნაყოფიერი და ნო-  
 ყიერი დიდი მინდორი საეკონომიო მოქმედებისა, აქამდე უქმად დე-  
 ბული, დაუძრავი და ჩვენ მიერ თითქმის ხელუხლებელი. მომწიფდა  
 ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე  
 ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-  
 და-მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი  
 და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა  
 ჰგავს, და როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით  
 ვერ გაივლმს, ისეც ერი ქვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატე-

ბის საყვეარში ეს ორი უღლადი, ყოვლად-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შემზული ერთად და განუყრელად...

... აი, სხვათა შორის, რა საქმეები დასთესა წარსულმა წელიწად-მა ჩვენში და რა საქმეები უანდერძა ახალსა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ახალი წელიწადი კვლავ ისე პირნათლად გამოგვეთხოვოს, როგორც პირნათლად წარსული გამოგვემშვიდობა, და ყოველს ამისთანა საქმეს იმისთანა კაცები შეახვედროს, რომ ჩვენ, იმ კაცების ღვაწლის მნახველთა, თავი მოვიწონოთ ქვეყნის წინაშე და ვსთქვათ თამამად: ჩვენც კაცნი ვართ და არა-რა კაცებური არ გვეუცხოვება.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ასე მოხდეს, და მოხდება კიდევ, თუ არ დავივიწყებთ, რომ თვითეული ჩვენგანი—გლენია, თავადი, აზნაური, ქალი თუ კაცი,—სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ღვინაში განუყრელნი და განუყოფელნი. ამიტომაც სიკეთისათვის ბრძოლაში თვითოეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლულოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგანაც საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება.

## ქალი და დედაკაცი

(1898 წ.).

ქართველნი დედაკაცნი, დღეს თქვენთან მინდოდა პატარა საუბარი გამემართნა, მაგრამ პირველ სიტყვაზედვე ძალიან შევფრთხი, შევლონდი. აქ დედაკაცად გახსენეთ ჩვენი დედები, ჩვენი დები, ჩვენი მეუღლენი, ერთობ დიდი და პატარა დედათა სქესისანი და შევშინდი. ვაი თუ ეს სახელი ითაკილოთ, იუკადრისოთ, გვიწყინოთ. ვაი რა დრო მოვიდა, რომ კაცობით ხსენება დედათა სათაკილოდ გავვიხდა!..

ლევკი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადიო, უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია,—ძუ იყოს, თუნდა ხვადიო, ამბობს დღესაც გლენკაცი. მართალია, სწორია, ერთია, ამას ჰმოწმობს ჩვენი ქართველი ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედასაც კაცად ჰხდის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას—„მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთის სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება-კი ერთია, ორნივე კაცნი ვართ, ორნივე

ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვეგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო. სხვა რაა უდიდესი და უპატიოსნესი კაცობის სახელწედა ადამიანისათვის, რომლის სქესისაც გინდ იყოს! ჩვენო დედებო, ჩვენო დებო, ჩვენო მეუღლენო და ერთობ გასათხოვარნო, თუ გათხოვილნო, შეირჩინეთ ან შეგვარჩინეთ-კი ყოვლად პატიოსანი, მაღალ-მნიშვნელობიანი სახელი „დედაკაცობისა?“ ვაი რომ არა!..

ეხლა დედაკაცად თქვენი ხსენება საწყენია, სათაკილოა. ეს დიდი სახელი დაიფუყა, შეიკუმშა, დაბატარავდა. საგანი დადნა, დადნა სახელიც. დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია. მთა ბექედ გადაიქცა, მუხა ლერწმად, ზღვა წყაროდ, ადმიანი პეპელად. ცოდვა არ არის, სად დედაკაცობა და სად ქალობა!.. დღეს „დედაკაცი“ მდაბიოთა სახელი-ღაა, თითქო „კაციდედა“ მარტო მათ-ღა შერჩენიათ. დღეს „დედაკაცი“ რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსნს“ უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: მე ქალი ვარ და არა „დედაკაციო“, თითქოს ქართული „დედაკაცი“ და რუსული „მამა“ ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი!.. „დედაკაცი“ — ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი „ქალად“ დავადნეთ!.. ცოდვა არ არის „დედაკაცი“ დავკარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ!.. ეს რას ჰნიშნავს, წინსვლას, თუ უკან დაწევას? აბა დაუტკვირდით, დაფიქრდით...

ქალი და ვაჟი ყმაწვილებს გვიქვიან და არა მოზრდილებს, არა დამთავრებულს სულითა და ხორციით ადამიანებს, არა უკვე კაცამდე მოყრილს, კაცად დასრულებულს. როგორც კვირტი ჯერ ხილი არ არის, ისეც ქალი, ან ვაჟი, ჯერ კაცი არ არის. ქალი თუ ვაჟი ისევ მოზარდია, კაცი—უკვე გაზრდილი. ჩვენ აქ მარტო ხორციელ ასაკოვანობაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ სახეში გვაქვს ასაკოვანებაც სულისა, იმიტომ რომ მარტო ასაკოვანება სულისა ადამიანს კაცადა ჰხდის. სხვა ყოველი მარტო ქალ-ვაჟიანობაა და სხვა არაფერი, თუნდ ერთიცა და მეორეც ას-ასის წლისანი იყვნენ და შეილებ-გარშემორტყმულნი. ქალი გასათხოვარია, თუ გათხოვილი, შეილებიანია, თუ უშვილო,—მარტო სულიერ ასაკოვანებით მიაღწევს „დედაკაცობამდე“ და მინამ არ მიუღწევია, იგი ქალია და არა „დედაკაცი“.

ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს—„დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოდს სახლისას—„დედა-ბოდს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს—„დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს— „დედა-



აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც—„გუთნის-დედას“ დედენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!.. ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“!


ამიტომაც „დედაკაცის“ „ქალამდე“ ჩამოსვლა და „მამაკაცის“ „ვაჟამდე“—ცხენოსანის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცვლაა აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა. მამაკაცი კიდევ ბევრს არას დაჰკარგავს, რომ „ვაჟამდე“ ჩამოხდეს. ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კაცისა, „ვაჟი-კაციაო“. ქალს-კი ჩამოეცალა სახელი კაცისა. „ქალი-კაცი“ არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნება იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და თან ვერ ატარებს, ვერა ჰზიდავს „კაცის“ მძიმე სახელს. თუნდ ეგეც არ იყოს, აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას. ქალი ქალიღაა და თითქო არა კაცი. სად ქალობა და სად დედაკაცობა!.. ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის—სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალექწი, სარბიელია საომარი ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარ-ხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარ-ხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!..

ვაი რომ „დედაკაცი“ წავიდნენ, აღარა გვეყვანან და მარტო „ქალები“-ღა დაგვიჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა.

### რამ გვიხსნა, რამ შეგვაძლებინა?

„რა არ გადაგვხედა თავს, რა მტრები მოგვეყვან, ვაი-ვაგლახი, რა სისხლი, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივილია. რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გაუძელით, ყველას გავუმარდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოგვოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვლილ-შვილნი და მაინც გამოგვბრუნდით, მოვსულიერდით, ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვაგმეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვასრნეს, მოგველიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გაუძელით საბერძენეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარ-





სელებს, რჯულიანსა და ურჯულოს. დროშა ქართველობისა, მტრის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავადებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევეაგინებეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თავგმა დაგვიჭრას!.. დრო-ჟამი მას გვიქადის...

ყველა ეს შევიძელით და საკითხავად საჭიროა, რამ შეგვადლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მფრქვეველნი მამულისათვის რამლა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი რამ შეგვადლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვიხსნა! იმ დროთა ჩარხზედ გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოვფლადებულნი. იმ დროთა სამკედურში ნაჭედნი. „სიღბო გვქონდა ნაქსოვისა“, ვით ქრისტიანებს, „და სიმტკიცე ნაჭედისა“, ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. ხმლიანმა მტერმა ვერ დავვათმობინა; ვერ წავგართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანსა მტერს ვაუქძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ შევინახეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოესულმა ვერა დავაკლო-რა. შრომით და გარჯით, ცოდნით, ხერხით მოსეული-კი თან გავიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გავვიქრობს, გავვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოვიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან, თუ შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს, შრომა დავარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“.

## ი ლ ი ა ზ ა ვ ზ ა ვ ა ძ ე

ეგრედ წოდებული ნიჭიერი ხალხი, საქმეში მარჯვე და ბედითაც ხშირად სვიანი, ისტორიაში იშვიათი არ არის. უცხოვრიათ და უმოქმედნიათ როგორც სამსხვერპლო ცეცხლს, ლამაზისა და მწვავე ალით აღზნებულს, ხალხისათვისაც წინ და უკან კაკალი ბევრი უყრიათ, მაგრამ რომ წასულან—ჩამომავლობისათვის ცეცხლისა და ნაცარის მეტი არაფერი დაუტოვებიათ. ისტორიაში იშვიათი მხოლოდ ჭკვიანი კაცია. დიდი ღირსება ილია ჭავჭავაძისა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, იყო და დღესაც ის არის, რომ ის ჭკვიანი ქართველი იყო.

იმის სიკვდილის შემდეგ ოცდახუთმა წელიწადმა გაიარა. წლებია, როცა, როგორც მსოფლიოში, ისე ჩვენს პატარა ქვეყანაში, ამბებმა და ვითარებამ უმძაფრეს სიმაღლეს მიღწიეს. რამდენი ჰყავს მოწმე და მონაწილე იმ ამბავს, თუ „როგორ ამდღა საქართველო, როგორ დაეცა“, რამდენმა ქართველმა კაცმა გაიგო ხმა და სახელი, რამდენმა იმარჯვა, რამდენმა თითქოს კიდევაც ივარგა და საქართველოს მაინც ნატისუსალი ასდის! და მხოლოდ ისევ იღია ჭავჭავაძის უკვდავი სულია, რომ ამდენ გაცულებულ დოქტრინათა და წამხდარ კაი--ბიჭობის ნანგრევებში იძულებით ქვეშ მოყოლილი, მიუხედავად დიდის წყენისა და შეურაცხყოფისა, სიყვარულით საქართველოს ისევ აღორძინებისაკენ მოუწოდებს.

ილიას თხუზულებათა გამოცემის უბრალო ამბავმა, ჩვეულებრივმა ყველგან, სადაც კულტურა და განათლება რამდენსამე დღეს მაინც ითვლის, მაგრამ ფრიად ძნელმა ჩვენში, როგორც ჩამორჩენილ ხალხში, ნამდვილი სასწაული დაბადა. იმის თხუზულებათა ათი ტომი, სამწუხაროდ ჯერ კიდევ არა სრული და პოეტის ბიოგრაფიას მოკლებული, იმ მაღალ კვარცხელ-ბეკად იქცა, საიდგანაც ილიას მხნე და სულიერად ახოვანი სახე მთელი გონიერი საქართველოსათვის დასანახი ხდება. მას უბრუნდებიან არა მარტო ისინი, რომლებიც მას უწინაც იცნობდნენ, უნახავთ და თავისი ქართული სული და გული მისგან აღუზრდიათ, მის იდიურ სახისაკენ მიისწრაფის მთელი ის ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც ცხოვრებაში იმისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა, და ეს გასაგებია. იღია თვით არის განსახიერება ახალგაზრდობის, ახალი სიტყვის, ახალი აზრის, ახალი ენერჯის! თითქმის ყველა მისი შესანიშნავი თხუზულება და თუ თვით თხუზულება არა, მათი პირველი ვარიანტები, ესკიზები და გეგმები დაწერილია ასაკში, როცა იღია 22-25 წლისა იყო.

ამ ასაკში დაწერილ თხუზულებათა რიცხვს ერთი ისეთი ლექსიც ეკუთვნის, ჩემის აზრით, ილიას ლექსებში ყველაზედ უფრო ელეგიური, რომელიც, რამდენადაც მაგონდება, ძველს კრებულებში ყოველთვის არ იბეჭდებოდა. ლექსი 1858 წ. არის დაწერილი. მას აქვთ სამოცდაათოთხმეტმა წელმა განვლო. მაგრამ აბა ნახეთ როგორ არის შეფარდებული იმ გრძნობასთან, რომელსაც ბევრი რამის გამო და კერძოთ ილიას თხუზულებათა გამოცემის გამო, ქართველობა დღეს განიცდის.

დაე თუნდ მოვკდე, არ მეშინიან,  
 მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
 ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
 თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;  
 რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან,  
 ქართველმან, ჩემგან შეყვარებულმან,

გულწრფელობითა და სიმართლითა  
 მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:  
 იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!  
 შენ გიცოცხლია როგორც უნდოდა;  
 თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან—ჩრდილში  
 ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

ეს წინასწარმეტყველებას უდრის! ეს იმისგან „შეყვარებული“  
 ქართველი დღეს, მართლა, იმის საფლავზედ არის „დაყუდებული“. თუ საქართველოს პატიოსნობა სურს, დღეს მან „გულწრფელობითა და სიმართლითა“ უნდა სთქვას, რომ იმ იდიურ ბრძოლებში, რომელიც საქართველოს „ამაღლებას“ და „დაცემას“ წინ უსწრობდა, სიმართლე ილიას მხარეზედ იყო.

მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა, სწორედ აქ არის, საჭირო ითქვას, რომ თვით ილიას წინასწარმეტყველობა არა სურდა, თუმცა წინასწარმეტყველის ხატება დიდხანს აწკალებდა. 1857 წ. ის გოეტქეს „ბედა მქადაგებელს“ ა სთარგმნის, ილია ამ დროს ოცი წლისა იყო. ერთის წლის შემდეგ მეორე ამნაირსავე ლექს პუშკინისაგანაც სთარგმნის, ხოლო 1860 წ. მესამე ასეთივე ლექსი ლერმონტოვისაგან გადმოაქვს. ყოველივე ეს იმისი ნიშანია, რომ ილიას თავისი ხვედრი აწვალებდა და როგორც ერის მომავალ მეთაურს, წინასწარმეტყველის ხატება, მართლა, აფიქრებდა. როგორ გადასწყვიტა მან ეს საკითხი? იმავე 1860 წ. დაწერილი ლექსი „პოეტი“ გვიჩვენებს, რომ წინასამერტყველის ხატება ილიასათვის უკვე დაძველებული აღეგორია იყო.

ჩვენს უღმერთო დროში, იმაზე ადვილი არაფერია, როგორც ღვთისნიერი კაცის და წინასწარმეტყველის გაბეზრება. ამის საუცხოვო მაგალითს ჰინდო განდის ცხოვრება იძლევა. განდი ისეთის მოწიწებით დაჰყავთ ციხეში, ხოლო ინგლისი ამას სჩადის მუხლის ისეთი დაბალის ჩოქით მაღალ პრინციპების და საკაცობრიო იდეალების წინაშე; რომ მაღე აღარ გვეცოდინება, რომელია, ბოლოს და ბოლოს, აქ წმინდანი: განდი თუ მაკდონალდი? და ეს „ცივილიზაცია“ ილიას დროსაც ისეთი იყო, როგორც ჩვენს დროში. შამილი, კავკასიური ისლამის ეს იესო-ნავინი, ესე იგი, ერთსა და იმავე დროს მეომარი და წინასწარმეტყველი, ამავე გაბეზრებამ დაამარცხა. მიზეზი უბრალო იყო და ცივილიზებული! სად ვაგონილა, მართლა. რომ სამოცი წლის განმავლობაში, კაცი ერთსა და იმავე თოფს ისროდეს. ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა სამჯერ იცვალა იარაღი, წინასამერტყველებს ტენიკის პროგრესისა ნაკლებადა სწამთ... ილიამ ეს თავისი თვალით ნახა.

## II

ფილისტერები, პოეზიის ცუდი ჭაშნიკნი და ლექსების გიტა-

რაზედ გადამტანნი დღემდის ცილობენ—იყო თუ არა ილია ჭავჭავაძე ნამდვილი პოეტი? კაცმა რომ ეს საკითხი გადასწყვიტოს, ჯერ გიტარა უნდა შესცვალოს სხვა უფრო მაღალ ინსტრუმენტზედ.

ჭაბუკი ილია, ილია პოეტი და მაღალი პატრიოტული მოწოდებით ამხედრებული—წარმტაცი და ქართულ მწერლობის ისტორიის განუმეორებელი სახეა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მოძმედ ვიყო  
ქმუნვასა და სიხარულში!

ამბობს ის თავის „პოეტში“. ეს „ქმუნვა და სიხარული“, ეს ორი სიტყვა და ორი ცნება, უმეტესად მოპირისპირე ადამიანის ლექსიკონში, ეს ამ უცვალებელ მოვლენათა ორი ბორბალი, სამუდამოთ ცხოვრების ერთ ღერძზედ დატრიალებული და აქ ჯერ მხოლოდ რიტორულად თქმული, ილიამ შემდეგში თავის „განდეგილში“ განავითარა, საიდგანაც ცხოვრება ისე ცოცხლად გამოიყურება, როგორც ბუნება—სარკმელში, რად უნდა დავმალოთ! „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ და ვაჟა-ფშაველას გამოჩენამდე, „განდეგილი“ ის იშვიათი ქართული ქმნილება იყო, სადაც ცხოვრების პრობლემამ თავისი ლიტერატურულ-მხატვრული გამოსახულება ჰპოვა. სხვა დანარჩენი ჩვენს პოეზიაში ჯერ კიდევ მაღალ ლირიკას არ გადასცილებია.

ილია ჯერ მხოლოდ პოეტი და არა პუბლიცისტი უკვე პოეზიაშია ნათელი ალევორიების და კამკამა სახეების მიმდევარი, და ეს თვისება მისი საზოგადოთ ნათელი აზროვნების წინამორბედი. ჩვენში ცოტაა პოეტი, რომელზედაც გოეტჰეს სიტყვები არ ითქმოდეს:

... ჯანყით მოცული სიტყვის იქ ხარჯვა,  
სადაც ცნებანი მოისუსტებენ...

ილიას სიტყვა მუდამ გამჭრიახია. ის არასოდეს არ სცოდავს არა მარტო სიტყვის ამ „ჯანყ მოცულობით“, რომლითაც, პოეტების მსგავსად, წინასწარმეტყველნიც სცოდავენ, არამედ იმ ნება დართული ცოდვითაც, რასაც პოეტთა ცხოვრებაში „ლირიკული უწყსრიგობა“ ჰქვია. ამ კაცს ყველაფერში სამაგალითო წესრიგი ჰქონდა თავში, გულში, ჯიბეში. ილიას თვალში ადლი ჰქონდა. უცნაურია, რადგან, რაც ქვეყანა გაჩენილა, ადამიანებს ადლი ხელში უჭირავთ!

და ეს მისი პოეზია, ეს მისი პირადი ხასიათის თვისებანი ერთის პოლიტიკურის მწამსით იყო შეღებილი—ლიბერალიზმით. ამ ლიბერალიზმის სრული სინტენცია ილიამ „აჩრდილში“ მოგვცა. „აჩრდილში“ მოთავსებულია საქართველო და კაცობრიობა. კაცობრიობა როგორც ჰუმანიზმი! აქ ნაწილი მთელშია ჩასმული, პატრიოტიზმი—მსოფლიოში. ამ ლიბერალიზმს დღეს აუცი საქმე დაემართა. ჩვენ

თვალ წინ, ინგლისში, ის ამოიღრძო იმ ორ ხმელ ფიცარ შუა, რომელსაც ინგლისური კონსერვატიზმი და ინგლისური სოციალიზმი ჰქვია. მაგრამ ილიას დროს ჯერ კიდევ მიძღვრილად ჰკვებავდა თავისუფალ აზროვნებას. ამ ლიბერალიზმში ჩვენთვის უფრო საყურადღებო ის არის, რომ ილიასათვისაც და საქართველოსთვისაც მას კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. ბატონ-ყმობის გადავარდნას ქართველი ლიბერალები ითხოვდნენ როგორც ადამიანთა შორის თანასწორობის დამყარებას და არა როგორც პანაცეას, რომელსაც ამ თანასწორ ადამიანთა შორის სრული სამოთხე უნდა ჩამოეგდო. მეორე მისი თვისება ის იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა მასში თავისუფლად ეტევეოდა. ეს მხოლოდ შემდეგ იყო, რომ ჩვენში ისეთი სოციალ-პოლიტიკური თეორია გაჩნდა, რომელშიაც ეს იდეა ვერას გზით ვერ ჩაეტია. მაგრამ ქართულ ლიბერალიზმში ის თავისთავად იგულისხმებოდა. როგორი იყო ილიას ეს ეროვნული მრწამსი?

პირველი ვარიანტი ამ მრწამსისა ილიამ თავის „მგზავრის წერილებში“ მოგვცა. როგორც ბევრი რამ, ილიას კალმისაგან გამოსული, ეს პატარა ნაწარმოებიც საესეა ჰკუთხთ და მალალ ლიტერატურული ღირსებით, სადაც რთულ საგანზედ საუბარი ასეთი მარტივის ცნებებით და ასე ხელ-დადებით სწარმოებს. ილიამ რომ საესებით იმ ნიადაგზედ დარჩენილიყო, რომელზედაც მისი მოხევე სდგას, ილია ემსგავსებოდა განდისაც და შამილსაც. განდის—რადგან მას ინგლისელობა არ უნდა, შამილს—რადგან არც მას უნდოდა რუსობა. ასეთია ილიას მოხევეც!—რას მიქვიან შენი ქართული ლაპარაკი, რას მიქვიან შენი ქართული გული, შენ მითხარი ტალავარ როგორი გაცვიო? ამბობს იგი. რას იზავ! ძველის-ძველი ხერხია სხვადასხვაობის გამოსაცნობლად. ხეს ფოთოლით არჩევენ, პირუტყვს ბეწვით, ერებს ტანისამოსით! მაგრამ ილია, რომელსაც რუსობა ისევე არ უნდოდა, როგორც მოხევეს, საესებით ამ ნიადაგზედ ვერ დადგებოდა. ევროპელობა მაინც საერთო და რალაც სავალდებულო ცნება იყო იმისთვის. სიტყვა „ევროპეიზმი“ ჩვენში იმისი შემოტანილია. „ტალავარზედ“ რომ არაფერი ვსთქვათ, ის ხომ უცილო იყო, რომ ერთი სარწმუნოება ხშირად მრავალ სხვადასხვანაირ ერს აერთებს! მოხევე და ილია ისე გაშორდნენ ერთმანეთს, რომ პირველს რუსული „ტალავარ“ არ ჩაუცვამს, მეორეს ევროპეული არ გაუხდია. მაგრამ შეხვედრა დიდი იყო! ასეთი შეხვედრანი იშვიათია და მხოლოდ ეპოხათა სამზღვარზედ ხდებიან. ძნელია გადაჭრით ითქვას, ვინ არის აქ მართალი და ვინ არა? მაგრამ ილიამ რომ სწორედ ამ ევროპეულმა „ტალავარმა“ დაამარცხა, თითქოს მართალსა ჰვავს. ეს იყო მარქსიზმი, რომელიც ისევე ჩქარა მოჰყვა ლიბერალიზმს, როგორც მერცხალს სხვა უფრო დიდი და მტაცებელი ფრინველი.

ქართველ ლიბერალებსა და ქართველ მარქსისტებს შორის წარმოუდგენელი სხვადასხვაობა აღმოჩნდა. ადამიანთა შორის განსხვავებას რომ ბოლო მაინც აქვს და ბოლო მხოლოდ ადამიანთა შორის მსგავსებას არა აქვს, ეს მხოლოდ ილიამ იცოდა და არა ქართველმა მარქსისტმა.

სარწმუნოებრივმა ომებმა, რევოლუციებმა და პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლის ისტორიამ ადამიანები იმ მანენ აზრს შეაჩვია, რომ მოწინააღმდეგეთა შორის მსგავსება არაფერში არ უნდა არსებობდეს. კაცობრიობის ამ დაკა-დაკასა და შფოთვის ისტორიაში, სტალინი თითქმის ერთად-ერთია, რომ თავის მოწინააღმდეგეს ჩეკაში გზავნის, მაგრამ თითონ ისე იქცევა, როგორც მოწინააღმდეგე ფიქრობს. ასე არ ფიქრობდნენ „მესამე დასელები“ ილია ჭავჭავაძის დროს, იმათ ეგონათ, რომ არამც თუ ესლა, შემდეგშიაც არ დადგებოდა ისეთი დრო, რომ ჭავჭავაძესთან და მის აზრებთან საერთო რამე ჰქონდათ. ცხოვრებამ მწარედ დასცინა მათ... შემდეგში სწორედ იმის კეთება მოუხდათ, რასაც ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა, მაგრამ საამისო აღარც თავი ჰქონდათ, არც გული, არც უნარი!

ილიას მთავარი შეხედულება, იმისი თავი აზრი ცხოვრებაზედ გამოიხატა იმ დებულებაში, რომ იდეა სავსებით თავიდან გამოსული და ცხოვრების დასტური ის ორ თვალი არ იყო, ასეთის გამოზომილებით, ერთის ცხვირის გარშემო დალაგებული, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ წარმოდგენას იდეალურ სიმეტრიად მიაჩნია; კაცი თავისი „წინწასული“ სურვილებით და ცხოვრება თავისი გვიანი დასტურით, ძალიან ხშირად, ასე თუ ისე, ასიმეტრული მოვლენანი არიან. ის, რასაც თავშეუდებელი პროგრესისტები ცხოვრებაში და აზროვნებაში „რეაქციას“ უძახიან, ხშირად ამისი ნაყოფია.

შ. ამირჯიბი.

## რამ გვიხსნა და რა გვიხსნის?

კაცობრიობას იშვიათად უხილავს თავის ისტორიულს გზაზედ ისეთი მძლავრი გარდატეხების ხანა, როგორსაც ის განიცდის ამ უამად. სულ ოციოდე წლის მანძილზედ ფრიად გამოიცვალა ხალხთა ურთიერთობის წესები, მათი საერთაშორისო თუ შინაური ეკონომიური ვითარება, ხალხთა პოლიტიკური წყობა და, ყოველივე ამის მიხედვით, საზოგადოებისა და პიროვნების ქონებრივი და სულიერი ცხოვრება, აზროვნება და ზნე-ჩვეულება.

არც ჩვენს ყოვლის მნახველს მატთანეს ახსოვს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ეგზომ ყოველ-მხრივი შერყევა, მონობა ეროვნული და პიროვნული, ნგრევა და რბევა ქონებრივი, სულიერი, ზნეობრივი.

თვით ცხოველური თავდაცვის ინსტიქტი უკარნახებს ჩვენს, როგორ ცოცხალს არსს, თავის არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას, და ისიც იბრძვის მტკიცედ და მედგრად. მაგრამ მძიმე და მწარე ეს მონობა და ასევე მისი გადაადგებისათვის ბრძოლა. ყველა ვერ გაუძლებს მას, ყველა ვერ აიტანს მის სიმძიმეს და აი ნადავი ზოგთა, სულიერად დაძაბუნებისათვის, ზნეობრივად დაქვეითებისათვის. საბედნიერთდ ჩვენი ერი დიდის მხნეობითა და სიმტკიცით იტანს ასეთს მწარე ხვედრს. ის არ ჰკარგავს თავის სახეს, თავის ღირსებას და სულიერად დაძაბუნებულთა და დაქვეითებულთა რიცხვი ფრიად მცირეა მის რიგებში. და რამდენად უფრო მძიმეა ჩვენი ცხოვრების პირობები, მით მეტი ზრუნვა გვმართებს ამ სულიერი მხნეობისა და ზნეობრივი სიმტკიცის დაცვისათვის. უამისოდ ჩვენ ვერ შევიწარჩუნებთ ადამიანურ მეობას და ეროვნულ სახესა და ღირსებას, იმ საშინელს ქართველში, რომელშიდაც მოჰყვა ყოველი ქართველი და მთელი ერი. ზოგთა სულიერს დაღლილობასა და ზნეობრივს დაძაბუნებას სხვათა სიმტკიცე, მხნეობა და გამძლეობა უნდა ჰფარავდეს, ვინაიდან ეს გონებრივი და სულიერი ძალაა რომ ანსხვავებს ადამიანს პირუტყვიდან და ერს ცხოველთა ჯგოვიდან. და ეს თვისებებია ადამიანთა ცხოვრების მთავარი ძალა და არა კუნთები და ცხოველური ინსტიქტები, რომელიც ბევრს პირუტყვეს უფრო მძლავრი აქვს და განვითარებული, ვიდრე ადამიანს.

გონებრივი, სულიერი და ზნეობრივი ფაქტორია, რომ ჰქმნის პიროვნულსა და ეროვნულს ძალას, ყოველთვისა და ყოველგან, მშვიდობიანი ცხოვრებისა თუ მძიმე ბრძოლების ჟამს. მაგრამ ადამიანი, როგორც დიდრომ სთქვა, საზოგადოებრივი ცხოველია და თავის ადამიანურ თვისებებს საზოგადოებრივი გზით აწვითარებს—სწავლა-გაწვრთნით, ერთმანეთის მიბაძვით, ერთმანეთზე ზედგავლენით, ერთმანეთის გამხნევებით, წაქეზებითა და დახმარებით. მაგრამ არა მცირე მნიშვნელობა აქვს ამ სულიერ ძალის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის წარსულ თაობათა მაგალითებს. სახელოვან წინაპართა სულიერ მემკვიდრეობას, სამშობლოსათვის ნაამაგართა და მისთვის თავდადებულთა საფლავებიდან ამოძახილ ხმას, მათი უკვდავი საქმისა და სიტყვის მოგონებას.

## II

25 წელი შესრულდა დიდი ილიას გარდაცვალების დღიდან. ყველაზედ ღირსეული აღნიშვნა იქნება ამ წმინდა ხსოვნისა, უკეთუ მოვიგონებთ ამ უდიდესი ქართველის განუზომელ ღვაწლს ჩვენი ერის წინაშე, მის ცხოვრებას, დაუღალავი შრომით აღვსილსა და მოწამებრივ სიკვდილით დასრულებულს, მოვიგონებთ და გონებით შევიგნებთ, ხოლო გულით შევიყვარებთ და სამარადისოდ დავიმ-

კვიდრებთ ჩვენს სულში, როგორც ეროვნული საქმის საამაყი მასა და საკვირველ მაგალითს. მაგრამ ამ დიდი ხსოვნის შეხება და მოგონება დიდის მორიდებითა და მოკრძალებით გვმართებს. მას არ შეჰფერის მყვირალა სიტყვები და იაფ-ფასიანი აზრები. უფრორე არ ეკადრება მას, ცოცხალთა წვრილმან ანგარიშებში დახურდავება, ამათი ღვარძლისა და გესლის სანთხველად, თუ საკეკლუცოდ და საპრანჭიოთ გამოყენება. დარბაისელი მორწმუნე რომ გადაავლებს თვალს თავის მორთულობას საყდარში შესვლის ჟამს, რომ ფეხით, ან სამოსელით ტალახი რამ არ შეიტანოს წმინდა ტაძარში, ისევე დიდი მამულიშვილის სულიერი ხსოვნის პანთეონის კარის შეღების დროს საჭიროა გონების თვალის გადავლება და გადასინჯვა იმ აზრისა, იმ სიტყვისა, იმ ზრახვებისა და განცდისა, რომელიც მიგვაქვს დიდი ხსოვნის სამსხვერპლოზე, ვით ცოცხალთა წმინდა ვალი და ზვარაკი.

დიდი ილიას ღვაწლი საკმარისად არ ჰქონდა შეგნებული და დაფასებული მის დროინდელ ქართულ საზოგადოებას, და ეს ბუნებრივია. დიდი საქმისა და დიდი მოღვაწეობის გაგებასა და შესისხლხორცებას სათანადო დრო სჭირია და მომზადება. ჩვენმა თაობამაც ვერ დაძლია ეს დიდი მემკვიდრეობა. ხუთი წლის წინეთ რომ ვცადეთ ამ დიდი მოღვაწეობის მთლიანი დაფასება და გამოვთქვით აზრი, რომ ილიას ყველა ქართველი იცნობს, როგორც დიდს პოეტს, მაგრამ უპირველესად ყოვლისა ის არის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, ახალი ქართული პოლიტიკის მამამთავარი და პოეზია მხოლოდ იარაღია მისთვის, ეს ბევრს ეუცხოვა. ამის შემდეგ გამოვიდა ილიას ნაწარმოებთა სრული გამოცემა, რომელიც ამ აზრს საყოველთაოდ ნათელ ჰყოფს. ამიერიდან ყველა დაინახავს ნათლობრივ, რომ ილია საქმითა და სიტყვით ემსახურებოდა ქართულ ეროვნულ იდეას, ქართულ მწერლობას, ქართულ სკოლას, ეკლესიას, თეატრს, სასოფლო მეურნეობას, მრეწველობას, და ჩვენი ეროვნული ცხოვრების ყველა ამ დარგებში ზოგან საქმით იყო პირველი, და ზოგან კიდევ აზრითა, სიტყვითა და გეგმით. ილიამ გავაცნო ჩვენი ეროვნული ცხოვრების ყოველი მხარე, ყოველი მისი საჭიროება, ჩვენი ერის სუსტი და ძლიერი თვისებები, მის მიერ განვლილი ისტორიული გზები, წარსულის ანდერძი და მომავალის ამოცანები, და სამარადისოდ დარჩება ის ქართველი კაცის უდიდეს მრჩეველად და მასწავლებლად.

დიდმა ილიამ და სახელოვანმა მისა თანამებრძოლებმა დაუმუშავეს ქართველ ერს ეროვნული ცხოვრების საღს ნიადაგზედ აშენების გეგმა და მის განხორციელებას შეალიეს მთელი თავისი სიცოცხლე. ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენისა და მისი თანამედროვე დაწინაურებულ ერთა უფლებრივსა და ხალხოსნური პოლიტიკის საფუძვლებზე დამყარების გეგმა.



ასეთი ეროვნული ყოფის დამკვიდრებისათვის საჭიროა თანამედროვე ვითარების შესაფერისი „ცოდნა, ხერხი და გარჯა, ახალი ცხორების ახალი იარაღის შექმნა“. ამ ეროვნულ საქმესა და მუშაობას თავისი შინა ბუნება აქვს, თავისი სული და მორალი. ეროვნულს ასპარეზზე ჩვენი შრომა და გარჯა მხოლოდ მაშინ მოგვეცემს სასურველ შედეგსა და ნაყოფს, „უკეთუ არ დავიფიქსებთ, რომ თვითელი ჩვენგანი, გლენია, თავადია, აზნაური, ქალია თუ კაცი, სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი, მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს პლოცულობს, რადგან საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება“.

ასეთია ილია ჭავჭავაძისა და მისი დროის პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და მოღვაწეობის დედა-აზრი და მორალი. ის მოითხოვს ეროვნული საქმის, ეროვნული პოლიტიკის აშენებას მთელი ერისა და მთელი ხალხის ინტერესებზე და მის წარმოებას ეროვნული მთლიანობის, ეროვნული ერთობის გზებით. ეს აზრი არ იყო საკმარისად ფეხ-მოდგმული და განმტკიცებული ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის ხანაში და სწორეთ აქ არის იმ დროინდელ ყველა ჩვენი მარცხების მთავარი მიზეზები.


### III

და როდესაც ჩვენი ერი თავგანწირულად იბრძვის ეროვნულ თავისუფლების დროშის ქვეშ, რომელიც აღმართა დიდმა ილიამ; როდესაც ეგზომ გაგვიძიმდა ეს ბრძოლის საქმე და გვეშინიან, რომ სხეულებრივმა და სულიერმა სიმტკიცემ არ გვიღალატოს, არ დაეცაბუნდეთ, არ დავეცეთ და ძირს არ დავხაროთ უამრავ თავდადებულ მამულიშვილთა სისხლით შეღებილი ეს ბრძოლის დროშა, და როდესაც ცოცხლებს გვესაჭიროება ჩვენი ეროვნული საქმისათვის თავდადებულთა დიდი მაგალითით გამხნეება და სულიერად გამაგრება, ვინ მოგვაშველებს ჩვენ ამ ზნეობრივ ძალას, თუ არა ის, ვინც პირველად აღმართა ახალს საქართველოში ეს ეროვნული თავისუფლების დროშა და მას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე? და დიდი ილია სამარიდან გვაწვდის გამამხნეებელ სატყვას: „რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები მოგვსევინ, ვაი-ვაგლახი, რა სისხლი, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გაუძეულით, ყველას გაუმაგრდით, შევიწახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი... გაუძეულით საბერძენეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს, დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და

ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირ-  
ჩინეთ, არავის წავალებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევავინე-  
ბინეთ!“.

ყველა ეს შევიძელით და საკითხავად საჭიროა, რამ შეგვაძლე-  
ბინა, რამ გვიხსნა, რამ გვიშველა, ჰკითხულობს დიდი ილია და  
გვიპასუხებს: „მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო  
მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ხმალი უნდოდა, ხმლის ჰედვა  
ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით“.  
ჩვენი ერი კვლავ ამ ბრძოლის ასპარეზზეა და სადაც ეს ბრძოლის  
ხერხი იყო საჭირო, მხნეობა და თავდადება, ეს მას არ დაჰკლებია.  
მაგრამ ახალი ცხოვრება, ახალს პირობებში ბრძოლა და მოქმედე-  
ბა, ახალს ცოდნას და ახალს ხერხს მოითხოვს, და დიდი ილია ამი-  
სკენ მოუწოდებს ჩვენს ერს. საუკუნეთა მანძილზედ შეძენილ თვი-  
სებებს ჩვენმა ერმა უნდა შეჰმატოს ახალი ცხოვრების პირობათა  
გაგება, ახალი ცხოვრებისათვის საჭირო გარჯა, ცოდნა და ხერხი  
და ეს გვიშველის, ეს გვიხსნის, ეს შეგვინახავს ეროვნულ სახეს,  
ეროვნულ არსებობას.

დიდი ილიას ასეთს დასკვნებს შევსება და განმარტება ესაჭი-  
როება. გაუძელით რომს, საბერძნეთს, არაბებს, სპარსელებს, და  
მრავალ სხვებს, ვინაიდან ჩვენ გვქონდა იმ დროისთვის საჭირო ცო-  
დნა და ხერხი, მაგრამ ეს ცოდნა და ხერხი ჩვენს მტრებსაც არა ნაკ-  
ლებათ ჰქონიათ და ამასთან ერთად მათს მხარეზე იყო რიცხოვრი-  
ვი ძალა და მრავალი სხვა უპირატესობანი. უთუოდ ჩვენს ერს მოე-  
პოებოდა კიდევ სხვა რამ ძალა, რომელიც მის მტრებს მაზედ ნა-  
კლებათდ ჰქონდათ განვითარებული. თუ ჩვენ არ მივიღებთ და არ  
ვიწამებთ ამ ფაქტორის არსებობას ჩვენს ცხოვრებაში, თუ ჩვენ ამ  
ძალასაც არ ჩავრიცხავთ ჩვენი ისტორიის ანგარიშში, ისე გაუგება-  
რი დარჩება ჩვენთვის ჩვენი წარსულის მრავალი მოვლენანი და  
მთლიანად ჩვენი ერის მიერ განვლილი გზა. უამისოდ ძნელი ასახს-  
ნელია, და ძნელი გასაგებია, რომ ჩვენმა ერმა გაუძლო მრავალ  
შავბნელ საუკუნეთ, რომელიც ვერ აიტანეს მრავალმა სხვა, მაზედ  
უფრო დიდმა ერებმა? ასევე ძნელად გასაგები იქნება, რომ დავით-  
თამარის ეპოქიდან დაწყებული საქართველო უმთავრეს როლს თა-  
მაშობდა იმ მსოფლიო ბრძოლაში, რომელიც ისლამურ აღმოსავ-  
ლეთის ქრისტიანულ დასავლეთზე ცეცხლითა და მახვილით გალა-  
შქრებაში გამოიხატებოდა, და უკეთუ საქართველოს ფაქტორი არ  
ყოფილიყო ამ ბრძოლაში შვიდი საუკუნის მანძილზე, სულ სხვა  
იქნებოდა ამ ჟამად ევროპის პოლიტიკური რუქა. რით აიხსნება,  
რომ როდესაც სისხლისაგან დაცლილი საქართველო რუსეთის ხელ-  
ში ჩავარდა, ჩვენი ერის სულ მცირე ნაწილი ჩაება საერთო რუსე-  
თის პოლიტიკურ ცხოვრებაში, და უმთავრესად სამხედრო საქმეში,



და აქ ეს წრე გაცილებით მეტს როლს თამაშობდა, ვიდრე ეს მის რიცხვობრივ ძალას შეეფერებოდა ისევე, როგორც წინეთ ოსმალეთსა თუ სპარსეთში? ასევე ხდება მემარცხენე რევოლუციური პოლიტიკის სფეროშიც; რუსეთის პირველი რევოლუციის ხანაში რუსეთის პოლიტიკაში ჩამხულ ქართველთა რიცხვი გამრავლდა და აქაც მისი მნიშვნელობა გაცილებითი უფრო დიდი იყო, ვიდრე ეს მის რიცხვობრივ ძალებს მოეთხოვებოდა. ასევე იყო მეორე რევოლუციის დროს და ასევეა დღესაც, როდესაც მთელს მსოფლიოზე დაპირდაპირებულ საბჭოთა რუსეთს ფაქტიურად ქართველთა მცირე ჯგუფი მეთაურობს. მცირე რიცხვთან ქართველ სოციალისტთა წარმომადგენელი ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, აკ. ჩხენკელი უთუოდ არა სოციალისტური თეორიის ცოდნით უსწრობდენ წინ დიდი რუსეთის სოციალისტებს პლენანოვს, დანს თუ ჩერნოვს და ასევე სტალინი, ორჯონიკიძე და ენუქიძე არა კომუნისტური ცოდნით სჯობნიან ტროცკის, ბუხარინსა და ბოგდანოვს. უნდა მივიღოთ, როგორც უდავო სინამდვილე, რომ ამ ქართველებს, ძველებს თუ ახლებს, არა სოციალისტებსა, სოციალისტებს თუ კომუნისტებს გარდა იმ თვისებებისა, რომელიც სხვა ერთა შვილებსაც მოეპოებოდა, გარდა იმ ცოდნისა, რომელიც სხვებსაც არა ნაკლებად ჰქონდა, მოეპოებოდა კიდევ რაღაც სხვა ქართველური ძალა და თვისებები სხვებზე უფრო ძლიერი და განვითარებული. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ მრავალ დიდსა და პატარა ერთა შორის, რომელნიც კომუნისტურ რუსეთის მონობას განიტდიან, ქართველი ერი სხვებზე მეტს გამძლეობასა და სიმტკიცეს იჩენს ამ მონობის გადაგდებისათვის წარმოებულს ბრძოლაში და ასევე მისი ემიგრაცია მეტს ძალას იჩენს და მეტს მხნეობას სხვა ერთა უფრო მრავალ რიცხვთან ემიგრაციათა შორის.


უნდა ვიწამოთ, რომ სწორეთ ამ თვისების მეოხებით, სხვებთან თანაბარ პირობებში, ქართველმა ერმა მეტი შესძლო, მეტი აიტანა, მეტი როლი ითამაშა და უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ასევე იქნება მომავალში. იტყვიან, ეს ქართული მესიანიზმიო. ასედაც რომ უწოდოთ, ეს მესიანიზმი არ არის გრძნობებსა და ოცნებებზე დამყარებული იმედი, არამედ აზრი, უდავო ისტორიულს ფაქტებისა და სინამდვილეზე დაფუძნებული. ვიტტე ამბობს თავის მოგონებებში, რომ ქართველებს, მრავალ ნაკლთან ერთად, მოეპოებათ რაღაც ისეთი რამ რაინდული თვისებები, რომელთა შემწეობით ისინი დიდად წინაურდებიან ცხოვრებაშიო. რა თვისებებია ეს თვისებები, რომელნიც ქართველს სხვებზე უფრო აქვს განვითარებული? ეს არის პიროვნული და საზოგადოებრივი ღირსება, მისი შეგნება, მისი სიყვარული, სულგრძელობა, თავმოყვარეობა და სიამაყე. ასეთი თვისებები განსაკუთრებულ ხასიათს და სულსიკვეთებას

ჭკნის, განსაკუთრებულ ამბიციას. მართალია ეს ამბიცია ფრიალ ვენა და საზარალო პიროვნებისა, თუ ერისათვის, როდესაც ის ჭკუით და გონებით არ არის დაფარული და დამორჩილებული. ამ შემთხვევაში ის სიმსუბუქეა, მკვებარობა, პრანჭიაობა. მაშინ ის წყაროა სულმოკლეობის, მოუთმენლობის, უანგარიშობისა და ყოველმხრივი სიმჩატის. მაგრამ როდესაც ეს დაწინაურებისა და მალა აწევის სწრაფვა, ეს თავმოყვარეობა და სიამაყე, გონიერებისა და ჭკუის ძალას არის დამორჩილებული და იღვით აღზნებული, ასეთი ამბიცია უდიდეს, მამოძრავებელ სტიმულად იქცევა. ის დაუშრეტელი ცეცხლია პიროვნებისა თუ ერის ყველა ძალთა გამზრდელი და გამდიდებელი. ის სხეულებრივ ძალას ჰმატებს მას და ენერგიას, ის მას მხედველობასა და გამჭრიახობას უწვითარებს, რომ მუდამ ფხიზლათ იყვეს და მარავად, რათა წინსვლისა და ამალეებისათვის ყველა ხელსაყრელი პირობები გამოიყენოს და ხელიდან არ გაუშვას, ხოლო სანამ ეს პირობები არ დადგება, სულგრძელობა გამოიჩინოს და მოთმინება, რათა გაუძლოს და აიტანოს ცხოვრების ის მძიმე პირობები, რომელთა შეცვლა მის შესაძლებლობაზე არ არის დამოკიდებული.


ჩვენი ეროვნული ნაკლი და სუსტი მხარეები მუდამ უნდა გვახსოვდეს და მუდამ უნდა ვზრუნავდეთ მათი გამოსწორებისათვის. მაგრამ ჩვენი ეროვნული ეს კარგი თვისებებიც მუდამ მხვედველობაში უნდა გვქონდეს და მათი განვითარებისათვის უნდა ვიღწვოდეთ. ეს საჭიროა ყოველთვის და ყოველგან, კერძო თუ საქვეყნო საქმეში, მშვიდობიანი მოქმედებისა თუ ცხარე ბრძოლების დროს.

#### IV

მაგრამ ჩვენი ეროვნული მიზნებისა და სალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამყარების საქმე მარტო ჩვენ შინაურ ძალებზე არ არის დამოკიდებული. როგორია ეს ჩვენს გარეშე მყოფი პირობები და გარემოებანი? ჩვენ გვქონდა ფრიალ ხელსაყრელი პირობები ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის ხანაში და ის ვერ გამოვიყენეთ ჩვენი პოლიტიკურად მოუშაადებლობის მეოხებით. მოსალოდნელია თუ არა ასეთი ხელსაყრელი ვითარების, მახლობელ ხანაში კვლავ წარმოშობა და განმეორება? საბჭოთა რუსეთი უდიდესი მსოფლიო ძალაა, დიდი რუსეთი და პატარა საქართველო, ესეც უდავო ფაქტია. მაგრამ ასევე უდავო სინამდვილეა ისიც, რომ ეს ახალი დიდი რუსეთი არ არის დამკვიდრებული მტკიცე და საიმედო საფუძვლებზე, რომ ის დიდია და მძლავრი უფრო გარეგნულად, ვიდრე შინაარსით, რომ ძველი რუსეთის იმპერია უკვე ისტორიას ეკუთვნის და მის კვლავ აღდგენა და განმტკიცება შეუძლებელია მისი ცხოვრების რეალურ და უდავო ვითარებათა მიხედვით. განსაკუთრებულ პირობათა მეოხებით წარმოიშვა ის ძველი



რუსეთის იმპერია და ეს პირობები ამიერიდან აღარ არსებობენ. ძველმა რუსეთმა პოლონეთის ნაწილი ჩაიგდო ხელში ევროპის დიდ სახელმწიფოების დახმარებით, ხოლო უზარმაზარი ციმიბიო სრულიად უპატრონო იყო, უკრაინა, ყაზახთა ქვეყნები, კავკასია და თურქესტანი—სახელმწიფოებრივად მოუწყობელი და დაულაგებელი. ჩვენი ქვეყანა, საქართველო—კი განაწამები და დაუძლურებული იყო უკანასკნელ საუკუნეთა დაუსრულებელი შემოსევებითა და ომებით. რუსეთმა ადვილად დაიპყრო და შემოიერთა ეს ქვეყნები, მაგრამ მას არ ეყო შემოქმედებითი ძალა, დიდი იმპერიის მტკიცე საფუძვლებზე შედგულებისა და გაერთიანებისათვის. რუსეთის იმპერიის ერთობა უმთავრესად ორს ფაქტორს ემყარებოდა. ერთი იყო რუსული ბიუროკრატია და მეორე მოსკოვის და ლოდის მრეწველობა. რუსეთი განაპირა ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას აფერხებდა და გზას უკეტავდა. ამ ქვეყნების ნედლი მასალა მას რუსეთის ცენტრში მიჰქონდა და გადამუშავებულ საქონელის სახით უკანვე აბრუნებდა. ბოლშევიკური რევოლიუციის შემდეგ რუსული ბიუროკრატის ადგილი კომუნისტურმა პარტიამ დაიკავა, მაგრამ მოსკოვისა და ლოდის მანუფაქტურის ცენტრალური ფაქტორი მოისპო. ბოლშევიკები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ განაპირა ქვეყნების ეკონომიურ ინტერესებისათვის და ცენტრში დაგროვილი ქარხნების დიდი ნაწილი უკრაინასა, თურქესტანში და კავკასიაში გადაიტანეს და არ არის შესაძლებელი, რომ ამ ქვეყნებში დაწყებული წარმოებები ვინმემ უკანვე დააბრუნოს. ბოლშევიკები იძულებული გახდნენ ამ ეკონომიურ დეცენტრალიზაციასთან ერთად მოეხდინათ საკმაოდ მნიშვნელოვანი კულტურული და ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია. არა მარტო უკრაინა, კავკასიის ერები და თურქესტანი, არამედ კალმიკები და კირგიზებიც თავის მშობლიურ ენაზედ აწარმოებენ თავის ადგილობრივ საქმეებსა და მით ეროვნულად მოწყობისათვის საჭირო მუშაკთა კადრს ჰქმნიან. ბოლშევიკები იძულებული გახდნენ გაეხსნათ ამ ქვეყნებში დაბალი და ზოგან უმაღლესი სასწავლებლებიც. რა ჰქონდათ მათ მიზნათ, რას ჰფიქრობდნენ, ეს სხვა საკითხია, ხოლო სინამდვილე და უდავო სინამდვილე ის არის, რომ ამ ბოლშევიკურ ხანაში მოხდა რუსეთის იმპერიის უდიდესი ეკონომიური და კულტურული დეცენტრალიზაცია, ამ ქვეყნების ქონებრივად და კულტურულად მოსკოვიდან განშორება და განცალკევება, რასაც ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის და ვერ შეაბრუნებს, ვინაიდან ის ამ ქვეყნების სავსებით რეალურ ინტერესებზეა დამყარებული. ლენინმა რომ კიდევ შეინარჩუნა რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერაციის სახელი, ხოლო სტალინმა ეს რუსეთის სახელიც მოხსნა და მის ნაცვლად სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის სახელწოდება




შემოიღო, ესეც საყურადღებოა და ის საცხებით უპასუხებს შექმნილს ვითარებას. ასევე საგულისხმოა, რომ იმავე სტალინმა ერთს პარტიულს ყრილობაზე უარყო პრინციპიულად რუსული ენის პრივილეგიური მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, თუმცა ამის განაღდება საფასობით რასაკვირველია არ მომხდარა.

უდავო და ურყევი სინამდვილეა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ველიკოროსიიდან დაშორება ეკონომიური და კულტურული უკვე ფრიად ღრმად მომხდარი პროცესია და იმზომად ბუნებრივი და რეალურ საფუძვლებზე დამყარებული პროცესია, რომ მისი შებრუნება და ძველი ვითარების აღდგენა არავითარ ძალას არ შეუძლიან.

საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელ ძალად და მის დულაბად, ამიერიდან მხოლოდ კომუნისტური პარტია რჩება. ეს პარტია ამ ხანადაც უთუოდ დიდი ძალაა, და გარეგნულად უფრო დიდცი, ვიდრე იყო წინეთ, მაგრამ არსებითად და თავისი ნამდვილი შინაარსით ის დიდათ უფრო სუსტია და გაცილებით უფრო მცირე შემძლეობის, ვიდრე 10-15 წლის წინეთ იყო. იმ ხანად მის ხელთ იყო უამრავი ქონებრივი საშვალეხანი—ხაზინის, ბანკების, მრეწველობის და საუკუნეთა მანძილზე ხალხის ხელში დაგროვილი სიმდიდრე. ყოველივე ეს მოინელა და ამოშრიტა მსოფლიო რევოლიუციის მზადებამ, კაპიტალისტურ წარმოებათა ნგრევამ, მათ ნაცვლად ახალის შენებამ, შემდეგ ამის ნარევამ და კვლავ ახალის გამოწყებამ. ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთის სინამდვილეს საფუძვლიანად გაეცნენ ადგილობრივ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და ამერიკის მეცნიერები და პოლიტიკური მოღვაწენი. ერთსულოვანი დასკვნა გამოიტანეს მათ, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ აგებულ ქარხნების ამოშვებას მრავალი ათეული მილიარდები ესაჭიროება, რომელიც მათ არ აქვთ და არც არავინ მისცემს, უკეთუ ძირიანად არ შესცვალეს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური სისტემაო. ამას თან ერთვის გლეხური მეურნეობის განადგურება, რომელსაც რუსეთი მუდმივი სიმშვილის სფეროში შეჰყავს.

მაგრამ კომუნისტური პარტიის ძლიერება მარტო ამ ქონებრივ ძალას არ ემყარებოდა. მისი ძლიერების უდიდესი ფაქტორი იყო სულიერი ძალა, არაჩვეულებრივი ფანატიზმი, კომუნისტური იდეალების სასწაულებრივი ძალის რწმენა და ამით გაძლიერებული მტკიცე ნებისყოფა, დისციპლინა, ენერგია. ბუნებრივია, რომ ეს დიდი რწმენა და ფანატიზმი დააუძლურა და წააქცია ცხოვრების უღმობელმა სინამდვილემ, ყველა მათი გეგმების გაკოტრებამ, ყველა მათი ზრახვების გაცრუებამ. ყველა საღსრები და წყაროები დაშრეტილია, ყველა გენერალური ხაზები და დროებითი მანიოვრები გამოცდილია და ყოველგან და ყოველს დარგში მიღებულია მწარე შედეგები და საწინააღმ-



დეგო იმისა, რასაც მოელოდნენ, რასაც ჰფიქრობდნენ. ამის შედეგად, რომ კომუნის. პარტიაში დაიბუდა, დაუსრულებელმა ოპოზიციამ, მარჯვნივ თუ მარცხნივ გადახრებმა, მუდმივ დავამ და ბრძოლამ და უდიდესი პოპულარობამ, რაც პარალიზაციაში აგდებს ამ ოდესღაც სულიერად და ხორციელად მტკიცე ძალას.

## V

დიდს სხეულს, ერს, სახელმწიფოს, დიდი საზრდო ესაჭიროება. საბჭოთა რუსეთის განუკურნავი სენი აქ არის. საქალაქო წარმოებანა და მათი სახელოვანი ხუთწლედ უდიდესი დეფიციტის წყაროდ იქცა და ქონებრივად გაძლიერების ნაცვლად, ქონებრივად ასუსტებს მას. 120 მილიონი გლეხობა კერძო საკუთრებაზე აგებულ მეურნეობას ჩამოაშორეს და კომუნისტურ კოლხოზებში შერეკეს. ეხლა მთელი რუსეთის სივრცეზე ამ კოლხოზების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა სწარმოებს, რადგან ამ გლეხურ კოლხოზებში კვლავ კერძო საკუთრების ინსტიქტი გაბატონდა. სოფელიც განადგურებულია და პურით უმდიდრესი ქვეყანა მუდმივი სიმშობის მსხვერპლი ხდება. ამ შინაურ პროცესთან ერთად, მცირე მნიშვნელობის ფაქტორი არ არის ის საგარეო ვითარება, რომელიც შეექმნა საბჭოთა რუსეთს. მართალია მას არ უცხადებენ ომს და მასთან სამშვიდობო პაქტებსაც ჰკრავენ, მაგრამ ამავე დროს ევროპის ქვეყნები ჯებირებს უშენებენ მის საგარეო ვაჭრობას, უხურავენ კრედიტებს და მის სუსტ მხარეებს ფხიზლად დარაჯობენ. კომუნისტური პოლიტიკის ყველა გზები გამოცდილია, ყველა ექსპერიმენტები გაკეთებული და ყველა მათი შედეგები ერთიანად მწარეა, სულიერად და ქონებრივად დამასუსტებელი. ვასაგებია, რომ ყოველივე ამის შემდეგ კომუნისტურს რიგებში აღარ მუშავდება გეგმები ახალი ნებების, ახალი მანიოვრების, ახალი შესვენების. ფეხს იდგამს მემარჯვენე განწყობილება, რომელიც რუტინის, ზინოვიევის, და კამენევის ოპოზიციის გამოისახა, და რომელიც რადიკალურად აყენებს კომუნისტური პოლიტიკის დატოვების საჭიროებას და მოითხოვს ბურჟუაზიული სისტემის უმთავრესი საფუძვლების აღდგენას. მაგრამ საფიქრებელია, რომ კომუნისტური პარტია შესძლებს ამ ზომად მძიმე დოსტაქრული ოპერაციის მოხდენას და მთელი თავისი სულიერი და ხორციელი არსების გარდაქმნას და გადამუშავებას? ისტორიას არ ახსოვს ასეთი მაგალითები, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ეს იქმნება მხოლოდ ლეგალური გზით მიტოვება იმ პოლიტიკური და სოციალური წყობისა, რომელიც დამყარებულია საბჭოთა რესპუბლიკებში.

ნუ ვიკისრებთ წინასამეტყველობას იმის შესახებ, თუ როდის და რა სახით უნდა დადგეს ასეთი ვითარების დასასრული. მაგრამ ჩვენთვის საგაღდებულაა ვიწამოთ და მივილოთ, და არა ჩვენი გრძნობების

დასურვილებს მიხედვით, არამედ სალი და ცივი გონებრივი განვითარებით, რომ საბჭოთა რუსეთის უდიდესი და გადამწყვეტი გარდატეხები სწრაფის ნაბიჯით ახლოვდება.

რას უქადის ეს დრო თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს—საქართველოს, კავკასიას, უკრაინას, თურქესტანს, ყაზახობას? დამყარდება მოსკოვში სამხედრო დიქტატურა და ეს ერები იძულებული იქნებიან „ურა“ შესძახონ მას, თუ იქ მოიკალათებენ რუსული დემოკრატიული ძალები და ამ ერებსაც მეტი არა დარჩებათ რა, თუ არა მათთვის არძის მირთმევა, ძველი ცოდვების მონანიება, პატივების გამოთხოვა და კვლავ რუსეთის წიაღში მიღების ხვეწნა? ბოლო უნდა მოელოს ასეთს ბრიყველს აზრებს. ამ ხანად ეს ერები უფრო ადრე და უფრო ადვილად მოახერხებენ თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დალაგებას, ვინაიდან მათი საქმე და მუშაობა იწარმოებს ეროვნულ ძალთა შემთანხმებელსა და გამაერთიანებელ ეროვნული მიზნების გარშემო, მაშინ როდესაც ველიკოროსისის სივრცეზე გაჩაღდება ძალთა დამქსაქსავი შინაური ბრძოლა პოლიტიკურ და სოციალურ წყობისა და რეჟიმის გარშემო. საკითხავია, ვის მეტი ძალა და შესაძლებლობა ექნება მეორე მხარეზე ზედგავლენის თავის ზრახვათა მიღწევის მიზნით. მრავალი საბუთი და მოსაზრება გვეუბნება, რომ ამის მეტი შესაძლებლობა სწორედ ამ ეროვნებათა მხარეზე იქნება.

ძველი რუსული იმპერიალიზმის ნაშთები ამას უკვე გრძნობენ. სულ რამოდენიმე წლის წინეთ მათი „ზარტბეჟნი სიეზნი“ ამ ერებს ავონომიასაც არ ჰპირდებოდა, ხოლო ეხლა მათი დიპლომატი საბლინი ტკბილად მიჰმართავს უკრაინას, საქართველოს, კავკასიას და სხვა ქვეყნებს—იმპერიალისტური რუსეთის აღდგენას აღარ ვფიქრობთ, დავსხდეთ ერთი მაგიდის გარშემო და რუსეთის ფარგალში მყოფ ერთა თავისუფალი კავშირის, ფედერაციის გეგმა შევიმუშავოთ.

ასეთია ჩვენი ეროვნული საქმის აწყობა ვითარება და მომავალი პრესპექტივები. ის არ ჰქმნის ნიადაგს უიმედობისა და სულიერად დაძაბუნებისათვის, უკეთუ ყოველ-ღლიური ჭირ-ვარამი არ დაგვიგარავს, არ დაგვიმორჩილებს და გონებრივ მხედველობას და სულიერ სიმტკიცეს არ დაგვიკარგავს. და რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა ერთმანეთის სულიერად გამხნეება, ერთმანეთის მხარში ამოდგომა, კეთილშობილი გრძნობებისა და აზრების განმტკიცება, საერთო სურვილების მხარის დაჭერა და წვრილმანი უთანხმოებებისა და დავის მივიწყება, საერთო დიდი მიზნის სანაცვლოდ, მის დასაცავად, მის გასამარჯვებლად. და თუ ამას შევძლებთ, არდავეცემით, არ დავძაბუნდებით, არდავკარგავთ პიროვნულ ფსიქოლოგიას და ქართველურ მეობას, კვლავ დადგება დრო და ჟამი, როდესაც ქართული საქმე აიწვევს, ამალღდება და ჩვენი ერი თავის სანუკვარ ზრახვებს მიაღწევს. „ვისაც მოუკლავს, კვლავ



მოჰკლავს ნადირსა შავსა ტყისასა“. ასეთი დროც დაგვიდგება, უნდა ვიყვნეთ.

„რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“.

აღ. ასათიანი.

## 28 აგვისტოს დღისათვის

(ქართულ კოლონიის თავმჯდომარის ბ. გ. ყუყულის სიტყვა,  
23 ოქტომბრის კრებაზედ წარმოთქმული).


პარიზის ქართველობა დღეს 1924 წლის აჯანყების ამბების მოგონებას ვეძლევი.

მიუხედავად უამრავ მსხვერპლისა, რომელიც ამ ისტორიულმა აქტმა შეიწირა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამშობლოს შეწირულთა შორის დიდია რიცხვი სახელოვან ქართველ მოღვაწეთა და მუშაკთა, რომელთა ანაზღაურება გაუძნელდებოდა ყოველ ერს, დღეს არ გვსურს მხოლოდ ცრემლით და ჭმუნვით მოვიხსენიოთ ის ჩვენი გმირნი. ჩვენ დღეს განსაკუთრებით ვეძლევი მოგონებას იმ დიდი საქმის, რომლის განწყობას და აღსრულებას ასეთის თავგანწირულობით შეუდგნენ სამშობლოსათვის თავდადებულნი.

სწორედ ეს მათი საქმეა, რომ იწვევს ჩვენში აღფრთოვნებასთან ერთად დაუშრეტელ იმედს, რომ მიზანი, მათგან დასახული, ადრე თუ გვიან, საბოლოოდ განხორციელდება. ეს დიდებული აქტია, რომ სიამაყითავსებს ჩვენს გულს, ვინაიდან მთელმა ქვეყნიერებამ კვლავ ნახა დამარწმუნებელი სანახაობა, რომელიც ცხადს ყოფს, რომ საქართველოს არ გამოლევია მისთვის თავდადებულნი შვილნი. და სადაც ამგვარი სანახაობაა,—იქ რა უნდა ცრემლსა და გლოვას!

აკი საქართველო მათთვის არ სტირის, იგი ამაყოფს მათი და თათისუფალ ცხოვრებისათვის ბრძოლას განაგრძობს...

ამერიიდან ქართველ საზოგადოების წინაშე დიდი ამოცანა და მოვალეობა სდგას. გვიახლოვდება ხანა, როდესაც თვითეული ჩვენგანი მოვალეა მეტის დაფიქრებით და მეტის დაკვირვებით გაეცნოს მას, რაც 28 აგვისტოს მოხდა ჩვენს სამშობლოში. ეს სულ პირველად, საქირია, რათა წარსულის ვაკვეთილები უკეთესად იყოს გამოყენებული მომავლისათვის: ვინც წარსულ ამბავთა ამნაირს გაცნობიერებას ეძლევა, სწორედ ისაა, რომ უმზადებს უკეთეს მომავალს თავის ერს. შველის ნაკლების მსხვერპლით უფრო კიდევ დიდი შედეგების მიღწევას. თქმა არ უნდა, მიუდგომელ ისტორიის საქმეა ობიექტიური მსჯელობის გამოტანა, ისიც ჭეშმარიტია, რომ აჯანყების შემდეგ გა-



სული 8 წელი არ არის საკმაო ასეთი მსჯავრის შედგენისათვის, მაგრამ იმ ცოტა რამის მოხდენაც, რაიც ჩვენს ხელშია. ერთობ საჭირო და დროული არის.

საზღვარ-გარეთ, და განსაკუთრებით, პარიზში მყოფი ქართველობა უკვე რამოდენიმე ხანია, რაც შესდგომია იმ მასალის გაცნობას, რაც აქ, ამ ჟამად ჩვენთან ერთად მყოფ აჯანყების აქ უშუალოდ მონაწილეთ, თუ იმ დროს საქართველოში მყოფ ჩვენ სხვა მოქალაქეთა ხსოვნაში რამ შენახულა. ზოგი რამ იმ მასალიდან შარშანაც მოგხსენდათ; იმავე ხასიათის მოხსენებას დღეს ჩვენ გავგიკეთებ ჩემი პატივცემული კოლეგა დავით ვაჩნაძე.

თუ ისტორიისათვის უმთავრესი მასალის დაგროვება იქ, საქართველოში უნდა მოხდეს, დღევანდელს იქ დამყარებულს პირობების მეოხებით, აქ უცხოეთში, წყაროების დაგროვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. დაე, ის ცოტა, რაც კეთდება ამ დარგში აქ, იყოს ის პატარა წვლილი იმ დიდს საქმეში, რომლითაც უნდა დასრულდეს 1924 წლის აჯანყების ამბების აწონ-დაწონვა და მათი აღნუსხვა.

ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი წლების ისტორიულ ამბების შესახებ, ხშირად გვსმენია ნაღვლიანი თქმა: რა სავალალოა, რომ საქართველოს განთავისუფლებას ვერ მოესწრენ ილია, აკაკი და სხვა მათი თანამოღვაწენო. კერძოდ, 1924 წ. აჯანყების გამო ბევრს გაუფიქრნია, — ნეტავ ამ გამოსვლის შესახებ რა აზრისა იქნებოდა დიდი ილია? ამ ზამთარს, თქვენი გამგეობა, ბატონებო, აპირებს მე-19-ე საუკუნის ჩვენ წარჩინებულ მოღვაწეთა ნაშრომთა გასაცნობიერებლად, გამართოს განსაკუთრებული დღეები, სადაც წაკითხულ იქნება სათანადო მოხსენებები და მოგონებანი. რაც შეეხება დიდი მოღვაწის ილიას შეხედულებას, საზოგადოთ, აჯანყებების მოხდენაზედ, არსებობს ერთგვარი მასალა, რომელიც გვიჩვენებს, რომ იყო შემთხვევა, როდესაც თვით ეს ფრთხილი და შორს მხედველი და ღრმად მოაზრე მოღვაწე, რუსეთის თვით-მპყობელობის დროსაც, ხედავდა, ერის ღირსების დასაცავად, პარტიზანული ბრძოლების გამოსვლებით, აჯანყების მოხდენის აუცილებლობას, რათა შეურაცყოფილ ერს ამით გამოეფინა საქვეყნოთ თვისი წყევლა-კრულვა უხეშის ძალით დაპყრობლების მიმართ.

რაც არ უნდა ითქვას 1924 წლის აჯანყებაზედ, ერთი რამ არის უტყუარი: იგი იყო იმ ძველი და დიდი ტრადიციის განმეორება, რომელსაც ძველთაგანვე მიმართავდა ხოლმე ქართველი ერი, როდესაც იძულებული ხდებოდა, მეტად გათამამებულ მტრისათვის მოღერებული მუშტი ეჩვენებინა. მოთმინებიდან გამოსული ერი ამით საგონებელში აგდებდა მეტად გაბრიყვებულ დამპყრობელს და თანაც

ახდენდა ერის სულიერ და მატერიალურ ძალების, ერთგვარად შეინჯვას, მისი ნების-ყოფის გააღმასებას და შეუპოვარ წინააღმდეგობისათვის წახალისებას. აჯანყებები ხშირად მაშინაც მომხდარა, როდესაც საბოლოო მიზნის მიღწევა, მტრის განდევნა საქართველოდან, ჯერ ხომ არც-კი ყოფილა მომწიფებული...

მეტის თქმაც შეიძლება: აჯანყების მოხდენა იმ პირობებში, როგორც ეს საქართველოში მოხდა, მხოლოდ იმისთანა ერებს შეუძლიანთ, რომელთაც, თვით უმძიმეს პირობებშიც უცვლელად შეუნარჩუნებიათ, მათზედ შთამომავლობით გადმოსული სული თავისუფლებისა. აი სწორედ ამისთანა ერებზეა ნათქვამი: უხეშის ძალით მათი დაპყრობა შეიძლება, მაგრამ მონებად გარდაქმნა-კი არასოდეს! ანაირს ერს ეკუთვნის სწორედ საქართველო! 1924 წლის აჯანყებით მან ერთხელ კიდევ დაანახვა მთელს კაცობრიობას, და კვლავ განამტკიცა, თვისი უფლება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩენაზედ.


**აღბად ამ ფარგლებში მოხდება შეფასება ამ დიდი აქტისა, როდესაც ამ ეპოქის ისტორია დაიწერება.**

სრულის სინამდვილით აღიარა ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ ბ. ნოე ჟორდანიამ, ერთს თავის ნაწერში, რომ „ისტორიის წინაშე 1924 წლის აჯანყება გამართლებულია!“.

ქართველი ერის მესვეურთ, ძველად, მანამ ამისთანა პასუხ-საგებ ნაბიჯის გადადგმა დასჭირდებოდათ, როგორც აჯანყების მოწყობა და გაძლოლა არის, დიდი წინასწარი სამზადისი, ფიქრი, შეიღჯერ გაზომვა და ერთხელ-კი მოჭრა უხდებოდათ ხოლმე. ხშირად მომხდარა ისიც, და იმ მესვეურთა ქვეყნისადმი უდიდესი სამსახური სწორედ ეს ყოფილა, რომ ეცადათ მოთმინებიდამ გამოსული ერი შეეკავათ, დაეშოშმინებინათ და აჯანყებისათვის უკეთესი დროის შერჩევით შეენახათ ეროვნული ძალები.

ექვს გარეშეა, რომ თუ სამოციან წლების შემდეგ საქართველოში არ მომხდარა არც ერთი აჯანყება, ეს იყო დიდი ღვაწლი მესამოცე და შემდეგი წლების მოღვაწეთა. გავიხსენიოთ ილია ჭავჭავაძის გამუდმებული ძახილი ჩვენი ერისადმი: არ აჩქარდეთ, უდროით ნუ გამოამზევრებ იმ დიდს წადილს, რომელიც ყოველთვის თან დაგდევს. და მანამ ამისთვის სახეირო დრო არ დადგება, გულში მაგრად ჩაიხუტე ის წადილი, იქ შეინახეო...

ჩვენ ვიცით რა დიდი იყო ცდა და მუშაობა, მანამ 1924 წლის აჯანყება იფეთქებდა, ჩვენ თავ-დადებულ მამულიშვილთა, რათა ბრძენი ილიას ეს ანდერძი არ დარღვეულიყო. მაგრამ ერთობ დიდი იყო აღშფოთება მტრისადმი ჩვენი ხალხისა... 1924 წლის აჯანყების გასაგებათ საკმაო არის გულდასმით გადიკთხოთ იასონ ჯავახიშვილის ის ჩვენება, რომლითაც იგი წარსდგა რუს ჯალათთა და საქართ-



ველოს მოღალატეთ სამსჯავროს წინაშე. ჩვენ ქართველებისათვის, ის სიტყვა არ არის უბრალო რაღაც „ჩვენება“; იგი ნამდვილი ანდერძია სამშობლოსათვის თავდადებულთა, თვისი მოძმეთათვის დატოვებული. არ იცი, რა უფრო მოიწონო ამ სიტყვაში; მისი გაბედული, შობლოს ჯალათებს, თუ ის მწარე ირონია, რომლითაც საესევა მკექარე ბრალდებანი, რომლითაც ზიზლით მიმართავს იგი მისი სამ-„ჩვენება“ და ბრალდებაზედ უფრო კიდევ ძლიერია... ჩვენი ძვირფასი თანამემამულის ჯავახიშვილის ეს სიტყვა იმითაც არის საყურადღებოდ შესანიშნავი, რომ ის უნდა იყოს გამომხატველი ზრახვევის და ფიქრებისა ყველა მისი თანამოაზრე-თანამომქმედ გმირებისა და, როგორც ასეთი, იგი სიტყვა იღებს მნიშვნელობას დიდი ისტორიული დოკუმენტის და აჯანყების ისტორიისათვის პირველ ხარისხოვან მასალისა.

სულ ცოტა ოცამდე საბრალმდებლო მუხლია ი. ჯავახიშვილის სიტყვაში, რომლითაც იერიშით მიდიან ჩვენი წამებულნი მათი სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ.

ერთი მუხლი ასეთია: „..... იმ ცვლილებათა დედა-აზრი, რომელიც მოხდა აქ თებერვლის შემდეგ, ფაქტიურად, მდგომარეობს არა ხელის-უფლების შეცვლაში, რასაც მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის გაცამტვერებაში“. და რა ჩამოუთვლის საქართველოს ჯალათებს იმ აღმაშფოთებელ ზომებს, რომლითაც დამპყრობელნი უმასპინძლდებიან ჩვენს სამშობლოს, რათა ძირიანათ ყოფილიყოს დარღვეული საქართველოს მთლიანობა და ყველა მისი საარსებო ინტერესები, იგი დასძენს: „ხალხის გამოსვლებს პირველ ხანებში ჰქონდა სტიქიური ხასიათი, ხალხმა დაინახა მტრის შემოსევის საშინელება და მისი შედეგები და დაიწყო სხვა და სხვა კუთხეებში თვისი აჯანყებანი“.

საყურადღებოა აჯანყების ამ სტიქიურს ხასიათზედ მითითება. თავის ერთს ნაწერში ამასვე მოწმობს დღეს აქ ჩვენთან მყოფი, ჩვენი ნიჭიერი მწერალი შალვა ამირეჯიბი: „ქემარიტათ, რომ აჯანყება თავისით მოხდაო...“, ამბობს იგი. და კიდევ: „..... შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აგვისტოს აჯანყება ვინმემ გადასწყვიტა, ან მისი თავიდან აცილება ვისმეს შეეძლო და არ მოინდომა....“.

და აი, როცა მოზღვავედა სტიქიური მღელვარება, რომლის ადვილად ჩაქრობა შეუძლებელი გახდა, მთელმა რიგმა თავ-დადებულთა იღვეს თავის-თავზედ სტიქიის კალაპოტში მოქცევა, მისთვის მწყობრი ხასიათის გამოსვლის მიცემა. გაიხსენეთ სიტყვები ხალხისთვის წამებულის კოტე აფხაზისა, ამ შორს მხედველ დიდ ბუნებოვან ადამიანისა. იმისმა პოლიტიკურმა მეგობრებმა სავესებით შეიგნეს, თვით ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის, ამ იშვიათი კტუა-გონების მოღვაწის უვნებლად შენახვის საჭიროება და მომა-

ვალ ბრძოლებში, მისი უბრალოდ არ წახდენა. ყველაფერი მზად იყო მისი საზღვარ-გარეთ გამოსაყვანათ, მაგრამ ამაზედ კოტე აფხაზმა კატეგორიული უარი განაცხადა, ამ სიტყვებით: „გამოდის, რომ მომავალ ბრძოლებში მხოლოდ უბრალო ჯარის-კაცები უნდა იხიციებოდნენ და ჩვენ-კი, გენერლებმა, თავს ვუშველოთ! არა, რაკი აჯანყება ხდება, მეც აქ ვრჩებიო“... და აკი დარჩა კიდეც და ეწამა სამშობლოსათვის. შარშან, აქ, პარიზში, ჩვენმა ცნობილმა პოლიტიკურ მოღვაწემ ალ. ასათიანმა წარმოადგინა ერთი მოხსენება, 1921, 22 და 24 წ. აჯანყებათა შესახებ, რომელიც საუტხოვო მასალათ გა-მოდება აჯანყების მომავალ ისტორიისათვის.

ეს მასალები გვარწმუნებენ ჩვენ, რომ საქართველოს ეს თავგან-წირული ბრძოლები და აჯანყებები ემყარებოდა ქართველ ერის უტყუ-ნებისყოფას და სურვილს უმძიმესი მონობისაგან განთავისუფლებისა, მის სულიერს განწყობილებას და ჩვენი ერის ისტორიულ ტრადი-ციებს.

ამ ტრადიციის გაძლიერება ძალ-უძის მხოლოდ სათანადოთ გაწვრ-თნილს და წინასწრად მომზადებულს ერს.

ჩვენ ვიცით თუ როგორ ხდებოდა ეს წრთენა და მომზადება ქა-რთველის ერისა, სიღრმიდან დაწყებული.

საკმაოა ვავეცნოთ იმ შესანიშნავ პედაგოგიურს გაკვეთილს, რომელიც ნიმუშად დაგვიტოვა ჩვენ სახელოვანმა არჩილ მეფემ. იმ საგნების ჩამოთვლა, რომლითაც უნდა გაეწრთენა გონებრივ-მორა-ლურად, თუ ფიზიკურად მოზარდი თაობა ისეთის სისრულით არის მოცემული, რომ დღესაც მას ხელს მოაწერდა ყველა ჩვენი დროის გამოჩენილი პედაგოგი.

აღზრდის მეთოდების შესახებ, აი რას გვასწავლის თვით ქართ-ველი ერი, ისე მკაფიოთ და გენიოსურად: „შვილი გაზარდე მტრა-თაო, გამოგადგება ძმათაო“. ძნელია უფრო ნათლად და თან მოკლეთ აღიარება საოჯახო დისციპლინის საჭიროების აღზრდის საქმეში. გონიერი დისციპლინა, აი ის საშუალება, რომლითაც ხდება ერის მომზადება, შინაურ თუ საგარეო მოღვაწეობისათვის. ამ ხალხურს გამოთქმაში, რომ სწორედ გონიერს დისციპლინაზედ არის ლაპარა-კი და არა სხვა რამ უხეშ რამებზედ, ამას ჩვენი ერი ამ ანდაზით გა-მოსთქვამს: „ცემა გმართებს ამოზდელსა, თუ ყრმა ნახო ცუდათ ზრდილი“.

მტერთან შებრძოლების დროს, ჩვენი ერი ასეთ რჩევა-დარიგე-ბას იძლევა: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან“. ესე იგი, ყოველთვის მზად უნდა იყო შეებრძოლო შენს მტერსა, მაგრამ შებრძოლების ვადა და დრო ისეთი უნდა შეირჩიო, რომ ეს შენთვის იყოს ხელსაყრელი და არა მტრისათვის... მტერს დროებით მოეცალე და დაჰკარ მაშინ, როდესაც ეს შენ გიჯობდესო. ამისთანა

ანდაზის გამოთქმა და მიღება შეეძლო მხოლოდ ბრძოლებში კარგად გამობრძნედილ ერსა...

ჩვენმა ერმა ისიც იცის, რომ ხშირად რჩევის მიცემა უფრო ადვილია, ვიდრე მისი ასრულება. იცის ისიც, რომ საზოგადოთ, ადამიანისა და, მეტადრე, ქართველი კაცის მოუთმენლობის ბრალია სწორედ, რომ კარგი რჩევა მიუღებლად არის დატოვებული. რომ ეს არ მოხდეს, რომ მოთმინებიდან გამოსული ქართველი არ აჩქარდეს, ქართველი ერი უკანასკნელს ზომას მიმართავს: იგი ქართველს დედას ასე აალაპარაკებს. არის გადმოცემა, რომ ერთს ხანობას, ერთს დედას მეტად დაუნაღვლიანდა, ძალზედ დაუღონდა მისი პირმშო შვილი. მას თურმე, ძილი და მოსვენება დაკარგოდა იმის გამო, რომ გადიოდა დრო და მისი ოჯახის მტრისათვის სამაგიერო ჯერ კიდევ არ გადაეხადა.

დედა ასე ანუგეზებს და ამშვიდებს თავის შვილს: „ეგ რა გაწუხებს, შვილო! ნათქვამიაო: მტერს ოცი წლის შემდეგაც რომ გადუხადო, შენს თავს უთხარო—უჰ! რა აეჩქარებულვარო“.

აი როგორა გვზრდის და რითი გვარიგებს ჩვენ ჩვენი მშობლიური ერი!

ეს ყოველს ჟამს უნდა გვახსოვდეს ყველას და მაშინ ერიც თავის გასახულს მიზანს უცვლელად მიაღწევს; მიაღწევს „ნაკლების მსხვერპლით და მეტის შედეგებით“.

1924 წლის აჯანყება, არამც თუ მართლაც გამართლებულია ისტორიის წინაშე, იგი ის დიდებული ეტაპია, რომელიც გაუადვილებს ჩვენს ერს საბოლოოთ განთავისუფლებას.

საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ბალზაკი, ერთს თავის ნაწერში ამბობს: „ნათესა შორის, ყველაზე უფრო უდიდეს მოსავალს ის თესლი იძლევა, რომელიც დათესილია ადამიანთა სისხლით მორწყულს მიწებშიაო“.

სწორედ რომ ამ სისხლით ირწყევა საუკუნოებით საქართველოს მიწებიც, ეს წმინდა სისხლი დღესაც ინთხევა ჩვენ სამშობლოში და ის დიდი მსხვერპლი, რომელიც კვლავ ვაიღო საქართველომ 1924 წელს, უთუოდ უმზადებს ჩვენს ერს იმ დიდს მომავალს, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ეწოდება.

აი ამიტომ, ჩვენ გმირთა მოსაგონათ ჩვენ არ გვმართებს დღეს მხოლოდ ცრემლის ღვრა.

ვიგონებთ რა 1924 წ. აჯანყებაში წამებულთ, სასოებით, შეეხვდეთ ჩვენს ახლო მომავალს იმ იმედით, რომლითაც ჩვენი გმირნი ებრძოდნენ ჩვენს მტრებს და ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას სამშობლოს, საქართველოს,—დიდება და მარად დიდება!

გიორგი ყურული.

28 მარამობისთვე, 1932 წ.

პარიზი.

## საქალაქო მმართველობისა და მასში მისივე მონაწილეობისათვის.

(ისტორიული ფაქტები და დაკვირვებანი).

ეკლესიური ორგანიზაცია ემყარება თეოკრატიულ პრინციპზე. მისი აგებულების სისტემა ამ დებულებიდან უნდა გამომდინარეობდეს, მას ემსახურებოდეს და მასშივე ჰპოებდეს თავის არსებითს შინაარსს. როგორც განსხვავებული თვისების ერთეული, რომლის დანიშნულება ტრანსცედენტალია თავისი დედაპაზრით, ეკლესია მმართველობის მეთოდებითაც განირჩევა ყველა სხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებისაგან.

რაში გამოიხატება კონკრეტულად ეკლესიური მმართველობა? ვინ არის საკითხთა აღმძვრელი, განმხილველი, გადამჭრელი? სად უნდა ვეძიოთ ეკლესიურ საქმეთა სათავე? ვინ შეადგენს თვით ამ „ეკლესიას“?


ასეთი საკითხები მხოლოდ თეორიული ინტერესის საგანს როდი შეადგენენ; მათი გავება და გათვალისწინება ჰპოებს პრაქტიკულ მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც ამჟამინდელი სოციალი ცხოვრების ბუნება წოდებრივ და სხვა უპირატესობათა წინააღმდეგ არის მიმართული და ყოველ სფეროში „პარიტეტულ“ ნიშანდობლივობას ამკვიდრებს.

ეს ტენდენცია კანდიერდება ეკლესიის სხეულშიაც შეიჭრას, რადგანაც მის მეზარაღტრეთა შეხედულებით ეკლესია წარმოადგენს სასულიერო წოდების, თუ გნებავთ, კასტის ინტერესთა დასაცავ მტკიცედ შემოზღუდულ ორგანიზაციას.

ქართველი საზოგადოებისათვის საინტერესოც უნდა იყოს და საჭიროც ამ საკითხებში გარკვევა, მით უმეტეს, რომ ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ დამყარებული წყობილება თვით მორწმუნე ერისკაცთაგან, მამასადამე ხალხის უდიდეს ნაწილისაგან მოითხოვს სარწმუნოებრივ საკითხებში თანამშრომლობას ეკლესიასთან და განსაზღვრულ პირობებში თაოსნობის გამოჩენასაც.

ჩემ მიერ აღძრული თემა მეტად ფართოა და ნისი ამოწურვა საგაზეთო წერილში შეუძლებელი არის, ამიტომ უმჯობესად უნდა მივითვლოთ ზოგიერთი დებულებანი მხოლოდ დასახელებულ იქმნას პრესუმპციული მნიშვნელობით და შევჩერდეთ ისეთს საკითხზე, რომელთა გამორკვევა აუცილებელი ხდება ეკლესიური პრაქტიკისათვის, რამდენათაც მასში „მწყემსთა და სამწყესოს“ ურთიერთობა ისახება.

პირველი რიგი ამგვარ საკითხთა შორის ეძლევათ თავისი მნიშვნელობით მსოფლიო საეკლესიო კრებებს, როგორც უმაღლეს სა-



კანონმდებლო ორგანოებს, რომელთა დადგენილებანი ერთნაირად სავალდებულოა მთელი ეკლესიისათვის. მსოფლიო კრებათა კომპეტენცია განუსაზღვრელია: იქ ირჩევა და ვანიმარტება ღოგმები და ეკლესიური სხვა ძირითადი საკითხები. თვითმმართველ ეკლესიებში უმაღლეს ორგანოთ ითვლება ადგილობრივი საეკლესიო კრებები, ხოლო მათი დადგენილებანი სავსებით უნდა ეთანხმებოდნენ მსოფლიო კრებათა კანონებს და ეკლესიაში მიღებულ საზოგადო წესებს.

რა სახისა და შედგენილებისა არის საეკლესიო კრება? ყოველი მისი წევრი ერთიდაიგივე უფლებით არის მოსილი? ვის ეკუთვნის კრების ხელმძღვანელობა? მოიწვევიან ერისკაცნი საეკლესიო კრებაზე? რა მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს კრების წევრთა აღსარჩევი ერისკაცი? საჭიროა საზოგადოთ ერისკაცთა მონაწილეობა საეკლესიო კრებაზე?

ისტორიული დოკუმენტები მეტნაკლებობით გვაწვდიან ამ საკითხის შესასწავლ მასალას: პირველი საეკლესიო კრება მოწვეულ იქმნა, როგორც ცნობილია, თვით მოციქულთა მიერ და ამის ცნობები მოთხრობილია (სამწუხაროდ ფრიად რაპიდარული სტილით) „საქმეთა მოციქულთაჲს“ მე-15 თავში. ამ კრების მნიშვნელობა უფრო ზნეობრივ-მოდერებითია. მან იერუსალიმის საქრისტიანო თემის ასე ვთქვათ პირველი მანიფესტაცია მოახდინა და პირველივე შემკრებილობითი სიტყვა საქვეყნო გასაგონათ წარმოსთქვა. მოციქულთა კრებაზე ერისკაცნიც იყვნენ წარდგენილნი, რაიცა იქიდანაც სჩანს, რომ კრების ეპისტოლე დაიწერა „მოციქულთა, მღვდელთა და ძმათა“ სახელით, მაგრამ ერისკაცთ ეტყობა არ მიუღიათ აქტიური მონაწილეობა, რადგანაც მომთხრობელი განაგრძობს, რომ მოციქულნი და პრესვიტერნი შეიკრიბნენ **განსახილველათ** ამა საქმისა (ibid. ლექსი 6).

შემდგომ იწყება შესანიშნავი ხანა მსოფლიო კრებათა მოღვაწეობისა. ზოგ მათგანზე ერისკაცნი ესწრებიან, ზოგზე ვერ ესწრებიან, ზოგის შესახებ-კი ცნობები ერთიმეორის საწინააღმდეგო გვხვდება. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგოელის მოწმობით კართაგოს ოლქებში კრებები იწვევოდნენ ერისკაცთა მონაწილეობით, გარნა გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა ეპისკოპოზებს. ამასთანავე აუცილებლათ იქმნა მიმჩნეული, რომ კანდიდატები ერისკაცთაგან ყოფილიყვნენ ქრისტიანულათ მომზადებულნი და მტკიცეთ მღვდმნი სარწმუნოებაში.

აღსანიშნავია ზოგიერთი ეპიზოდები მსოფლიო კრებათა ისტორიიდან: პირველ მსოფლიო კრებაზე ერისკაცთაგან დაესწრო კოსტანტინე დიდი, მაგრამ არა როგორც წარმომადგენელი სამრევლოისა; თუ რამ სხვა ეკლესიური ერთეულისა, არამედ როგორც ღვაწლმოსილი იმპერატორი, ქრისტიანობის განმდიდებელი, მილანოს



ედიქტის გამომცემელი. თუმცა დასავლეთის საეკლესიო მშენებლობის რუთინი ერთის მხრით და ბერძენი ისტორიკოსი სოგრატი მეორის მხრით იმ ჰაზრისანი არიან, რომ პირველ მსოფლიო კრებაზე იყვნენ ერისკაცთა წარმომადგენლები, მაგრამ ამას არ ამოწმებენ ისეთი ავტორიტეტები, როგორც ისტორიკოსი ევსევი, ესტატე ანტიოქიელი და უმთავრესად ათანასე ალექსანდრიელი—პირველი მსოფლიო კრების სულის ჩამდგმელი, თანაც რუთინი და სოგრატი არც იყვნენ აღნიშნულ მსოფლიო კრების თანამედროენი, მათი გამოკვლევანი ეკუთვნის მეხუთე საუკუნეს. ცნობები მე-2-ე მსოფლიო კრებისა ამ საკითხის თაობაზე არ მოიპოვებია. მე-3-ე მსოფლიო კრებაზედაც საერო დელეგატები არ იყვნენ და კრების ამგვარ შედგენაში სამღვდელოებს ენებარებოდა თვით იმპერატორი თეოდოსე მე-2-ე. მე-4-ე მსოფლიო კრებაზე დაესწრნენ იმპერატორის ვეზირები, მაგრამ ვითარცა გარეშე მსურებელნი. ერისკაცნი რომ არ იღებდნენ მონაწილეობას ამ კრებაზე, ეს სჩანს პაპა ლეო პირველის მისასალმებელ ეპისტოლიდანაც, რომელშიაც ის კრების წევრებს უწოდებს „უფლის მღვდლებათ“ ე. ი. ეპისკოპოზებათ. მე-5-ე კრებაზე არამც თუ ერისკაცნი საზოგადოთ, იმპერატორის დელეგატებიც არ დაესწრნენ. მე-6-ე მსოფ. კრებაზე დაესწრო იმპერატორი ამალით, გარნა კრების მსვლელობაში არ ერეოდა. მე-7-ე მსოფ. კრებაზე დაესწრნენ საიმპერატორო მოხელენი საქმეში ჩაურევლათ. უკანასკნელი ახდომა შესდგა კონსტანტინოპოლის სასახლეში იმპერატორი ირინეს თანდასწრებით.

დაახლოებით ამგვარი წესებით ხელმძღვანელობდნენ აღმოსავლეთ ეკლესიის ადგილობრივი კრებებიც.

ამავე წესს მისდევდა ძველი დროის საქართველოს ეკლესიაც. სამწუხაროთ ჟამთა უკუღმართობამ ჩვენამდის არ მოუშვა სხვა მრავალ ისტორიულ საბუთებთან ერთად ჯეროვანი ცნობები საეკლესიო კრებათა შესახებაც, მაგრამ მოღწეული მასალებიდან ზოგი რამის გათვალისწინება შესაძლებელი ხდება. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ერისკაცთა წარმომადგენლობა ჩვენს ეკლესიურ კრებებზე აკრძალული არ იყო, მხოლოდ ემჩნევა-კი, რომ საერო ელემენტი არა სარგებლობდა სამღვდელოების თანაბარ უფლებებით, ისიც საეჭვოა, თუ ერისკაცთ გადამჭრელი ხმის უფლება ჰქონდა.

მეფე ბაგრატ მე-3-ის (980-1014) დროს მოწვეულ არტანუჯის საეკლესიო კრებაზე საერო ელემენტი თვალსაჩინოდ იყო წარდგენილი, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით კრების შინაარსს, ეს გარემოება ადვილი ვასაგები იქნება: კრება მოწვეულ იქმნა არაბთა 300 წლის ბატონობის შემდეგ, როცა საქართველოში ამ გარემოებით გამოწვეული სხვადასხვა მწვალებლობა ბუდობდა და დაუსჯელათ ვრცელ-

დებოდა, აღნიშნულ კრებას უფრო საპაექრო მნიშვნელობა მატებდა. მაზე დაესწრნენ სომხებიც, რომლებიც ბაგრატ მე-3-ის მონოფიზიტობაში გადაყვანას ცდილობდნენ. ისე რომ მთელი კრება მართლმადიდებსა და მონოფიზიტებს შორის პოლემიკას მოჰხმარდა და ამ გარემოებამ მეფესთან ერთად კრებაზე მრავალი წარჩინებული ქართველი მიიზიდა.

სრულებით სხვა სურათს იძლევა **რუის-ურბნისის** კრება (1103 წ.), რომლის დადგენილებებმაც „**ქეგლისწერის**“ სახელწოდებით უდიდესი მნიშვნელობა იქონიეს მთელი ჩვენი შემდგომი საეკლესიო ყოვლაცხოვრებისათვის. რუის-ურბნისის კრების ოქმებიდანაა სჩანს, რომ მასში მონაწილეობდნენ: კათალიკოზები, ეპისკოპოზები, მღვდლები, დიაკონები, მონაზონები, დაყუდებულნი, მეუღაბნოენი და მეცნიერნი\*) (რაკი ერისკაცნი ამ კრებაზე არ დასწრებიან, უნდა ვიფიქროთ, რომ მეცნიერნი საექსპერტომიზნით ყოფილან მიპატიუებულნი). კრებაზე იყო დავით აღმაშენებელიც, მაგრამ—ვახუშტის მოწმობით—**არა როგორც მეფე, არამედ როგორც მონა \*\*).**

მეფე დავით აღმაშენებლის დროსვე 1124 წელს **ქალაქ ანში** მოწვეულ საეკლესიო კრებაზედაც იღვწოდა მხოლოდ სამღვდელობა, რაიცა სჩანს შემდეგიდანაც: დავით აღმაშენებელმა შეატყო, რომ კრებაზე სომეხ-ქართველთა შორის ამტყდარ სარწმუნოებრივ დავამ მეტისმეტი მწვავე მომართულება მიიღო და შეეძლო ორი ერის ერთმანეთისაგან დაშორება, ნაცვლად განზრახული შეერთებისა; ამის გამო მან სიტყვა მოითხოვა და ასე დაიწყო: „თქვენ, **მამანო**, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურათ ხედვათა, ვითარცა ფილისოფოსნი, და ჩვენ ვერა რასა უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლენნი და **ყოვლად მსოფლიონი...**“ \*\*\*).

თამარ მეფის დროის საეკლესიო კრებაზე, რომელიც 1187 წელს, ან მის მახლობელ წლებში უნდა შემდგარიყო, ერისკაცთაგან დაესწრნენ მატთანეს სიტყვით მხოლოდ „სჯულის მცოდნენი“. თვით თამარ მეფის კრებისადმი მიმართულ მისალმების პირველ სიტყვებიდანვე ცხადათა სჩანს კრების შედგენილობა: „**ჰე, წმიდანო მამანო**—ბრძანა დედოფალმა—თქვენ ღვთისა მიერ განჩინებულხართ მოძღვრად ჩვენდა, და მმართველათ წმიდათაეკლესიათა, და თანაგაცთ სიტყვის მიგებად სულთათვის ჩვენთა...“ .თამარ მეფემ საჭიროთ დაინახა აღენიშნა, რომ საეკლესიო კრების პატრონიცა და ხელმძღვანელნიც თვით სამღვდელობა არის და ასე დასძინა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი, და განხადეთ ყოველი გვარძნილი...“ .

\*) თედო არბანია—ქრონიკები II, 61; ქართლის ცხოვრება I, 351.

\*\*\*) ვახუშტი—საქართველოს ისტორია 174-175.

\*\*\*\*) ქართლის ცხოვრება I 375-376.

საეკლესიო კრებას, რომელიც თამარ მეფის ძის მეფე გიორგი მე-4-ს ლაშას დროს (1212-1223) შესდგა, დაესწრნენ მხოლოდ კათალიკოზნი და ეპისკოპოზები: მათიანე მათ უმატებს ვეზირებსაც, ხოლო ეს ადვილათ მისახვედრია, რადგანაც ამ კრების საგანს შეადგენდა უმთავრესად გიორგი-ლაშას უზნეო ცხოვრების გამოკვლევა და სასახლის წარჩინებულთა დასწრება ამ შემთხვევაში აუცილებელიც იყო დასაკითხავათ და განსამარტებლათ.

**იმერეთის საეკლესიო კრებაზე**, რომელიც 1605-1639 წლებს შუა უნდა მომხდარიყო და რომლის 24 მუხლიანი დადგენილებანი ვახტანგ მეექვსესის სამართლის წიგნში არის შეტანილი— „**კათალიკოზთა კანონების**“ სახელწოდებით, დაესწრნენ მხოლოდ განსაკუთრებულათ არჩეული მღვდელმთავრები. მათიანეში ისინი ყველანი დასახელებულნი არიან: ქართლის კათალიკოზი მალაქია, აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონი, ქუთაისის მიტროპოლიტი სვიმონი, გელათის მთავარეპისკოპოზ ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიის მიტროპოლიტი, მოქვის მთავარეპისკოპოზი, დრანდის მიტროპოლიტი ფილიპე, ცაგერის მთავარეპისკოპოზი კოზმანი, ხონელი მთავარეპისკოპოზი ზაქარია, ნიკორწმინდის ეპისკოპოზი იოაკიმე და ჩაისის მთავარეპისკოპოზი კირილე\*). ასეთი ავტორიტეტებით განსაზღვრა აღნიშნული კრებისა, ჩემის ჰაზრით, იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ კრება შესდგა საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაში, როცა სპარსთა და ოსმალთა ხანგრძლივი თარეშობისა გამო, ცხოვრება საერთოთ აწეწ-დაწეწილი იყო, ხოლო სჯული და ზნეობა საგრძნობათ შერყვნილი.

ასეთივე მნიშვნელობის საეკლესიო კრება შესდგა ტფილისში (1748 წლის დამლევის, ან 1749 წლის დამდევში) ანტონ კათალიკოზის თავმჯდომარეობით, კრების წევრებათ იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს მღვდელმთავრები. ერისკაცთაგან კრებაზე დაესწრო მხოლოდ ერეკლე მეორე (იმ დროს კახეთის მეფე).

**1755 წლის საეკლესიო კრებაზე**, რომლის სამსჯავროზე წარდგენილ იქმნა საქართველოს ეკლესიის საჭემყრობელის ანტონ პირველის გაკათოლიკების საქმე, მონაწილეობდნენ, როგორც შესაფერისი იყო, **მხოლოდ მღვდელმთავრები**. ერისკაცთაგან კრებას **დაესწრნენ** მეფენი: მამა-შვილი თეიმურაზნი და ერეკლე. ცნობილია, რომ ამ კრებამ ანტონ კათალიკოზზე უმძიმესი სასჯელი დაადო და საერო მთავრობას გადააბარა, მიუხედავად იმისა, რომ ანტონი არამც თუ მხოლოდ კათალიკოზი იყო, ის იყო შვილი ქართლის მეფის იესესი—ბაგრატიონ მუხრანბატონი! რაკი შემთხვევამ მოიტანა, ორიოდვე სიტყვას მიუძღვნა ამ უდიდესი პიროვნების თავგადასავალს:

\*) წერაკითხვის საზოგ. ბიბლიოთეკის ჩელთნაწერი № 3356; ვახუშტი—იმერეთის ისტორია, 27,




ზემოდასახელებული კრების შემდგომ ანტონ კათალიკოზმა კათალიკოზობა და დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, ამიტომ შემდგომი კრების დადგენილებით აბსოლუტური აკრძალვა ღვთისმსახურებისა მას შეუმოკლეს 18 თვით, ხოლო 1756 წლის კრებამ დააკმაყოფილა მისი სურვილი რუსეთში გამგზავრებისათვის თავისი ამალით და ნებადართო მიმავალ მწყემსმთავარს ერთი (აღდგომის) წირვა გადაეხადა. რუსეთში ანტონ პირველი განწესებულ იქმნა ვლადიმირ-იარაბოლის არქიეპისკოპოზად, სადაც ბედის უკუღმართობით დევნილ უშესანიშნავესმა კათალიკოზმა, განსწავლულმა ფილოსოფოსმა და ღვთისმეტყველმა, ლიტერატორმა და გრამატიკოსმა, რომლის სახელით სამართლიანად უნდა იწოდებოდეს მე-18-ე საუკუნის მთელი მეორე ნახევარი,—1762 წლამდის დაჰყო. ამ წელს გარდაიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზ მეორე, ხოლო მისმა ძემ, გაერთიანებულ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლე მეორემ იმავე წელს გამოიხმო ანტონ პირველი რუსეთიდან და კვლავ დასვა მცხეთის საკათალიკოზო საყდარზე სამღვდლოებისა და მთელი ერის სასიხარულოთ.

ანტონ პირველის რუსეთში ყოფნის დროს საკათალიკოზოს განაგებდა რუსთავის ეპისკოპოზი იოსები. მის მიერ 1762 წელს მოწვეულ საეკლესიო კრებაზე თვინიერ ეპისკოპოზისა არავინ მონაწილეობდა. ამ კრების ოქმებმა მთლიანათ მოაღწიეს ჩვენამდის და ინახებიან ტფილისის საეკლესიო მუზეუმში 856 ნომრით. კრების დადგენილებანი ეხებიან უმთავრესად ეკლესიურ დისციპლინისა და ხალხის ზნეობრივ აღზრდის საკითხს.

ამის შემდგომ რუსის ექსარხოსების შემოსვლამდის საქართველოში კიდევ ორი საეკლესიო კრება შესდგა: 1764 წელს (მეფისა და კაროლიკოზის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის ეკლესიიდან განსაძევებლათ)\*) და 1789 წელს კათალიკოზ ანტონ მეორის მმართვე-

\*) უსწავურია ბედი ამ დაუდგომელი მღვდლისა: ერთობ ნიჭიერი, მჭერმეტყველი, კერგი მწვრალი, გამჭრიახი, გაბედული და მუდამ მომქმედი—ზაქარია გაბაშვილი მალე იხიდავს სასულიერო მთავრობის ყურადღებას და ის განწესებულ იქმნა მეფისა და კათალიკოზის მოძღვრათ. მაგრამ სულ მალე მისსა და კათალიკოზი ანტონ პირველის შორის იჩინა თავი უთანხმოებამ. ზაქ. გაბაშვილი კათალიკების დიდი მოწინააღმდეგე იყო და სულ იმასა აძილობდა, რომ რომის მისიონერები არ დაეშვა არც მეფისა და არც კათალიკოზის სასახლეში. ანტონ პირველის დაახლოვება კაპუცინებთან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მგრძობიარე მღვდელზე: მას ეგონა, რამე გამბეული არის დიდი ინტრიგის ქსელი მეფისა და შემდეგ მთელი სამეფოსი გაკათალიკებისათვის. მოძღვრის შიში ნაწილობრივ გამართლდა, რადგანაც მსირე ხნის შამდე გამოირკვა, რომ კათალიკოზი აშკარათ განუდგა მართლმადიდებლობას. ეს ამბავი გამოამჟღავნა ზაქარიამ. თუმცა საშვალება ურიგო მოიხმარა: ანტონ პირველის კაპუცინებთან ბაასის დროს ის დამალული იყო ოთახში. უთანხმოების გამწვავების მეორე საბაბი ის, იყო, ზაქარია წინააღმდეგ კათალიკოზის ზომებს ზოგიერთ ეპისკოპოზებისა და მონასტრის




ლობის დროს; ორთავე კრებაზე მხოლოდ მღვდელმთავრები წარდგენილნი.

ზემორე მოკლე და სქემატიური მოთხრობა მაჩვენებელია ერთი საყურადღებო მოვლენისა, რაიცა თუმცა ისედაც იგულისხმება, მაგრამ ხშირათ უგულვებელყოფილი ხდება: ეკლესია, ანუ მორწმუნეთა საზოგადოება ერთია, მხოლოდ ერთი და იგივე არ არის „მწყესთა“ და „სამწყესოს“ უფლებამოსილება მასში. პირველთა უპირატესობა გამოიხატება ეკლესიურ მმართველობაში, რამდენადაც ისინი მაღლითცხებულნი არიან ეკლესიური კურთხევითა და ხელდასმით (ხიროტონია); ეს გარემოება-კი ეკლესიური თვალსაზრისით გარდუვალი მნიშვნელობისა და მასზევე დამყარებული არის ეკლესიური გრადაციები. აქედანაც უკვე სჩანს, რომ პირველთა მდგომარეობა უპირატესიც არის და ხარისხითა და შინაარსითაც განსხვავებული იმისაგან, რასაც სამწყსო ეწოდება. ამასვე ამბობს მოციქული: „უმცროსი უფროსისაგან იკურთხების (ებრ. 7. 7.). მაშასადამე ეკლესიაში არის: 1) კათეგორია მმართველი, 2) კათეგორია დაქვემდებარებული და თანაშემწე. აი ამ ორ დებულებაში იხატება ეკლესიური წესწყობილება.

ესლა დავხედოთ, რა სურათს იძლევა ამჟამინდელი ეკლესიური ვითარება ჩვენში: რუსეთის სინოდის მიერ მიტაცებული უფლება საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა და მცხეთის დაქვრივებულ კათედრაზე კვლავ აღიყვანა დამოუკიდებელი საჭეთმპყრობელი ეკლესია—სრულიად საქართველოს კათალიკოზპატრიარქი. საფიქრებელი იყო, რომ პასუხისმგებლობით დატვირთულ ეკლესიის თავს უნდა ეთაოსნა და ეუფროსნა მის ქვემდებარე სამწყსოზე სჯულის კანონზე დამყარებულ ძველ ქართულ ეკლესიურ წესების მიხედვით, მაგრამ ჩვენი ავტოკეფალიის ბედუქონლობა სწორეთ იმაში გამოჩნდა, რომ ის რევოლუციის მორევმა გამოატივტივა და სამშვიდობოში თავისი

წინამძღვართა თვითნებობის ასალაგმავად. ზაქარია დასწერა კათალიკოზის წინააღმდეგ მისი ზომების აბუჩათ ასაგდები სატირა «კარული» სამღვდელთა. სატირა ბოლოვდება იმით, რომ თავგები სხვა ცხოველების დახმარებით მოერევიან კატას, მოსწყვეტენ კუდს და გააძევენ. ამის გარდა, ზ. გაბაშვილს ხალხში გაქონდა არუ ცნობები კათალიკოზის თაობაზე და, მიუხედავთ იმისა, რომ ანტონ პირველმა უარყო კათალიკობა, ზაქარია მას მაინც მწვალებლად ჰსახავდა, აი ასეთი საქციელისათვის საეკლესიო კრებამ მას აპყარა მღვდლის ხარისხი. მოძღვარი ამის შემდეგ შეუწყნარებელ გზას დაადგა: ის გადავიდა ყიზლარში და იქიდან ასტრახანის, და სტავროპოლის სასულიერო მთავრობების სამუშალებით რუსეთის სინოდის სახელზე საჩივრებსა ჰგზავნიდა კათალიკ ასზე. სამწყსაროდ ცნობები არ მოიპოვება შესახებ იმისა, თუ რითი დამთავრდა ზ. გაბაშვილის არხების წერა. ცნობა გვაქვს მხოლოდ, რომ 1799 წლიდან ზაქარია ცხოვრობდა იმერეთში და იქვე გარდაიცვალა.



წუმპით გარშემოვლებული გადმოუშვა. ახირებულ იმდგომარეობა შეიქმნა, ერთიანად მავნე და დამამცირებელი ეკლესიისა და სამღვდლოებისათვის, სრულებით საწინააღმდეგო იმისა, რაზედაც დამყარებულნი არიან საღმრთო კანონები და ეკლესიური გარდმოცემანი. მავნე სულისკვეთება ტლანქათ გამოაშკარავდა პირველსავე საეკლესიო კრებაზე (ეკენისთვე, 1917), რომელიც მთელი თავისი შინაარსითა და წარმომადგენლობის უმეტესობით დაბალი ხარისხის ერობის ყრილობას უფრო წაავადა. აქ არ იყო არც ეკლესიური სული და განწყობილება, არც საღვთისმეტყველო ფიქრიანობა: სხვადასხვა მიზნით მოდიოდნენ ამ კრებაზე ერისკაცნი (სამწუხაროთ ზოგი სასულიერო პირიც), უკეთეს შემთხვევაში შეამჩნევდით რაღაცა ნასახს ერის მსახურების იდეისას, თორემ მომეტებულათ კრებაზე მოდიოდნენ რევოლუციური ნაღველის გადმოსახეთქათ; იყვნენ ისეთებიც, რომელნიც სიონის დრონანახ გუმბათის ქვეშ რევოლუციას „აღრმავებდნენ“, ერივნენ ისეთებიც, რომელთაც პირად ანგარიშების „დავთრის“ გარდა არა გააჩნდათ რა კრებაზე გამოსაჩენათ. ამ კრების მიერ შემუშავებულმა სტატუტმა კათალიკოზი უმოწყალოთ გადმონარცხა ისტორიულ ტახტიდან და მას დაუტოვა ისეთი „უფლებები“, რომლებსაც მისთვის რომელიმე სიღნაღის ქალაქის თავიც არ შეიშურებდა! ამავე კრებამ დააწესა უცნაური ტიპის სინოდი, საკათალიკოზო საბჭოთ წოდებული; ამ დაწესებულებამ თავისი დანიშნულება იმთავითვე ისე გაიგო, რომ მაინცაღამაინც კრიჭაში ჰდგომოდა კათალიკოზს და არ მიეცა მისთვის საშუალება ეკლესიის მცირედთა „დაჩავერისათვის“ ანონიმები ხმაურობდნენ და მეტიჩრობდნენ, ხოლო ერთადერთი პასუხისმგებელი „ნომოსი“ ათვალისწინებული და ოდიოზური იყო ამ მუზმუზელა ელემენტებისათვის. წავიდოდა სადმე კათალიკოზი, უმაღვე აღიძრებოდა კითხვა: რა მიზეზით? დააჯილდოებდა მღვდელს, ან თუ ხელდაჰსხმიდა განწყობულს, რათაო? ეკითხებოდნენ; დასწერდა რამეს გამოსაქვეყნებლათ, რა ნებითაო? გაჰკოდნენ!.. უმზგავსი მდგომარეობა იქამდის მივიდა, რომ საკათალიკოზო საბჭოს ერთი წევრის მიერ გაბრიყვებულმა ექვსმა წევრმა (ამ სტრიქონების დამწერიც ერია ამ სამარცხვინო ამბავში) „მემორანდუმი“ წარუდგინეს კათალიკოზს მის მიერ საკათ. საბჭოს და მგონი კიდევ ვილაცყების უფლებათა „მიმძღავრებისათვის“. მახსოვს, როცა ამ უწმაწური სხდომის შემდეგ „საქართველოს“ რედაქციაში შევიარე, და მეგობრებს ჩვენ მიერ კათალიკოზის „შეჩვენების“ ამბავი მოვუყევი, ბევრს ეხამუშა ეს თავხედობა, ხოლო ქართული მიმქრალი ლანდების გულთამხილავმა შალვა ამირეჯიბმა წამოიძახა: ბიჭოს ძველ დროში კათალიკოზებს ფეხზემდგომარე კრძალვით მოახსენებდნენ სიტყვას, ეხლა-კი მის გვერდით ხვერდის

სავარძელებში გადასწოლილხართ და „პროტოკოლებს“ ეკლესიის სული, ეკლესიის გარეთმდგომმა თურმე უკეთ იცოდა... და ასე გრძელდებოდა ეს გაუთავებელი „პრატაკოლების“ წერა თავის ტრაგიკულ დაბოლოვებამდის, როცა ყველასაგან განმარტოებულმა, ჯავრშემოყრილმა ეკლესიის რათახნის ჭირისუფალმა ველარ აიტანა საკათალიკოზო საბჭოს სულისშემხუთველი ატმოსფერა და მარტყოფის ხავსმოკიდებულ ზღუდეს მიანდო თავისი კმუნვის ფიქრები. მაგრამ ფიქრიც თურმე დავიშურეთ ამ შესანიშნავი ქართველისათვის: ისედაც განაწამებ მწყემსთავრის მიმხმარ გულისფიცარზე სისხლის გუბე უნდა დავვენახა, რომ გონზე მოვსულიყავით და ჰაზრთა და ყოფაქცევის რევიზია მოგვეხდინა...

ჩვენი ეკლესიის თანამედროვე ორგანიზაციის ერთ უდიდეს ნაკლს ის შეადგენს, რომ საკათალიკოზო საბჭოს (ფორმალურად ეთანხმება ბერძნულ სინოდს, ხოლო არსებითად რომ ვთქვათ უფრო წააგავს პროტესტანტულ Hochkirchlicher Rat-ს) წევრებად ერისკაცებიც ურევია, მაშასადამე მათი (ბევრშემთხვევაში მრავალწლივ უზიარებელთა, ან და სრულებით ურწმუნოთა) ხმებით მღვდელმთავრები ინიშნებიან კათედრაზე, ჯილდოვდებიან და კიდევაც ისჯებიან. ეს არა კმარა: ერისკაცები საეკლესიო კრებებზე თავმჯდომარეობენ (თქვნი უმორჩილესი მონაც ყოფილა ამ მისთვის შეუფერებელ როლში) და, ცხადია, აუცილებელ გავლენას ახდენენ როგორც სხდომის მსვლელობაზე, აგრეთვე საკითხთა მიმართებაზე. იყო შემთხვევა, როცა თავმჯდომარე-ერისკაცმა კრებაზე ეპისკოპოზს სიტყვა ჩამოართვა, იყო ისეთი შემთხვევაც, როცა თავმჯდომარე-ერისკაცის დაუნიებითი ჩარევით ერთი საეპისკოპოზო კათედრა გაუქმებულ იქმნა, ხოლო ერთი სამიტროპოლიტო კათედრა საეპისკოპოზოდ გადაიწერა. ასეთი მოვლენები პავლე მოციქულის ებრაელთა მიმართ ეპისტოლის მეშვიდე თავს სავესებით ამოფხეკილად ჰგულისხმობენ საღმრთო წერილის წიგნებიდან!

მაშ ეს ხომ კათოლიკური ქადაგებაა, მეტყვიან, ეს ხომ გარკვეული აღიარებაა, იმ პრინციპისა, რომ ეკლესიაში მღვდელი ყველაფერია, ერი—არაფერი! ასეც არის და არც არის: საქმე იმაშია, თუ როგორ მივუდგებით საკითხს. საეკლესიო საქმეებში ერისკაცთა მონაწილეობის წინააღმდეგ მე—თანახმად მართლმადიდებელი მოძღვრებისა—არაფელი მეთქმის, პირიქით, რაც მეტ თაოსნობასა და მხურვალებას გამოიჩენს ერი მორწმუნე, მით უკეთესი ეკლესიისათვისაც. მართლმადიდებლობის იდეალი სწორეთ იმაში გამოიხატება, რომ კაცობრიობა ერთმორწმუნე „ქრისტეს თემათ“ იქცეს: „რათა ყოველი ცუდი და მიწიერი შეერთდეს ქრისტეს მიერ“ (ეფ. 1, 10). მაცხოვარიც ხომ ამისთვის ლოცულობდა: „მამაო წმინდაო!

დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რათა შევინანო ერთ, ვითარცა ჩვენ“ (იოანე 17, 11), მაგრამ ვადაჭარბება, როგორც ყველაფერში, არც აქ ვარგა! უკვე მოციქულთა დროიდან ქრისტიანულ საზოგადოებებს ხელმძღვანელობდნენ ეპისკოპოზები და იმავე დროთაგან ასეთ ერთეულებს „ეკლესიის“ სახელწოდება ენიჭებოდა: „როგორც ვასწავი ყოველგან, ყოველსა ეკლესიასა შინა“ (კორნით. 4, 17). ეპისკოპოზი უფროსი მმართველია, უპირატესი ეკლესიაში, მწყემსთავარი: „დამწყესთ ღვთისა ცხოვარნი—მიჰმართავს ეპისკოპოზებს მოციქულთა თავი,—მაგრამ იქვე შეჰნიშნავს, რომ ეს გარემოება მიუყარებლობასა და ამპარტავნობაში კი არ უნდა გადავიდეს, არამედ სრულდებოდეს ხალისით, გულმხურვალეობით, უანგაროთ; წმიდა პეტრე უკრძალავს ეპისკოპოზებს ღვთის სამკვიდრებელზე ბატონობას, ხოლო ამავე დროს ხალხს მოუწოდებს ემორჩილებოდნენ მღვდელმთავრებს (პირველი ეპისტ. თავი 5. 2, 3, 5). ასე შეთვისებული ეკლესია მუდამ იდგება კმასაყოფელ დონეზე, ამ მცნებით ხელმძღვანელობა მას ააშორებს, როგორც კათოლიკურ „პატროკრატის“, ასევე აღმოსავლურ ეკლესიის ზოგიერთ შტოებში შემოღებულ „დემოკრატის“...

ეკლესია უნდა იმართებოდეს ეპისკოპოზების მიერ მორწმუნე ერის მონაწილეობითა და შეწევნითა. მღვდელმთავართა პრიორიტეტობის პრინციპი ცხადთა და ყოველივე ექვის აღუძვრელათ უნდა იქმნას გატარებული ეკლესიურ სხეულში თავიდან ბოლომდის. ამავე პრინციპზე აგებული უნდა იყოს ეკლესიის მმართველი—ადგილობრივ კრებას.

რ. ინგილო.

## საქართველო და სამართაშორისო უფლება.

Louis Le Fur,

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი.

საერთაშორისო უფლების ცნობილმა პროფესორმა ბ. Louis Le Fur-მა ფრიად მნიშვნელოვანი შრომა უძღვნა საქართველოს საკითხს. ამ შრომის მთავარი თემაა: საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი სახეობა. პატივცემულმა ავტორმა შეარჩია და თავი მოუყარა ყველა იმ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველო-რუსეთის შორის ურთიერთობაში. ეს ფაქტები და მოვლენები დააფასა და განმარტა საერთაშორისო უფლების თვალთაზრისით და დაასკვნა, რომ საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი სახეობა, უდაოდ მიჩნეული მე-18 საუკუნის



ბოლომდე, ასევე შეუღახავი დარჩა, და განაგრძობს არსებობას, მიუხედავად რუსეთის მიერ არაერთხელ დაპყრობისა. მკითხველის ინტერესს არ იქნება მოკლებული, რომ აქ აღვნიშნოთ მოკლედ ავტორის გამოყენებული მთავარი ისტორიული საბუთები.

„1783 წ. 24 ივლისამდე, საქართველოს საერთაშორისო იურიდიული მდგომარეობა, არავითარს სიძნელეს არ განიცდიდა. საქართველოს სახელმწიფო იყო სრულიად სუვერენული საშინაო და საგარეო საქმეებში. საქართველო იყო სრული საერთაშორისო პიროვნება.

1783 წ. საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება არის ორ თანასწორუფლებიან სუვერენულ სახელმწიფოთა შორის დადებული საერთაშორისო ხასიათის შეთანხმება. ამ ხელშეკრულებით საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ მოხვდა. საქართველო რჩება სრულიად სუვერენული, შიდამმართველობის საქმეში. ხოლო მისი სუვერენობა საგარეო საქმეებზედ ოდნავ იზღუდება. ხელშეკრულების მე-5-ე მუხლი უფლებას უტოვებს საქართველოს იყოლიოს აქტიური და პასიური წარმომადგენლობა. მართალია ეს უფლება ფორმალურად ცნობილია მისთვის მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობაში, მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ უფლებით შეეძლო მას ესარგებლნა სხვა სახელმწიფოთა მიმართ ურთიერთობაშიაც.

1795 წელს რუსეთმა არ აღმოუჩინა სამხედრო დახმარება საქართველოს და არ დაიცვა სპარსელების შემოსევისაგან. საერთაშორისო უფლებაში უდაოდ მიღებულია, რომ როდესაც ხელშეკრულების დამდებთაგანი ერთი მხარე არ შეასრულებს მის მიერ მიღებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს სრული უფლება აქვს ხელშეკრულება დარღვეულად ჩისტვალოს.

1783 წ. ხელშეკრულება, მიუხედავად იმ უპირატესობისა, რომელსაც ის ანიჭებს რუსეთს როგორც მფარველ სახელმწიფოს, სრულიად არ ლახავს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ის არ აუქმებს, და თუმცა შესუსტებულად, მაგრამ მაინც სტოვებს საქართველოს საერთაშორისო იურიდიულს პიროვნებას. რუსეთი არ დაკმაყოფილდა მის მიერ მიღებულ ვალდებულებათა აღუსრულებლობით; მან ძალადობა მოახდინა საქართველოზედ და 1801 წელს სავანებო მანიფესტით გააუქმა საქართველოს დამოუკიდებლობა.

უდავოა, რომ ხელშეკრულების ამ ორჯერ დარღვევისა და ძალადობის შემდეგ, 1783 წლის ხელშეკრულება საერთაშორისო უფლების-და-მიხედვით დარღვეულია და არარსებული. საქართველომ თეორიულად აღიდგინა სრული დამოუკიდებლობა; მაგრამ მისი პრაქტიკული განადგების შესაძლებლობას სპობდა რუსეთის მიერ საქართველოში ჩაყენებული ჯარი. აღსანიშნავია, რომ რუ-

სეთის მიერ მოხდენილი საქართველოს ანექსია, არც ერთს უცხო სახელმწიფოს არ უცენია. პირიქით, ამ ანექსიის გამო პროტესტი განაცხადა: ინგლისმა, საფრანგეთმა, ოსმალეთმა და სპარსეთმა. საქართველოს საკითხი აღძრულ იქმნა პარიზის 1856 წლის კონგრესზე.

მთავარია, რომ ქართველი ერი არ შერიგებია საქართველოს სამხედრო ოკუპაციას და ერთი საუკუნის განმავლობაში შვიდი ამბოხება მოახდინა. 1907 წელს ქართველმა ერმა პეტიციით მიმართა ჰაგის სამშვიდობო კონფერენციას, — პროტესტი განაცხადა რუსეთის მიერ ჩადენილი ვერაგობის გამო და მოითხოვდა თავის შელახული უფლებების აღდგენა.

რუსეთის მიერ ფაქტიურად გაუქმებულმა საქართველოს სახელმწიფომ შეინარჩუნა იურიდიული უფლება დამოუკიდებლობისადმი. ეს გარემოება უადვილებს მას ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. საკითხი სდგას არა ახალი სახელმწიფოს შექმნის, არამედ ძველად არსებული სახელმწიფოს აღდგენის. საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის მუდამ არსებობდა ორი არსებითი მთავარი ელემენტი — ტერიტორია და მოსახლეობა.

1917 წ. რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების დროს საქართველომ ისარგებლა თავისი უდაო უფლებით და სახელმწიფოებრივი სუვერენობა აღადგინა.

საბჭოთა რუსეთმა 1920 წელს 7 მაისის ხელშეკრულებით იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, და უარი სთქვა მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე.


1920 წელს 11 იანვრის ვერსალის კონფერენციაზედ წარმოდგენილმა მოკავშირეებმა იცნო საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობა. 1921 წ. 27 იანვარს, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ იცნო მისი იურიდიული დამოუკიდებლობა. საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო სხვა დანარჩენმა დიდმა და პატარა სახელმწიფოებმა.

1920 წელს ერთა ლიგის პირველ სესიაზედ გაირჩა საქართველოს ერთა ლიგაში დაშვების საკითხი. ერთა ლიგის არცერთს წევრს არ გამოუთქვას პრინციპიალური წინააღმდეგობა.

უცხო სახელმწიფოთა მიერ საქართველოს ცნობამ კვლავ დაუბრუნა უკანასკნელი ერთა საერთო ოჯახს. საქართველო კვლავ გახდა სუვერენული პიროვნება ხალხთა უფლებისა. საბჭოთა რუსეთმა კვლავ დაარღვია 1920 წლის ხელშეკრულება და 1921 წელს სამხედრო ძალით საქართველო დაიპყრო.

ქართველი ხალხი არ შეურიგდა საოკუპაციო ხელისუფლებას 12 წლის გამანავლობაში რამოდენიმე ამბოხება მოაწყო, რომელთაგან ფრიალ შესანიშნავია 1924 წლის ამბოხება.

საქართველოს დღევანდელი იურიდიული მდგომარეობა უფრო რთულია, ვინემ ეს იყო 1801 წ. ოკუპაციის შემდეგ, რომლის



შედეგად საქართველომ დაკარგა ფაქტიურად საერთაშორისო უფლებრივი სახიობა. დღეს კი ძალით გასაბჭოებული საქართველო შედის საბჭოთა სოციალისტურს კავშირში ცალკე რესპუბლიკის სახელით. საქართველოს ეს გასაბჭოება და მისი დაპყრობა არ არის ცნობილი არც ართი უცხო სახელმწიფოს მიერ. ძველი სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობა არსებობს ზოგიერთს სახელმწიფოში, საფრანგეთში საქართველო წარმოდგენილია პარიზში ლეგაციის სახით. აქედან ცხადია, რომ საფრანგეთს არასოდეს უცვნიან, საქართველოს ოკუპაცია საბჭოების მიერ.

ინგლისისა და საფრანგეთის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობის ტექსტში შეტანილია სათანადო რეზერვი, საქართველოს შესახებ.

არცერთს მსოფლიო კონფერენციაზედ, საბჭოთა რუსეთის დელეგატი არ იქმნა ცნობილი და მიღებული საქართველოს წარმომადგენლად.

დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს, არა ერთხელ გამოუთქვამთ სურვილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა:

ერთა ლიგაში მუდმივად სდგას საქართველოს საკითხი, რომელიც აქტუალური გახდება და დღის წესრიგში დადგება, როგორც კი აღიძრება საკითხი საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგაში დაშვების შესახებ.

საქართველოს საკითხის ასეთი ობიექტიური განხილვის შემდეგ ავტორი დაასკვნის, რომ საქართველო უფლების სფეროში არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს დამოუკიდებლობა ორჯერ იქმნა რუსეთის მიერ ძალით გაუქმებული, ეს ძალადობა დაგმობილია და გასამართლებელი თანამედროვე საერთაშორისო უფლების მიერ.

პატივცემული ავტორი ასე ათავებს თავის ამ შესანიშნავს შრომას:

„საქართველო ყოველთვის მთლიანი შებრძოლება ჩრდილოეთისა და სამხრეთის თავსდამსხმელთ, და თუ ის გააგრძელებს მთლიანად ბრძოლას საქმით და არა მხოლოდ სიტყვით, მისი მომავალი იქნება ისეთი, როგორც ყოფილა ყოველი ერის, რომელსაც უბრძოლია თავის დამოუკიდებლობისათვის. შეუძლებელია ქართველი ერის მიერ წარმოებული ბრძოლა ადრე თუ გვიან გამარჯვებით არ დაგვირგვინდეს. სასურველია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნოებში განთავისუფლებულს ერთა რიცხვს კიდევ ერთი ერის, საქართველოს სახელიც მოემატოს“-ო.

პატივცემული ავტორი ასე ასაბუთებს და ამავრებს საქართველოს უფლებას დამოუკიდებელ არსებობისათვის. პიროვნებისა და ეროვნებათა თავისუფლების სამშობლოს, საფრანგეთის კეთილშობილ შეილთავან კიდევ ერთმა აღიმაღლა ხმა დაპყრობილ საქართველოს უფლებათა დასაცავად.

## ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო .

საქართველოში, ისევე, როგორც საბჭოთა სხვა რესპუბლიკებში გრძელდება საშინელი ვაკხანალია ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგებში. კომუნისტებმა რომ დაასრულეს საქარხნო წარმოებათა სრული ბიუროკრატიზაცია, შემდეგ ისევე მოახდინეს სასოფლო მეურნეობაში და მთელი გლეხობა კომუნისტურ მეურნეობებში შერეკეს და მით სახელმწიფოს მოხელეებათ გახადეს. ამის შედეგი ის იყო, რომ ამ გლეხობამ შეამცირა სამეურნეოს მუშაობა, ვინაიდან ამ შრომის ნაყოფი მის ხელში არ რჩებოდა. თვით კომუნისტური გახეთქები აღნიშნავენ, რომ მრავალ კოლხობებში მის წევრთა სამუშაო დღეების ნახევარი ამ ვითომდა მმართველობას მოხმარდა და მხოლოდ მეორე ნახევარი ნამდვილ სამეურნეო საქმეს. ამის შემდეგ ნათელია, რომ ოდესღაც პერით უმდიდრესი რუსეთი—მუდმივი სიმშვილის „სამოთხეში“ მოექცა. მოგვყავს აქ რამოდენიმე მაგალითები კომუნისტურ მეურნეობის ცხოვრებიდან.

### ბამბა აულებლად ღებდა.

საქართველოს ფარგლებში ბამბის აღებისა და ჩაბარების შესრულება უდრის გეგმის 30%, ზოგან 20%; ამ საქმეზე ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს 900-1000 კაცი. ფექტიურად-კი მუშაობს 82 კაცი

### ასევე ბოსტნეულობის საქმე.

(„კომუნისტი“, № 230)

დასავლეთ საქართველოში შესრულებულია გეგმის 210%, აღმოსავლეთში—280%.

(„კომუნ.“, № 230).

### ფერო-მარგანცის ქარხანა.

„განიცდის აუარებელ დეფექტებს. ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს გეგმით 1515 მუშა; ფაქტიურად-კი მუშაობს 865“.

(„კომუნ.“, № 229).

### რკინის-გზებზე ვაკხანალია.

ფერო-მარგანცის ქარხნისათვის გამოწერილი ზოგიერთი მოწყობილობა დაიკარგა, ზოგიერთი კიდევ ბაქოში თუ სხვაგან ყრია და ფუჭდება.

(„კომუნ.“, № 229).

### რიონჭესი.

გვირაბების მუშაობიდან სრულდება გეგმის მხოლოდ 310%; 770 მუშის ნაცვლად მუშაობს 279.

(კომ. № 231).

### ცუბულის ნახშირი.

1500 ტონის ნაცვლად დღიური ამოღება უდრის 809 ტონს. რკინის გზა 50 ვაგონის ნაცვლად აწვდის მხოლოდ 25. (კომ. 0/0 234).

### თივის დამზადება.

გვემის მიხედვით კარაბულახის საბჭოთა მეურნეობაში უნდა დამზადებულიყო 1776 ტონა თივა; ფაქტიურად დამზადდა მხოლოდ 263 ტონა. ბაშკიჩევის რაიონში უნდა დამზადებულიყო 63,800 ფუთი თივა; ფაქტიურად-კი დამზადდა 12,682 ფუთი, ესე იგი გვემის 20%.

(„კომუნ.“, № 236).


### ქართველი „უკლონისტები“

მამია ორახელაშვილის მოხსენებამ, წაკითხულმა ამა წლის 22 თებერვალს, თბილისში კ. პ. ც. კ. პლენუმზე ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლის შესრულების გამო, საქვეყნოდ ფარდა ახადა „საქართველოს კომუნისტურ პარტიის“ არეულ-დარეულ შინა ვითარებას.

მკითხველის საყურადღებოდ მოგვეყავს შემოკლებით ცნობილ ქართულ „უკლონისტის“ (გადახრანი) ის ცოდვები, რომელსაც აბრალებს თავის მოხსენებაში ქართველ კომუნისტებს მოსკოვის ერთ-გული ბოქაული მ. ორახელაშვილი.

„ლენინის რუსეთი მოგვეხმარა საქართველოში ბურჟუაზიულ ძალა-უფლების ჩამოგდებაში და მისივე დახმარებით ახლა გამთელებული ამიერ-კავკასია დაადგა თავის აღორძინების გზას... მაგრამ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიის, განსაკუთრებით მის ქართულ ნაწილიდან გამოსული „ნაციონალ-უკლონისტების“ ჯგუფი, ყოველ მხრივ აჩერებდა საბჭოთა ამიერ-კავკასიის სრულ გაერთიანების საქმეს. 1921 წელს ჩვენ მხოლოდ შეეძელით ამიერ-კავკასიის რკინის-გზების გაერთიანება და „ვნეშტორგის“ დაწესება. ჩვენ მიერ არჩეული ფედერაციის გზა ეთანხმებოდა ლენინის სურვილსა. 28 დეკემბერს 1921 წელს ლენინმა გაუგზავნა სტალინს პროექტი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, სადაც იგი ამბობდა: 1) ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსება ჩაითვალოს პრინციპიალურად და აბსოლიუტურად სწორ პოზიციად და განხორციელებულ იქნას; 2) მიეცეს წინადადება ც. კომიტეტს საქართველოსი, აზერბაიჯანისა და სომხეთისა—გაატარონ ეს გადაწყვეტილება ცხოვრებაში“.

ამხ. სტალინმა მოსთხოვა ლენინს ამ გარდაწყვეტილების ადგილობრივად მიღებისათვის ორი-სამი თვის ვადა. ლენინმა უპასუხა: ვიღებ ამ თქვენს შესწორებას. 1921 წლის ბოლოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის პროექტი ერთხმად მიღებული იყო პოლიტიბიუროში: ლენინის, ტროცკის, კამენევის, მოლოტოვის და სტალინის ხმებით. ამავე ხნიდან ქართველ კომუნისტების ჯგუფმა, ბუღუ მდივნის მეთაურობით, დაუწყა ბრძოლა ც. კ. დირექტივას ფედერაციაზე. მაგრამ მიუხედავად ქართულ „ნაციონალ-უკლონისტების“ ცხარე წინააღმდეგობისა ჩვენ მაინც გავატარეთ ფედერაციის პროექტი ამიერ-




კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში, პროფკავშირებში, კომსო-  
მოლში და მშრომელთა მასებში. ამის შემდეგ „ნაციონალ-უკლონის-  
ტების“ ბრძოლა იღებს უფრო აგრესულ ხასიათს. იწყება სისტემა-  
ტიური იერიშები „ზაკფედერაციის“ ცენტრალურ ორგანოების ძალა-  
უფლების შერყევის მიმართ. ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმის კარნა-  
ხით ქართველი „უკლონისტები“ აცხადებენ, რომ „ცოცხალ ორგა-  
ნიზმებად ითვლებიან მხოლოდ რესპუბლიკები და „ზაკფედერა-  
ციის“ ცენტრალური ორგანო-კი არის მხოლოდ შემათანხმებელი და-  
წესებულება, მოკლებული „იმპერიუმს“ ე. ი. ამიერ-კავკასიის ფე-  
დერაცია მათ მიერ ცხადდება როგორც „ვივესკა“ და წინ წაყენებუ-  
ლი იყვნენ ცალკე რესპუბლიკები თავის „დამოუკიდებლობის უფ-  
ლებათა“ ატრიბუტები. თუმცა, იმავე დროს, „უკლონისტები“  
ფორმალურად არ უარყოფდნენ რ. ს. ფ. რ-თან შორეულ კავშირის  
დაჭერის საჭიროებას.

რა ასაზრდოებდა საზოგადოთ „ნაციონალ-უკლონიზმს“ კომ-  
პარტიის რიგებში? იგი გაიზარდა „ნების“ საფუძველზე. კერძოდ  
ქართული „უკლონიზმი“ კი დაიბადა იმ ტენდენციებიდან, რომლის  
მიზანია დაუმკვიდროს „ქართველ ერს“, ამიერ-კავკასიის ხალხებს  
შორის, პრივილეგიური მდგომარეობა თბილისისა და ბათუმის, ამ მნიშ-  
ვნელოვან პუნქტების, მისთვის დასაკუთრებით.

ამ ორ დიდ კვანძთა და უფლებით ქართულ „უკლონისტებს“  
უჩნდებოდა მრავალი შესაძლებლობანი განევიტარებინა თავის პრი-  
ვილეგიები აზერბაიჯანისა და სომხეთის ხარჯზე.

მოვიგონოთ ახლა „უკლონისტების“ პრაქტიკის მაგალითები:  
ვის არ ახსოვს მათი დეკრეტი თბილისის გაწმენდის შესახებ, რომე-  
ლიც უნდა თავშივე სომხების განდევნას შესდგომოდა; ანუ გავიხ-  
სენოთ სტალინის თქმით ის „მხეცური დეკრეტი“, რომლის ძალით  
საქართველო უკეტავდა თავის საზღვრებს დანარჩენ საბჭოთა რეს-  
პუბლიკის მოქალაქეებს? ან ის დეკრეტი, რომელიც ართმევდა ქვე-  
შევრდომობის უფლებას ქართველ ქალს გათხოვილს უცხოელზე!  
ან ფაქტი ბათუმის ნავთის რეზერვუარების დენაცონალიზაცია და  
მათი გადაცემა საკონცესიოდ საბჭოთა ქვეყნების დაუძინებელ მტრი-  
სათვის როგორც „სტანდარტ ოილის“ კონცერნი? ან როგორ მოგ-  
წონთ მათი ეკონომიური ორიენტაცია დასავლეთზე, იმის მომიზეზე-  
ბით, რომ „სტამბოლში უფრო იაფი საქონელიაო“? უნდა აქვე გავი-  
ხსენიოთ „უკლონისტების“ გაალმასებული წინააღმდეგობა ბოლშე-  
ვიკურ აგრარულ პროგრამის გატარებისათვის... მათი ცხარე ცდები  
ქართული წითელ ჯარის დაარსებისათვის (პირველ ხანში არა ნაკლებ  
40.000-სა) და დაკავშირებულ საერთო წითელ არმიასთან მხოლოდ  
სამხედრო ოპერატიულ მოქმედებაში და სხვა და სხვა...

„ნაციონალ-უკლონიზმის“ სახით ჩვენ თავს გვევლინებოდა საბჭო-



თა ფრონტის დასუსტების საფრთხე და აგრეთვე ბურჟუაზიულ წეს-წყობილების რესტავრაციის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ ამხ. სერგ. ორჯონიკიძის თაოსნობით ქართულ „ნაციონალ-უკლონიზმზე“ გამანადგურებელი იერიში მიიტანა. ამას მოჰყვა ბოლშევიკურ ხაზის გამარჯვება და 1922 წელს ჩვენ დავაარსეთ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ-ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა. ფედერატიულ კავშირის ნაცულად აღმოცენდა მთლიანი ფედერატიული რესპუბლიკა. ეს იყო მთავარი მიღწევა ბოლშევიკურ პარტიისა ამიერ-კავკასიაში.

მაგრამ რეციდივები „უკლონიზმისა“ მაინც მეორდებოდნენ—საქართველოშიც და აზერბაიჯანშიც. ბრახმორევეული იერიში ამიერ-კავკასიის ფედერაციაზე მოიტანა ახლა გაერთიანებულმა ოპოზიციამ ტროცკი-ზინოვიევისამ. მემარცხენე ოპოზიციამ შეჰკრა კავშირი მემარჯვენე ქართველ „უკლონისტებთან“ და ერთად კვლავ ნიშანში ამოიღეს „ზაკფედერაციის“ ორგანიზაცია. „საბჭოთა ცენტრალიზაციამ, დაყრდნობილი დიდმყრობელობის შოვინიზმზე, გააფუჭა დამოკიდებულება ცენტრისა და განაპირა ქვეყნების შორისა“, გაიძახოდნენ ჩვენი მოიერიშენი. მაგრამ ვერც ამ იერიშებმა ვერაფელი დააკლეს „ზაკფედერაციის“ ციხე-სიმაგრეებს და ოპოზიციონერები დამარცხდნენ.

მაგრამ ეს ჩვენი გამარჯვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მომავალში ეს ამბავი აღარ განმეორდება. გვენდა თუ არა, ამიერ-კავკასია მუდამ წარმოდგენილი უნდა გვქონდეს როგორც „კლასთა გამწვავებულ ბრძოლის რაიონი“; ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევასუსტოდ ჩვენი კლასობრივი მზად ყოფნა შებრძოლებისა. მით უფრო, რომ ჩვენ ჩამწყვედეული ვართ კაპიტალისტურ ქვეყნების სამტრო რკალში... ალბათ ემიგრანტებიც ეცდებიან და კვლავ შემოგვასევენ აქა-იქ თავის ბანდიტებს... შესაძლებელია „კოლხოზებშიც“ ანტიკომუნისტურ ელემენტებმა მოახერხონ აფეთქებების მოწყობა სხვა და სხვა კუთხეებში... ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ასაზრდოვეებს ჩვენს პარტიაში სხვა და სხვა ჯურის უკლონიზმს... მათ შორის ყველაზე საშიშია მემარჯვენე უკლონისტობა და მასთან სასტიკი ბრძოლა შეადგენს ერთ-ერთ უმთავრეს საქმეს, პროლეტარული დიქტატურის დარაჯის ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიისა“.

„(ზარია ვოსტოკა“, 29 თებ. 1932 წ., № 50).

## საით მიდის კავკასია?

ამ სათაურით, ქართულ ასოციაციის კრებაზე 25 ივნის, Musée Social-ის დარბაზში, წაიკითხა მოხსენება ბ-ნ დავით ვაჩნაძემ. იგივე მოხსენება „კავკასიის პრობლემის“ სახელით, რუსულ ენაზე ვაჩნაძემ გაიმეორა კავკასიელთა აუდიტორიის წინაშე 6 აგვისტოს. მოხსენებას წინ უძღვოდა გეოგრაფიული და სტატისტიკური განმარტებანი კავკასიურ რუქებისა.

წინასიტყვაობაში მომხსენებელმა აღნიშნა მიზანი თავის გამოსვლისა: „დამტკიცება იმ აზროვნებისა, რომელიც დღეს კავკასიის ერთა კავშირისათვის (კონფედერაციისათვის) იბრძვის“.

მოხსენების პირველ ნაწილში დ. ვაჩნაძე უყრის ჯამს მოსკოვის ბატონობის 12 წლის ნამუშევარს კავკასიაში და მთელ რიგ საბუთიან ფაქტების აღწერის შემდგომ ამბობს: „მიუხედავად ტირანულ რეჟიმისა, დაუსრულებელ სისხლიან ტერორისა, მასიურ გადასახლებისა და მკაცრებისტური მეთოდებით კავკასიის ერებში გათიშვის პოლიტიკის წარმოებისა, მოსკოვის ძალა-უფლებამ კავკასიის ვერც ერთ კუთხეში ვერ მოიკიდა ფეხი. პირიქით, კავკასიურ წიაღიდან, მან გამოიწვია მის ხალხთა ეროვნულ-გაერთიანებული სტიქიური მოძრაობა და საერთო მტრის წინააღმდეგ, შეაკვრევინა უჩუმარი კავშირი, რომელსაც ეხლა ველარავითარი ძალა ველარ დაშლის. ეს მოვლენა არ არის შემთხვევითი. საერთაშორისო მორიგება, კავშირი ან ერთგაერთიანება კავკასიაში არც ახალია... მას ძველ დროიდან მაგარი და ღრმა ძირი აქვს კავკასიურ ნიადაგში გადგმული“; ამ დასკვნის დამტკიცებისათვის მეოფე ნაწილში ბ-ნი დ. ვაჩნაძე გადაუშლის მსმენელთ ისტორიულ მასალას, დაყრდნობილს: ივ. ჯავახიშვილის, ზ. ავალიშვილის, ლატიშევის, კოვალევსკის და სხვა ისტორიკოსების ნაშრომებზე.

«თითქმის ყოველი საუკუნე შორეულ ისტორიისა მოწმე ყოფილა კავკასიის ერთა მთლიან თუ ნაწილობრივ შეთანხმება-კავშირებისა და ერთმანეთისათვის მუდმივი დახმარების გაწვევისა საერთო მტრის დასაძლეველად. საშუალო საუკუნეები ხომ ამ მხრივ იძლევიან საუცხოველ მაგალითს კავკასიურ ძველ ერთობის ტრადიციის არსებობისა. ქართველ ბაგრატიონთა ნიჭით და უნარით შექმნილი თავისუფალი კავკასია (საქართველოს ოქროს ხანა) იყო არა უნიტარული სახელმწიფო, არამედ უფრო მთლიანი კავშირი კავკასიური ქვეყნებისა, როგორც ქრისტიანულისა ისე მუსულმანულისა. თავისი საკუთარ მფლობელთა სათავეში, თავისუფალთ, როგორც შიგნით ისე ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, მხოლოდ გაერთიანებულთა ბაგრატიონთა სკიპტრით. მის ცენტრებად მაშინ ითვლებოდა არა მარტო თბილისი, არამედ შირვანშახების ქ. შემახა და სომხეთის აღორძინებული ქ. ანისი. კავკასიის ამ თავისუფლების ეპოქის შექმნაში დიდი წილი ედოთ მთელთა ერებსაც, მეტადრე სამხედრო ძალის შექმნის საქმეში. თვით თამარი იყო გათხოვილი ოსეთის მფლობელზე დავით სულხანზე.

ამ გვარად ეს წარსული ისტორიული ამბები აშკარად ამარცხებენ უსახელებით შეთხზილ ცილისწამებას, ვითომც კავკასიის ერებს არ შეუძლიანთ მეგობრული სხოვრება“-ო.



ახალ ეპოქასა, რომელმაც თან მოიტანა კავკასიაში რუსეთის ბატონობა, ბ-ნი ვაჩნაძე, ასურათებს შესაფერ ისტორიულ ფაქტებით და უკანასკნელი ახლო დროის სოცხალ მაგალითებით, საიდანაც გამოჰყავს იმავე რწმენის აზრი, რომ: „რუსეთის ბატონობის პირობებშიც ტრადიციული მისწრაფება კავკასიელებისა ერთმანეთთან დაახლოვებისა და ერთობისა არას დროს არ ჩამქრალა, და თუ რუსეთთან ისტორიულ გამიჯვნის უამს, 1917-21 წ.წ., კავკასიელ ერებმა ვერ მოახერხეს რუსეთის უღლიდან საბოლოოდ თავის დაღწევა, ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ კავკასიაში ჯერ კიდევ ვერ იყო დაძლეული მძიმე მემკვიდრეობა უსხოელთა გამთიშველ პოლიტიკის ბატონობისა, რომ კავკასიის მიწა-წყალი რუსეთ-ოსმალეთის უჩუმარ დავის საგნად ქცეული, კავკასიელი ერების მოაქცია სამი ორიენტაციის სფეროში:

მუსულმანების სიმპატიები მიიმართებოდა ოსმალეთისაკენ.

ოსმალეთის გაქლეთის მუქარის ქვეშ მდგომნი სომხები რუსეთისაკენ მიიწევდნენ.

ქართველობა, რომლებიც არც რუსებს და არც თურქებს ენდობოდა, ეძებდა დანაშაულებას თავის ეროვნულ სახელმწიფოს აღდგენისათვის ევროპაში.

ამ სამმა დაპირისპირებულმა ორიენტაციამ გავლიჯა 1917 წელს ამიერ-კავკასიის სეიმი და ჩაფუშა 1920 წელს ევროპის სახელმწიფოთა კონფერენციაზე სანრემოში კავკასიელ ერთა შეთანხმებას. მას შედეგად მოჰყვა რუსეთის კავკასიაში ხელ-ახალი და ადვილი შემოჭრა.

„ურემი რომ გადაბრუნდება გზა მაშინ გამოჩნდება“—ამ ანდაზით იწყობა უკანასკნელი თავი ბ. დ. ვაჩნაძის მოხსენებისა.

1924 წელს საქართველომ სცადა მარტოც გამკლავებოდა შემოსეულ ძლიერ მტარვალს და გადაბრუნებული ურემი ქართველის ხელით აეყენებინა—მაკრამ დამარცხდა... მას არ გაუჩნდა მაშველი არც ევროპიდან, და არც აზიიდან. სწორი გზა აშკარად გამოჩნდა...

ამ დღიდან კავკასიის ერებში ხდება სხადი გადატეხა. იწყება ერთმანეთისაკენ ლტოლვა და სურვილი დაკავშირებისა საერთო ბრძოლის ორგანიზაციულ ფორმებში. მის სათავეში დგება თვით პატრონი კავკასიის მიწა-წყლისა—მისი გოენობა.

ამ დღიდანვე კავკასიურ პოლიტიკურ წრეებშიც დაიწყო მუშაობა კავკასიურ გამაერთიანებელ პოლიტიკურ ფორმულების გამოხატვისათვის. ავანსენაზედ გამოჩნდნენ კავკასიის კონფედერალისტები. მათის აზრით გეოგრაფიული და სტრატეგიული პირობები, აგრეთვე ეკონომიურიც, არ აძლევენ საშუალებას რომელიმე მისი ნაწილისათვის თავისათვის განსაკუთრებულ პრივილეგიურ პოლიტიკურ მდგომარეობის შექმნისათვის. რომ თავისუფლება ერთისა მჭიდროდ გადაწეულია დანარჩენ კავკასიულ ერების თავისუფლებასთან, ესე იგი თავისუფალი უნდა იყოს მთელი კავკასია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაცვა კავკასიელ ერების თავისუფლებისა, რასაკვირველია, კავკასიელ რესპუბლიკების მტკიცე და მუდმივ

საერთო კონფედერატიულ საფუძვლებზე შეკრულ კავშირის შემწეობით.

შემდეგ ბ-ნ ვაჩნაძეს მოჰყავს კონფედერაციის კონსტიტუციის მთავარი მუხლები და ამტკიცებს, რომ კავკასიელ ერთა პირობები და ისტორიული ტრადიციები სავსებით შეეგუებიან კონფედერაციის დაწესებულების საფუძვლებს, დაწვრილებით განიხილავს კავკასიელ ერთა დამოკიდებულებას რასიულ, რელიგიურ და ტერიტორიალურ სფეროში, სადაც არ ხედავს ამ ერთა გათიშვისათვის რაიმე სერიოზულ საბუთებს. მას ერ აწინებს ორიენტაციის საკითხიც, რადგან ამ ხანად მწარე სინამდვილემ ყველას ნაღდათ გაუშრუვა ყველა ორიენტაციები გარდა ერთისა და საერთოსი—კავკასიურისა.

დასასრულ ბ-ნი დავით ვაჩნაძე უკეთებს თავის მოხსენებას შემდეგ საერთო დასკვნას:

1. მიუხედავთ კავკასიის ერების რასიულ და რელიგიურ სხვადასხვაობისა, მრავალ საუკუნეთა მანძილზე მათი საერთო მოზინადრობამ, უტოვლთა მუდმივმა მუქარამ, ჩაუნერგა მათ ერთობის სულისკვეთება. ამ ტრადიციის წყალობით კავკასიურ ერებმა დღემდის შეინახეს თავისი-თავი, თავისი რასიული სიწმინდე და კულტურა. თუმცა იქნებ არც ერთ კუთხემ მსოფლიოსი იმდენად არ განიცადა უტოვლთა ძლიერი და ხშირი შემოსევები, რამდენათაც კავკასიამ;

2. ამავე ტრადიციის წყალობითვე საერთაშორისო დამოკიდებულება კავკასიაში ხშირად ყალიბდებოდა საკავშირო ფორმებში და თუ მათი შენახვა ხშირად უძნელავებოდა ეს იყო ბრალი ძალადობისა კავკასიის მეზობელ უცხო ქვეყნებისა. რომლებმაც გადააქციეს კავკასია თავის მუდმივ საქიშპო პოლიტიკის საგნად.

3. რომ თანამედროვე კავკასიური კონფედერატიული იდეოლოგია არის ლოლიკური განმეორება კავკასიის ისტორიისა და რომ უმაგალითო თავისი სისასტიკით და სიძძიმით მოსკოვის ბატონობის უღელმა გააშალაშინა დაგროვილი კავკასიაში ყველა უთანხმოებანი და დღეს შეუშნადა რეალური საფუძველი კონფედერალისტების მიზნის განხორციელებისათვის: მოსკოვის უღლის გადაგდებისათვის გაერთიანება კავკასიის ერებისა ერთს მტკიცე ბრძოლის ორგანიზაციად და დაარსება განთავაშულებულ კავკასიაში მუდმივ კავკასიურ კონფედერატიულ დაწესებულებისა.

P. S. „სამშობლოს“ რედაქცია ამ მოხსენებას ცალკე წიგნაკად გამოცემს.

X.

## ს ა ბ ზ ო ტ ა უ კ რ ა ი ნ ა

რა მდგომარეობაშია დღეს საბჭოთა უკრაინა? ამ კითხვას შეიძლება ორნაირი პასუხი მიეცეს: იურიდიულად—კარგში; ფაქტიურად—აუტანელში. ქალაქზე უკრაინას, თუ მოისურვებს, კოსტიტუციის ძალით აქვს უფლება საბჭოთა კავშირიდან გამოვიდეს. სინამდვილეში-კი უკრაინაში ბოლშევიკების 12 წლის ბატონობა ნამ-

დვილ კომარს წარმოადგენს და მათივე დაწესებულ კანონების ფეხ-ქვეშ გათელვას. დღეს უკრაინას მოსკოვის კომუნისტები განაგებენ როგორც დაპყრობილ ქვეყანას, როგორც კოლონიას. უკრაინის ძალა-უფლება არაუკრაინელების ხელშია და ამასთანავე იგი საგსებით დამოკიდებულია მოსკოვის ცენტრისაგან. ამას წინად მოსკოვი დაეუფლა უკრაინის სამხედრო, საგარეო, საფინანსო, მიწადმოქმედების სამინისტროებს და ამით დააკანონა მხოლოდ ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება უკრაინის მართვა-გამგებლობა ოკუპაციის პირველ ხანიდან. უკრაინის ჯარი შესაფერისად გაწმენდილია უკრაინელ ელემენტებისაგან, როგორც თავის კადრებში, ისე მასსაშიც. ეგრეთ წოდებული „უკრაინიზაცია“, რომელსაც მიზნად ჰქონდა არა ნაციონალიზაცია უკრაინულ განათლების, არამედ მხოლოდ საბჭოთა აპარატის მომზადება უკრაინელებთან შებრძოლებითვის, ესლა, რაც მოსალოდნელი იყო, დათავდა უკრაინელ გამანათლებელ ორგანიზაციების დანგრევით და პირველ რიგში 1930 წ. ცნობილ უკრაინულ აკადემიისა. ამ უკანასკნელიდან განიღვენენ ყველა უკრაინელი მეცნიერი. ამავე დროს ხარკოვში შეთხუზული იყო გრანდიოზული პროცესი „უკრაინის განმათავისუფლებელ კავშირისა“. ეს პროცესი მიზნად ისახავდა დაერწმუნა ყველანი, რომ უკრაინული ნაციონალური მოძრაობა სრულიად მოსპობილია. ყველა ამ ზომებმა, მართალია, შეასუსტეს უკრაინის ინტელიგენციის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ვერ შეარიგეს იგი მოსკოვთან, რომელმაც ასე ვერაგულად გათელა უკრაინის ხალხის ეროვნული უფლებები. საბჭოთა ძალა-უფლების იზოლიაციაში ჩავარდნას უკრაინაში, უფრო ხელი შეუწყო მოსკოვის კომუნისტების სოციალურ-ეკონომიურმა პოლიტიკამ. მისმა „ურა-სოციალისტურმა“ ინდუსტრიალურმა გეგმებმა აწეწა უკრაინის გლეხობის მდგომარეობა, ღრმად შელახა მისი ინტერესები, ისე როგორც მთელი უკრაინის ეკონომიკისა, რომელიც ეყრდნობოდა განსაკუთრებით სოფლის ინდივიდუალურ მეურნეობას.

გლეხთა გაყოფვის პოლიტიკამ და ამ წოდების სრული განადგურებისათვის შემოღებულ წესებმა, „სოვზოზ“- „კოლხოზების“ სახით, ძალიან გამწვავა საბჭოთა ძალა-უფლების და მთელ უკრაინის გლეხობის დამოკიდებულება. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. ასი-ათასობით უკრაინის გლეხები გადასახლებულ იქმნენ ციმბირში... მილიონობით—გ.პ.უ. რაზმებით—ეს გლეხობა შეირეკა სოცკოლხოზებში. მაგრამ ამ ძალადობაზე გლეხობამ უპასუხა მოსკოვს საბოტაჟით და მოსავლიანობის კატასტროფიულ დაცემით; ქალაქებში გაქცევით და რუმინია-პოლონეთში მასიურ გადასახლებით. საბჭოთა გამგებლობის უკრაინაში გამეფების თითქმის პირველ

დღეებიდან, ამ ქვეყნებში არ სწყდება მასიური ღელვა და აჯანყებანი. საბჭოები იძულებულნი არიან იყოლონ უკრაინის ტერიტორიაზე დიდი ჯარი და მრავალრიცხოვანი რაზმები ვ.პ.უ-სი. რუსულ მართვლობას უკრაინაში ამ შემთხვევაში, უსათუოდ გათვალისწინებული და ნანაგარიშევი აქვს ორმაგი საფრთხე: სოციალური და ნაციონალური, რომელსაც დღემდის ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ მოერია.

ეხლა რა პერსპექტივები აქვს საბჭოთა უკრაინას თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში?

მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებლები განიარაღებულნი არიან. ვაკოტრებულნი, ტერორის კლანჭებში ჩაჭედილნი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პარტიები და დამუკიდებელი ორგანიზაციები განდგურებულნი და ოპოზიციური მუშაობა იატაკ ქვეშ შემწყვდეული, საბჭოთა საოკუპაციო ძალა-უფლება მინც ვერ გრძობს თავს მაგრად... პირიქით დღით-დღე რწმუნდება, რომ მისი ყოველი ავტორიტეტი ეცემა და რაც მისთვის ყველაზე საშიშია, ავტორიტეტი მისი უხეში ძლევა-მოსილების, თვითონ ბოლშევიკები არ მალავენ, რომ უკრაინის კოლხოზებიდან გაქცეულია ქალაქებში და სხვა რაიონებში 800.000 უკრაინელი გლეხი, და მათი უკან დაბრუნება, მათ ვეღარ ძალუძთ. სოლოვკების, ცივი ჩრდილოეთის, ციმბირის და შორეულ-აღმოსავლეთში გადასახლების შიში გლეხებს აღარა აქვთ... მათი დაშინების ხანა გათავდა. ამასთანავე სხვა და სხვა ჯურის „უკლონისტობა“ თავი გამოჰყო უკრაინულ კომუნისტურ პარტიაში. ცნობილია, რომ არსად იმდენი „უკლონები“ არ ყოფილა, როგორც უკრაინაში. ვერაფერი უშველა ბევრნაირ წმენდებმა „უკრაინულ ბოლშევიკურ პარტიისა“. საბჭოთა ძალა-უფლება ნელ-ნელა ჰკარგავს თავისადმი უკანასკნელ ლოიალურ ელემენტებს უკრაინაში.

მიუხედავად უკრაინელ მცხოვრებთა ამ სულსკვეთების გერმეტიულ დაცვისა, იგი მინც იჭრება წითელ ჯარში და საბჭოთა პარტიის შუა-გულში.

მოურიდებელი ვაცარცვა უკრაინისა, გაზიდვა და გაყიდვა მისი სიმდიდრეთა საზღვარ-გარედ, ასაზრდოვებს და მეტად აძლიერებს უკრაინულ ნაციონალურ მოძრაობას... რომლის ბუნება ახლა-კი აშკარაა ვედა... უკრაინელ ხალხს აღარ უნდა არავითარ კომპრომისებზე წასვლა და ბოლშევიკების ჩამოგდების შემთხვევაში მიაყოლებს მოსკოვის ძალა-უფლების მეფობასაც. უკრაინის ხალხი ახლა-კი დარწმუნდა საშინელ სინამდვილის გადატანით, რომ ვინც კი არ უნდა იჯდეს მოსკოვში—მეფე, სტალინი, ტროცკი თუ კერენსკი, მას ვერ აცდება კოლონიალურ ქვეყნების მონური ბედი და მონური რეჟიმი.

ასე რომ ეხლანდელი მოსკოვის ბატონობის წაქცევა იქნება უკრაინისათვის ნიშანი საყოველთაო გამოყოფისა მოსკოვისაგან ამ ხანად უკომპრომისოსი და საბოლოოსი.

ი. კოსენკო.

## თავისუფალი ყაზახობა

ჯერ კიდევ ბევრისათვისაა სადავო ყაზახთა წარმოშობისა და ყაზახთა ეროვნული არსებობის საკითხი. სამაგიეროთ აღარავისათვის არ არის საეჭვო, რადგან ეს უტყუარ ისტორიულ ფაქტებს შეიცავს, რომ ყაზახობა მრავალ საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა რუსეთზე სრულიად დაშორებული ცხოვრებით. ჯერ კიდევ ორასი წლის წინეთ ყაზახობა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ეწეოდა და რამოდენიმე რესპუბლიკას წარმოადგენდა. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში ჰკარგავს ყაზახობა თავის სახელმწიფოებრივ არსებობას რუსული ექსპანსიის მეოხებით, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის დროს.

ყაზახობა, ძალდატანებით მომწყვდეული რუსეთის იმპერიის ფარგლებში, გადაქცეულ იქნა განსაკუთრებულ სამხედრო წოდებათ, მაგრამ მას წმინდა პოლიტიკურ სამსახურის იარაღადაც ხდიდენ მუდმივად. ამის შემდეგ თანდათან გაქრა ყაზახობის სახელი, როგორც ერისა, თუ ხალხისა. სხვა ხალხები მას იცნობენ, როგორც რუსეთის მხედრობის ნაწილს, მის თავისებურ ჩაცმულობას, მხედრულ თვისებებს და სხ.

მაგრამ რუსულმა პოლიტიკამ ვერ შესძლო ყაზახობაში მისი ყაზახური მეობისი აღმოფხვრა. ყაზახობამ შეინარჩუნა თავისი ყაზახური სული, ზნე და ხასიათი, შეგნება იმისა, რომ ყაზახობა სხვა ტომია და რუსობა კიდევ სხვა, სიყვარული მისი საკუთარი მიწა-წყლისადმი, რომელიც მას ეპყრო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მოსკოვის სახელმწიფო არც კი არსებობდა.

1917 წელს ყაზახობას მიეცა საშუალება თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის აღდგენისა და ისიც აცხადებს დამოუკიდებლობას. ბოლშევიკური რუსეთი თავს ესხმის თავისუფლად მოწყობილ ყაზახობას და იწყება საშინელი და სისხლიანი ომები, რომელიც სამი წელი გრძელდება. ყაზახობამ დიდძალი მსხვერპლი გაიღო ამ ომში. ის მისი დამარცხებით დასრულდა. ამის მიზეზი იყო შინაური შეცდომებიც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი—მათი რუს მოკავშირეთა გენ. დენიკინისა და გენ. ვრანგელის პოლიტიკა და თვით ზოგიერთი ევროპიელ სახელმწიფოთა შემცდარი პოლიტიკა ყაზახობის მიმართ.

ეხლანდელი ბოლშევიკური ძალა-უფლება სრულს განადგურებას უქადის ყაზახობას. მას სურს მისი დაქსაქსვა, ეკონომიურად გა-

ლატაკება და თვით მისი სახელის გაუქმებაც. ათი-ათასობით სახლებს ბენ ყაზახობას ციმბირში და სხვა ჩრდილო გუბერნიებში. მაგრამ ხალხის სულის მოსაპობა შესაძლებელია. ეს რეპრესიები კიდევ უფრო ამტკიცებენ ყაზახობის მებრძოლ სულს და მომავალში თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობის წყურვილს.

1917 წლიდან არის ჩამბული ყაზახობა მუდმივ ბრძოლაში და ეს ბრძოლა სწარმოებს მის საკუთარ მიწა-წყალზე და ეს მომხდური ძალა მას ევლინება რუსეთიდან. გასაგებია, რომ ასეთი ვითარება დიდათ აღვივებს მასში წინა საუკუნეთა განმავლობაში შეძენილ თავისუფალი არსებობისადმი სიყვარულს და მით მთელს ყაზახობას დამოუკიდებელ ყაზახთა სახელმწიფოსთვის მებრძოლ ძალათ ხდის.

გასაგებია, რომ ასეთს ხალხურს განწყობილებას ემიგრაციაშიაც ექნებოდა თავისი გამოძახილი. და მართლაც ყველგან, სადაც-კი მოიპოება ყაზახობა ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში და სხ., დაარსებულა ყაზახთა პოლიტიკური ორგანიზაციები და გამომცემლობა, რომელნიც მუშაობენ ყაზახთა დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებისათვის.

თვით სახელმწიფოებრივი მუშაობა ამ იდეის განხორციელები-სათვის, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დაიწყო 1917 წ. შემოდგო-მაზე ყაზახთა რაიონებიდან „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის“ და-არსებით—ეს მომავალი ყაზახიის პროტოტიპი იყო. კავშირის გან-მტკიცება და მტკიცე სახელმწიფოებრივ ორგანიზმად გადაქცევა შეუძლებელი გახდა იმ ხანებში დაწყებულ ომების გამო ბოლშევი-კებთან. ამისი ცდა იყო კიდევ 1920 წელს, როდესაც ეკატერინო-დარში შეიკრბა ყრილობა დონის, ყუბანის და თერგის მეთაურო-ბათა. ასეთს შორეულ და მახლობელ უტყუარ და უდავო ისტორი-ულ, ეკონომიურ და კულტურულ ფაქტორებზე ემყარება ის მოძ-რაობა, რომელსაც ემიგრაციაში „ვოლნოე კაზახისტვოს“ მიმართუ-ლება ეწოდება.

ამ სახით ყაზახობა შედის სრულ უფლებიან წევრად იმ ხალხთა ოჯახში, რომელნიც იბრძვიან რუსეთს თავის სახელმწიფოებრივი არსებობის მოპოების მიზნით. თავის თავისუფლებისათვის მებრ-ძოლს ყაზახობას ნათლად აქვს შეგნებული ამ ერებისადმი სოლი-დარობისა და თანხმობისა და მათთან კავშირის საჭიროება და ასევე მას სრული იმედი აქვს, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ყაზა-ხობა ამ ხალხებშიც ჰპოებს იმავე თანაგრძნობას და სოლიდარობას.


შ. ბალინოვ.

## თავისუფალ ყაზახთა საზოგადოებაში.

ა. წ. აგვისტოს, ქ. ვარშავაში, გარდაიცვალა ყუბანის რესპუბლი-კის ყოფილი მინისტრი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე პ. სულია-

**ტიცი.** პარიზში, 18 ენკენისთვის, ყაზახთა საზოგადოებამ, განსვენებული სსოვნის პატივსაცემლათ გამართა თავის წევრთა საგანგებო კრება, რომელზედაც მოიწვია მეზობლებიც. კრებას დაესწრნენ: უკრაინელები, მთიელები, თურქესტანელები და ქართველები. თანამემამულეებმა და სტუმრებმა მგრძნობიარე სიტყვებში მოიხსენიეს განსვენებული, როგორც გამოჩენილი და დაუღალავი მებრძოლი ყუბანელთა თესუბლიკის თავისუფლებისათვის. კრების თავმჯდომარის თხოვნით ქართველების მხრივ სიტყვა წარმოსთქვა დ. ვაჩნაძემ:

„პირველად მიხდება ყაზახთა კრებაზე დასწრება; წილად მხვდა ჩემი პირველი სიტყვის დაკავშირება თქვენს სამგლოვიარო დღესთან. ვკისრულობ ამ ხვედრს რათა გავამხსნეოთ თქვენს დიდ დანაკარგში. ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა ისტორიას მხოლოდ ცოცხალი ადამიანები არ ჰქმნიან, არამედ მათი მკვდრებიც, დიდი მკვდრების წარსულის ნამოღვაწარი—საძირკველია ერის აწყყმყოსი და მაგარი ზურგია მისი მომავლისაც, ამიტომ მოწიწებით და სიყვარულით გახსენება ამ დიდ მკვდართა ღვაწლისა თან გვავალებს გულის ვალებას და სიმართლის თქმასა ჩვენ, ქართველები, ნაკლებად ვიცნობდით პ. სულიატიცკის, როგორც საზოგადოთ ნაკლებად ვართ გაცნობილი ყაზახთა და მათ მხარეთა განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიას. საქართველოში, წარსული როლი ყაზახობისა წარმოდგენილი იყო რუსეთის იმპერიის ერთგულ დამცველ ავანგარდობის სახით. ჩვენს ქვეყანაში რუსებისაგან მათ არ არჩევდენ. მაგრამ ეს შეხედულება ყაზახობაზე შეარყია პ. სულიატიცკის სამშობლომ—ყუბანმა, როდესაც მან ააფრიალა თავისი დამოუკიდებლობის დროშა. ქართველებში და კავკასიელებში დაიბადა მაშინ იმედი, რომ ყაზახთა ლტოლვა პოლიტიკურ თავისუფლებისაკენ არ ყოფილა ზღაპარი და ყუბანელთა ბრძოლამ მისცა კავკასიელ ხალხებს საბუთიც ყაზახების საკითხი გაეხადა თავის განსაკუთრებულ ყურადღების საგნად. და ეს არც გასაკვირველი იყო. ჩრდილო-კავკასიის უზომო ველ-მინდვრების დიდი ნაწილი, შავიდან-კასპიის ზღვამდე მოფენილი ყაზახების თემებით, კავკასიას მუდამ დიდ ფაქტორად ევლინებოდა და ყაზახთა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იმედი გაუღვიძა კავკასიელებს, რომ მათ ჩრდილო საზღვარზე გაუჩნდებოდა თავისუფალი და მეგობარი მეზობელი. დღეს ეს იმედი ჩვენ, თქვენს მეზობლებს, დღითი-დღე გვიმტკიცდება. მართლაც, თავდება ის ხანა, როდესაც სხვადასხვა სლავიანთა ტომები, რომანოვების იმპერიის მილიტარულ ძალის შემწეობით ერთს უზარმაზარ იმპერიაში შეგროვილნი და შებოჭილნი, ერთს მთლიან ორგანიზმად გვევლინებოდა. რევოლიუციამ ეს ხელოვნური ნაშენი დაანგრია; მოკსოვის კომუნისტური დესპოტია დღეს, მართალია, სცილილობს გარეგნულად დაიცვას ახალ ფორმებში ეს ძველი მთლიანობა. მაგრამ ამაოა ეს ცდა. სლავიანების დაყოფა



ახლა ღრმა და ამოუვალ კალაპოტშია ჩავარდნილი. უკრაინა, ბელარუსია და ყაზახია—აი ის ძირ-მაგარი და უკვე გაზრდილი, სლავიანური ხეები, რომელიც ნაყოფია ამ ძლიერ პროცესისა. დღეს-ხვალ მათი ემანისპაცია ველიკოროსთა გეგემონიისაგან თავის საკუთარი ფორმებში ჩამოყალიბდება. ყაზახიის ხალხს, მესაკუთრეს დონის და ჩრდილო-კავკასიის მდიდარი მიწებისა, აღზრდილს საკუთარი თემობრივ მილიტარულ ტრადიციასზე, უსათუოდ შესამჩნევი როლი მიეკუთვნება აღმოსავლეთ ევროპის სლავიანთა ტომების გამიჯვნის საქმეში, და შესაძლებელია დიდ და სამეგობრო პოლიტიკურ ფაქტორად მოველინოს კავკასიის ჩრდილოეთიდან. ამიტომ შეთანხმება-მორიგება და კავშირი კავკასიელებისა და თავისუფალ ყაზახთა თემებისა ისტორიულ აუცილებლობის ფაზაში შედის. ილიუზიების ხანა გათავდა. აშკარად გამოირკვა რომ ჩვენ, თვითონ ჩვენივე ძალებით, უნდა მოუვაროთ ჩვენივე საკუთარ საქმეს. და ამისათვის პოლიტიკა მეზობლურ შეთანხმებისა საერთო მტრის დასაძლევად უნდა გახდეს ჩვენი სადღეისო საზრუნავ საკითხად. კავკასიის ერთა კონსოლიდაცია კაი ხანია გარკვეულია და ჩალაგებულია თავის ისტორიულ კალაპოტში. ახლა მაგარი შეკავშირება კავკასიისა თავის უშუალო მეზობლებთან, მოზინადრეთ შავ და კასპიის ზღვების ნაპირებთან—უკრაინა, ყაზახია და თურქესტანთან იქნება **საწინდარი** ამ დამონებულ ქვეყნების საბოლოო და ააქკადიუ ვანთავისუფლებისა მოსკოვის სულ-მხუთავ დესპოტიისაგან. აი რა აზრები გამოიწვია ჩემში ყუბანის მამულიშვილის ბ-ნ პ. სულიატიცკის სიკვდილმა. მან ვერ მოასწრო ამდიდ საქმის განაღდებაში მონაწილეობის მიღება. ეხლა თქვენ ცოცხლებმა უნდა მოასწოროთ თუ გსურთ მოიხადოთ ნამდვილი მამულიშვილური ვალი მისი ხსოვნის წინაშე“.

საზოგადოება მოწონებით შეხვდა ბ. ვაჩნაძის სიტყვას.

განი.

## ოსმალეთის რესპუბლიკა

(საუბარი ფრანგ ყურნალისტთან)

იტალიის ყოფილი მინისტრი გრაფი სფორცა თავის საყურადღებო წიგნში—„დიქტატორები და დიქტატურები ომის შემდეგ“—ასე ახასიათებს თანამედროვე ოსმალ. მეთაურს: მუსტაფა ქემალის გეგმა და თურქების პატრიოტული მოძრაობა ერთმანეთს შეხვდნენ და შეეგუვნენ. ქემალმა თავისი დიქტატურა სავსებით შეუთანხმა ეხლანდელ თურქთა ლტოლვას ეროვნულ აღროძინებისაკენ. ძველ ოსმალეთის სულტანატის და ხალიფატის იმპერიალისტური პოლიტიკა და პანისლამისტური მესსიანობა მან თავიდანვე უარყო და მას ეყო ჭკუა და ნებისყოფაც აგრეთვე ხელი აქლო ყოფილ ოსმანთა



იმპერიის კუთვნილ და დიდ ომში დაკარგულ ტერიტორიებზე: ქემალმა ირჩია განმტკიცება თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისა ახლანდელ საზღვრებში და მისი მოზარება მსოფლიო პოლიტიკის მორვეისაგან. ამაშია დამალული ქემალის დიქტატურის ნაყოფიერება და ძლიერება—ამბობს გამოჩენილი იტალიელი ლიბერალი გრაფი სფორცა, თუმცა, იმავე დროს, ის სასტიკად ილაშქრება დანარჩენ დიქტატორებსა და დიქტატურების წინააღმდეგ.

გრაფ სფორცას შეხედულებას ოსმალეთის დიქტატორზე ადასტურებენ ახლანდელი ფრანგი მწერლები და ფრანგულ პრესის ხალხიც. მქონდა შემთხვევა გავცნობოდი ანგორიდან ჩამოსულ „ჟურნალ დე დებას“ თანამშრომელს ბ-ნ დომინიკე მილს; ეს ცნობილი ჟურნალისტი 25 წელია რაც იმყოფება ოსმალეთში და მთავარი ინფორმატორია ფრანგულ პოლიტიკურ პრესისა ახლო-აღმოსავლეთის საკითხებში. მივეცი რამოდენიმე კითხვა და მივიღე საგულისხმო პასუხებიც.

— თქვენ იზიარებთ გრაფ სფორცას აზრებს ქემალის დიქტატურის შეფასებაში?—დავეკითხე ბ-ნ მილს.

— სავსებით—მიპასუხა მილმა. ქემალის მთავრობამ პირველ დღიდანვე ზურგი უქცია ძველ ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის ტრადიციებს. იგი დღეს ყველას ეუბნება: დამეხსენით, ჩემს გადარჩენილ საკუთრებას ვუვლი, ჩემს ხალხს ვპატრონობ, მის გარეშე არ ვერევი არავითარ სხვის საქმეში. და ეს პოლიტიკური თეზა ქემალისა ულმობელად ტარდება ცხოვრებაში. ამაში მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთში შედუღებულია. განსაკუთრებული ყურადღება ქემალისა მიქცეულია, მრავალ ომებისაგან ნაგლეჯ, მის დღევანდელ შემცირებულ ტერიტორიაზე, თურქთა მოდგმის ხალხის გაძლიერება-გაღონიერებისათვის. თქვენ გეცოდინებათ, რომ თანამედროვე 11 მილიონიან ოსმალეთში თურქები 6 მილიონს შეადგენენ. დანარჩენები—ქურთები, არაბები და კავკასიის მოდგმის ტომები არიან.—თუ ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენ არავინ შეგვაწუხებს, ჩვენ იმდენად გავმრავლდებით და გავმაგრდებით, რომ ჩვენს სახელმწიფოს შემდეგ ვერაფერი წააქცევსო. ჩვენი საგარეო პოლიტიკის წესრიგში მძლავრად სდგას მხოლოდ ერთად-ერთი საკითხი—ზავი,—ამბობდა ანგორის პარლამენტის წინაშე, ერთს თავის დეკლარაციაში, მუსტაფა ქემალი...

— თუ ასეა, მაშინ რით აიხსნება კავშირი ზავის მომხრე ანგორისა, მსოფლიო ომის მეტაირახტრე მოსკოვთან?

— ქემალმა კარგათ იცის, რომ ეს „მეტაირახტრობა“ დღეს მხოლოდ უძღური თვალთმაქცი ფანდია. სტალინის რეჟიმს ასევე არ მოუხდება გარუეებთან ომი, როგორც მას; პირიქით დარწმუნებულია, რომ დღევანდელ მოსკოვს ზავი ესაჭიროება ისე, როგორც

წყალი თევზს. ამ ორივე ქვეყნის ახალი სოციალ-რევოლუციური შინაური გარდაქმნის სტაბილიზაცია მოითხოვს ორივესაგან მორიგებას გარეშე ძალებთან. ამით უნდა აიხსნას ბუნებაც ანგორა-მოსკოვის მჭიდრო კავშირისა. „ხელი-ხელსა ჰბანსო“—ნათქვამია.

— რამდენად სჯერათ თურქებს ბოლშევიკურ რეჟიმის განმტკიცებას და ს.ს.რ-ის ხანგრძლივობა?

— ერთიც და მეორეც იქნებ ძალიან ნაკლებად. მაგრამ თურქები დროს არ ჰკარგავენ და უხვად სარგებლობენ მოსკოვის მიერ შექმნილ ახალ ფსიხოლოგიურ ვითარებით. წინად, ძველ ოსმალეთს დიდი შიში ჰქონდა რუსეთისა. დღეს—პირიქით მოსკოვს ეშინიან ანგორისა. ეშინია მისი ღალატისა, რომელიც ცხადია, დაარღვევს მოსკოვის მიერ აწყობილ „აზიურ ფრონტს“.

— ისმეტ-ფაშის ამ ზაფხულით დაპატიყება მოსკოვში, მაშ ალბათ ამ შიშით იყო გამოწვეული?—

— თუ ვნებავთ ამითაც.

— ამბობდენ, რომ იაპონიის გამოსვლით დაშინებულ სტალინს ისმეტთან ლაპარაკი ჰქონდა კავკასიაზე?

— ადვილი შესაძლებელია. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ქემალ-ისმეტის პოლიტიკას არავითარი აგრესიული განზრახვები არა აქვს კავკასიის მიმართ. ქურთების საქმე; სომხების უჩუმარი ბრძოლა, არაბების და საზოგადოთ არა თურქთა ხალხების ოპოზიცია ქემალის ინტეგრალურ ნაციონალურ პოლიტიკას მძიმე ტვირთად აწევს. მასვე ემატება სუსტი ეკონომიური მდგომარეობაც ანგორის ქვეყნისა, ამიტომ იგი სრულიად გულგრილია კავკასიურ საკითხისათვისაც. ვიტყვი მეტს: არა მეგობრულია. თავისუფლების მოყვარე, ნაციონალისტი ამაყი კავკასიელები ამ პოლიტიკას არ უყვარს, რადგან ჯანყის ტემპერამენტის მატარებელნი კავკასიელები ურღვევენ ქემალს მის ქვეშევრდომთა მორჩილების სულისკვეთებას, ასე წარმოიდგინეთ, რომ აზერბაიჯანელებსაც კი მტრულად ექცევა და ეუბნება: თავი დამანებეთ—არ ვკისრულობ არავითარ საქმეს გარდა ჩემი ქვეყნის მოვლისა. მოდგმობა და გადამთიელი თურქობა არ მაინტერესებს, თუ ვნებავთ გახდით ჩვენი მოქალაქენი და ემსახურეთ ანატოლიელთა რესპუბლიკას... და ეს სრული სიმართლეა. უკანასკნელ დროს ანგორის პოლიტიკურ წრეებში ახდილად სდგას საკითხი თურქთა ქვეყნის მონათვლისა ამ სახელით. „აღარ გვინდა მესიანობა არც რასიული (პანტურანისში), არც პოლიტიკური (პანთურქისში), არც რელიგიური (პანისლამისში). აი რა ახალი საფუძვლებზე შენდება, ოსმანთა იმპერიის ნანგრევების ფარგლებში აღმოცენებული, ახალგაზრდა ქემალისტური რესპუბლიკა“—დაასკვნა ბ-მა მილმა...

## მ ი ბ რ ა ც ი ა შ ი.

### ილია ჭავჭავაძის დღე.

კვირას, 27 ნოემბერს, დღის 3 საათზე, მღუზე სოსიალის დარბაზში, შესდგება ასოციაციის სხდომა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების 25 წლის თავის აღსანიშნავად, შემდეგი წესრიგით:— დ. ხარისჭირაშვილი—ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფია; გ. ყუყული—ილიასთან შორი-ახლოს დგომით (მოგონებანი); შ. ამირეჯიბი—სიტყვა ილიაზე; ი. მანწყავა—ილია და ეროვნული სინამდვილე; ვ. ნოზაძე—ილია და დამოუკიდებლობის საკითხი და სხ.

### ქართულ ასოციაციის ახალი გამგეობა.

ა. წ. ვაზაფხულიდან პარიზის ქართულმა ასოციაციამ აირჩია ახალი გამგეობა: გ. ყურული (თავმჯდომარე), შ. აბდუშელი, დ. ვაჩნაძე (მისი ამხანაგები), ვ. ნოზაძე (მდივანი), ივ. ჯაფარიძე (ხაზინა-დარი), ელ. პატარიძე და დ. ხარისჭირაშვილი. ახალ გამგეობის მოქმედების და მის სამუშაო გეგმის შესახებ დაწვრილებითი ცნობებს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

### ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლის კურთხევა.

23 ოქტომბერს, პარიზში მყოფ მთელ ქართულ საზოგადოების თანადასწრებით ბერძნის მღვდელმა აკურთხა ქ. ჩოლოყაშვილის ძეგლი, დადებული მის საფლავზე ერთ კეთილშობილ ქალის თაოსნობით. თავში, თლილი ქვის გადატეხილი რგვალი სვეტი სდგას ღამაზ პოსტამენტზე, რომელზედაც აწერია: „გარდატყდა სიცოცხლე შენი—გაგრძელნენ საქმენი შენი“. ქვევით,—თვით საფლავის ქვის ზედა პირზე ამოჭრილ წმ. ნინოს ჯვრის ქვეშ წარწერილია: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1886-1930 წ.“. ქართულ ასოციაციის თავმჯდომარემ ბ-ნმა გ. ყურულმა ქართველობის სახელით მადლობა უძღვნა შემომწირველს, გრძნობიარე სიტყვაში მოიხსენა განსვენებულის დიდი ღვაწლი და მოუწოდა ქართველობას ერთობისათვის და მთლიანობისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქმის გაგრძელებისათვის. ქართველ ახალგაზრდობის გუნდმა უგალობა ეროვნულ გმირს „საუკუნო ხსენება“.

### უკრაინელები და ქართველები მანჯუურიაში.

უკრაინელების გაზეთი „მანჯუურსკი ვესტნიკ“-ი, რომელიც გამოდის ქ. ხარბინში, ათავსებს თავის ფურცლებზე ცნობებს და წერილებს საქართველო-კავკასიაზე.

5 ეკენისთვის ნომერში დაბეჭდილია საგულისხმო წერილი „ივერიელისა“—კავკასიის კონფედერაციაზე.

იგივე გაზეთი გვაცნობებს: წყალდიდობის დათაგების შემდგომ

ადგილობრივი ქართული ორგანიზაციები კვლავ შეუდგნენ თავი  
მორიგ საქმეებს. იკრიფებიან 1 და 16-ს ყოველ თვისა. ზამთრის სე-  
ზონისათვის შედგენილი აქვთ საინტერესო გეგმა კულტურულ  
მუშაობისათვის.

ხარბინიდან ჩამოსულმა უკრაინელმა დაგვიდასტურა უკრაი-  
ნელთა ქართველების შორის მჭიდრო კავშირის არსებობა. ერთმან-  
ეთისადმი მოხმარება ტრადიციით გადაიქცა. ქართველები შეადგე-  
ნენ მაგარ ეროვნულ წრეს და სამაგალითოდ ეროვნულად მუშაობენო.

### „მ ხ ე დ ა რ ი“

გამოვიდა ჟურნალ „მხედრო“-ს მორიგი ნომერი. ჟურნალში  
მოთავსებულია საყურადღებო წერილები. მისი ავტორნი გულდასმით  
და დაკვირვებით აშუქებენ როგორც საერთო ისე ქართულ სამხედრო  
საკითხებს.

ამ ჟურნალის მოთავეთა თაოსნობით, ამას წინად, ქართველ  
იუნკერთა წრემ გამართა თავისი პირველი გამოსვლა და ბ-ნ ლეიტე-  
ნანტმა მიხეილ დადიანმა წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე:  
„ბრძოლები ქ. ვარშავასთან 1920 წ.“. საგნის ცოდნით, ახალგაზრდა  
მომხსენებელმა მარტივად აგვიწერა ეს შესანიშნავი პერიოდი რუ-  
სეთ-პოლონელების ომისა, რომელმაც გადასწყვიტა დღევანდელ  
პოლონეთის დამოუკიდებლობის ბედი. მოხსენება ეყრდნებოდა ოფი-  
ციალურ სამხედრო რუქებსა, რომელთაც ბ-ნი დადიანი თვალწინ  
გვიშლიდა შესაფერ და დალაგებულ განმარტებებით. მსმენელთა  
აუდიტორია კმაყოფილი დარჩა ბ-ნ დადიანის მოხსენებით და გენ.  
ჯაფარიძის პირით მაღლობით მიმართა ჟურ. „მხედროს“ და მის  
სულის ჩამდგმელ, ახალგაზრდა ქართველ მხედართა წრის ასეთ  
ინიციატივისათვის.

### პოეტ. გ. გამყრელიძის მეორე წიგნი.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა პოეტი გიორგი გამყრელიძის  
მეორე წიგნი: „ლექსაბზა“. წიგნი იწყობა ბ-ნ შ. ამირეჯიბის წინა-  
სიტყვაობით და ავტორის პოტრეტით. წიგნი იქნება 64 გვ. და ელი-  
რება 10 ფრ.

### პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

საქართველოს ეროვნ.-დემოკრ. პარტიის საზღვარ-გარეთის ცენ-  
ტრალური ბიურო იძულებული ხდება გამოაქვეყნოს ქვემოთ მოთავ-  
სებული ღია ბარათი, რომელიც გაეგზავნა ბ-ნ კპ. კედიას 1930  
წლის აგვისტოში. ცენტრ. ბიურო იმედოვნებდა, რომ ეს ვრცელი  
განმარტება საკმარის გაფრთხილებად იქნებოდა მიჩნეული ბ-ნ სპ.

კედის მიერ და ის დასტოვებდა ყოვლად შეუწყნარებელ მოქმედებას, რომელიც ნაწილობრივ თვით ღია ბარათშია მოხსენებული. სამწუხაროდ ეს არ გამართლდა და ბ. სპ. კედიამ ამის შემდეგ კიდევ უფრო გააცხოველა, რამოდენიმე უპასუხისმგებლო პიროვნების ზურგ უკან ამოფარებულად, ყოვლად უწყისო ფარული კომპანია და ინტრიგები ჯერ განსაკუთრებულად ჩვენი პარტიისა და შემდეგ კი ყველა აქტიურ პოლიტიკურ ძალთა წინააღმდეგ.

ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არა ერთხელ მოგვთხოვეს საქვეყნოდ და საბოლოოდ გამიჯვნა ბ. კედის ასეთი მუშაობისაგან, მაგრამ ჩვენ კიდევ ვიცდიდით და იმედი გვქონდა, რომ ის ბოლოს და ბოლოს გონს მოვიდოდა და ასეთს გეზს დასტოვებდა. ამერიიდან ასეთი ცდა უდიდესი დანაშაული იქნებოდა ჩვენთვის, პარტიისა და მთელი ეროვნული საქმის წინაშე, ვინაიდან აქამომდე ბ. კედია და რამოდენიმე მისი თანამგზავრი ასეთს მოღვაწეობას ეწეოდნენ ჭორებისა და გამაღიზიანებელი ამბების შეთხზვითა და გავრცელებით სიტყვიერად და კერძო ბარათებით, თუ საზოგადოებრივ კრებებზე ინციდენტების გამოწვევით, ხოლო ამა წლის აგვისტოდან ეს საქმე ბეჭდვით ორგანოებში გადაიტანეს („ახალი ივერია“, „საქართვე. გუშავი“) და მით მას ახდელი საჯარო მოქმედების სახე მისცეს. ამ გამოცემებში აშკარა კრიმინალური საქმეების დაცვა და პროპაგანდა სწარმოებს, ხოლო ჩვენი პარტია და მთელი ქართული პოლიტიკური ძალები გაცოფებული ღვარძლიანობის ლაფით არის გადანთხეული. ასეთი მოღვაწეობისათვის გამოყენებულია დიდი ილიას წმინდა ხსოვნა და ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლისა და აჯანყებების სასახლო საქმეები და ყოველივე ეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით არის გასაღებული; მიუხედავად ამისა ჩვენ ამ ყამადაც ვზღუდავთ ჩვენს პასუხს ამ უსიამოვნო შინაურ საკითხების გამო და ორი წლის წინეთ გავზავნილ ბარათს არ ვავსებთ მრავალი სხვა საბუთებითა და მაგალითებით. ჩვენ კვლავ ვიმედოვნებთ, რომ ამის საჭიროება არ დაგვიდგება და ბ. სპ. კედია ამერიიდან მაინც დასტოვებს ამ ყოვლად შეუწყნარებელ საქმიანობას.

ჩვენ მხოლოდ ხაზს გაუსვამთ ღია ბარათში საკმაოდ გარკვეულ რამოდენიმე საკითხს:

საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მეტრძოლ პოლიტიკურ ძალთა მთლიანობისა და თანხმობის იდეა გამომდინარეობს ჩვენი მიმართულების ბუნებიდან და ის პრინციპიალურად სადავო არასოდეს ყოფილა ჩვენი პარტიისათვის. ჩვენს უთანხმოებას სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით ემიგრაციაში, საგნად ჰქონდა მუდამ საერთო მუშაობის ორგანიზაცია და წესები და არა მისი იდეა და არა სალსა და მტკიცე

საფუძვლებზე აგებულ ეროვნული ბრძოლის ფრონტის საჭიროება.

საჭიროთ ვრაცხთ აღენიშნოთ აქ, რომ ამა 1932 წლის ნოემბრიდან ჩვენი პარტია ორგანიული მონაწილეა საქართველოს მთავრობისა, ეროვნულ ცენტრის და სხვა ეროვნულ ორგანოების მუშაობისა. ამ ახალს გაერთიანებას წინუსწრობდა ყველა მთავარი საკიბების საფუძვლიანი გარკვევა და ერთი წლის ფაქტიური თანამშრომლობა. ყოველივე ამის გამო ეს გაერთიანებული მუშაობა გაცილებით უკეთეს პირობებში იწარმოებს მომავალში, ვიდრე ის წინანდელი ჩვენი თანამშრომლობა საერთო საქმეში, რომლის მონაწილე იყო ბ. ს. კედია.

უკანასკნელ წელთა განმავლობაში ბ. სპ. კედია საფუძვლიანად დაშორდა ჩვენს მიმართულების იდეას, ორგანიზაციას, და მოქმედების წესებსა და მორალს. მისი ახალი მოღვაწეობის რაიმე სახით ჩვენ პარტიასთან დაკავშირების ცდა ეწინააღმდეგება პოლიტიკური მოღვაწეობის ყველა ნორმებსა და წესებს. ბ. კედიასთან არ იმყოფება ამ ყამად არც ერთი პიროვნება, რომელსაც საპასუხისმგებლო აქტიური როლი ჰქონოდეს ჩვენს პარტიაში საქართველოსა თუ უცხოეთში უკანასკნელი 13-14 წლის მანძილზე და მის მიერ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელი გამოყენება ამ ახალს თავის მოღვაწეობაში მით უფროა გასაოცარი, რომ მან ჯერ კიდევ შვიდი წლის წინეთ უარყო საქვეყნოთ თავისი პარტია და საზოგადოთ პარტიათა საჭიროება და მათ ნაცვლად წამოაყენა პიროვნების გარშემო შემოკრების პლატფორმა. თუ ასეთი პლატფორმა მისაღები იყო მისთვის მაშინ, როდესაც მას უმაღლესი საპასუხისმგებლო პოსტი ეჭირა ჩვენს ორგანიზაციაში, მით უფრო მისაღები უნდა გამხდარიყო მას შემდეგ რაც ის საფუძვლიანად დაშორდა ჩვენი პარტიის ყველა პასუხისმგებელ ორგანოებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის დასტოვებს ამიერიგან ამ ყოვლად უკანონო და ყალბ პოზიციას.

ჩვენთვის სასვებით ნათელია, რომ ფართე საზოგადოებას დიდათ გააოცებს ჩვენი პარტიულ ტხოვრების იმ ამბების გაგება, რომელიც შეეხება ბ. სპირდონ კედიას მოღვაწეობას ჩვენს პარტიაში. ბევრისათვის გაუგებარი დარჩება თუ როგორ შეეინარჩუნეთ პარტიის უმაღლეს თანამდებობაზედ პიროვნება, რომელსაც აკლდა ასეთი როლისათვის აუცილებელი თვისებები. შეიძლება ეს გარემოება დიდ დანაშაულადაც ჩავვითვალოს ჩვენი პარტიის ისტორიამ, ხოლო ჩვენ არ ვმიზობთ, რომ ვინმემ გვისაყვედუროს, რომ ჩვენ საკმაო მოთმინება ვერ გამოვიჩინეთ, საკმაო სიფრთხილე, გამტანლობა და ვერ შეუქმენით მას მაქსიმალურად კარგი პირობები პოლიტიკურად გაწვრთნა-განვითარებისათვის, რაც კი შესაძლებელი იყო

ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ვითარებაში. ჩვენმა პარტიამ ფრანდ დიდი მსხვერპლი გაიღო ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. ათასობით შეეწირენ ჩვენს ეროვნულ მიზნებს ჩვენი პარტიის თავგანწირული ჯარისკაცები და თვით მის ხელმძღვანელ ფარულ ცენტრის 9 წევრიდან ოთხი დაიღუპა ამ ბრძოლებში და ამათგან 2 ფარული ცენტრის თავმჯდომარის პოსტზე. ჩვენი პარტიის მებრძოლ სულსა და მორალს ვერ მიაყენებს ჩრდილსა და ზიანს, უკეთუ ერთი ამათგანი ჩაითრია ემიგრანტული დეპრესიის ჭაობმა და მებრძოლი პარტიის ასპარეზს ჩამოაშორა.

## ლი ა ვ ე რ ი ლ ი

### ბ-ნ სპირიდონ კედიას!

პოლიტიკური პარტია, და განსაკუთრებით ისეთი პარტია, რომელიც სახელმწიფოებრივ საფუძვლებზე არის აშენებული, ვერასოდეს გაიმიჯნება ფართე საზოგადოებრივი კონტროლისაგან, როდესაც ეს შეეხება პარტიულ მოღვაწეობის უმთავრეს ხაზებსა და მისი წყობის არსებითს მოვლენებს. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს პარტიათა ცხოვრების ამ უმთავრეს მოვლენათა გასწავლის საშუალება, ვინაიდან ეს საზოგადოება შეადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას მთლიანად არსე და იგივე ჰკვებავს მათ ახალი ძალებით.

მაგრამ ასეთი კონტროლის განადგობა დიდის სიფრთხილით უნდა ხდებოდეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოება ისეთს არანორმალურს მდგომარეობაში იმყოფება, როგორც ჩვენი საზოგადოება ამ ხანად. ჩვენი ერთი ახალი გამოსულია თანამედროვე პოლიტიკის ასპარეზზე ჯა ამის გამო მას ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული ნათელი შეხედულება მრავალს პოლიტიკურს მოვლენებზე და კერძოდ პარტიათა ბუნებასა და დანიშნულებაზე. საზოგადოების უფრო შეუგნებელ ნაწილისთვის ეს პოლიტიკა და პარტია თითქმის სრული სინონიმი ბოლშევიზმისა და მენშევიზმის, ვინაიდან ამათგან დაიწყო პარტიათა არსებობა საქართველოში. ამის გამო საზოგადოების დიდი ნაწილი მეტად ამრწხილია. ამ პარტიობაზე და ის მას თანამედროვე სახელმწიფოებრივობის განუყოფელ თვისებათ კი არ მიაჩნია, არამედ საზოგადოების არევისა და ერთმანეთზე გადაკიდებისათვის მოწყობილ საქმედ. ამას თან დაერთვის ჩვენი საზოგადოების ნერვიული განწყობილება ამ ზომად მძიმე ბრძოლებისა და მწარე განცდათა ხანაში. გასაგებია, რომ ასეთს პირობებში ჩვენს საზოგადოებას უხილავ საშინელებათ ეჩვენება ბევრი რამ ისეთი, რაც პარტიულ ცხოვრების ბუნებრივ გამოძახილს შეიცავს.

ყოველივე ამის მიხედვით განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს, რომ პარტიულს კვლევებს არ გასცილდეს ისეთი სადაო საკითხები, რომელთა მოგვარება და გადახარშვა იქვე შეიძლება, რასაკვირველია, საქმის დაუზიანებლივ. მაგრამ როდესაც ეს შეუძლებელი

ხდება და საკითხი გადალახავს რა პარტიულს ჩარჩოებს, წარსულში საზოგადოების წინაშე და ხშირად მეტად მრუდვად სახითა და ათასფერს სამოსელში გახვეული, პარტიის ინტერესი მოითხოვს (და ასეთივეა მისი მოვალეობა ერის წინაშე), რომ სწორი და ნათელი განმარტება მისცეს ამ მოვლენასა და მის წარმომშობ მიზეზებს. პარტიული ცხოვრება სავესებით ვერასოდეს აიძენს ასეთს მოვლენებს და ის, რასაკვირველია, ჩვენს პარტიასაც სწვევია მისი მოღვაწეობის განმავლობაში. მაგრამ მეტად გაგვიხშირდა ასეთი მოვლენები ამ უკანასკნელ წელთა მანძილზე. ისინი თითქმის სავესებით თქვენი პიროვნების გარშემო იყრიდნენ თავს და მათ რამოდენიმეჯერ გადალახეს პარტიული ჩარჩოები, რამოდენიმეჯერ უკანვე იყვენ მოქცეული, მაგრამ მათი საბოლოო ლიკვიდაცია დღემდე არ მომხდარა და ამ ხნის განმავლობაში, უკვე ოთხი წელი სრულდება, თქვენ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს გარეშე იმყოფებით და მას ებრძვით ხან ფარულად და ხან ახდილათ, ხან მის ერთს ნაწილსა და ხან კიდევ მთელს მის შემადგენლობას. ასეთმა მოვლენებმა, რასაკვირველია, დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს პარტიულს საქმეს უცხოეთში. მიუხედავად თქვენი ასეთი მოქმედებისა, მრავალი ზომა და საშვალეობა იქმნა მიღებული თქვენს დასაბრუნებლათ პარტიაში, მაგრამ თქვენ სხვა გზა აირჩიეთ: პარტიულს წრეებში შინაპარტიულ ბრძოლის მზადებას შეუდევით და ბოლოს, ამაწლის 10 აგვისტოს, ეს ბრძოლის დროშა საჯარო კრებაზედ გაიტანეთ. ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთი თქვენი მოქმედებიდან თქვენ სხვა რამეს მოელოდით პარტიისათვის თუ გინდ პირადათ თქვენთვის, გარდა არეგდარევის და დეზორგანიზაციის შეტანისა პარტიულს რიგებში. როგორც სხანს თქვენ იმ ზომად შეუპყროხართ მტრულს გრძობებს იმ წრისადმი, რომელთანაც თქვენ თანამშრომლობდით 15 წლის განმავლობაში, რომ უკვე დაგიკარგავთ თქვენი მოქმედების შეფასების უნარი და თქვენ უკვე აღარ ფიქრობთ იმაზედ, თუ როგორ შედეგებს გამოიღებს თქვენი ასეთი შინაპარტიული ბრძოლა ჩვენი პარტიისათვის და თვით თქვენთვისაც.

ცენტრალურ ბიუროს გადაწყვეტილი აქვს ბოლო მოუღოს ასეთს ვითარებას. ის არ მოხერხდა თქვენი დაბრუნებით ორგანიზაციულს კალაპოტში. ესლა ეს უნდა მოხდეს სხვა გზით. ბიურო მაინც დაერიდება თქვენ მიერ ატეხილ ბრძოლაში ჩაბმას და მით შინაპარტიულ საქმეების დეზორგანიზაციის ხელის შეწყობას. ამ უმად ის დაკმაყოფილდება ამ განმარტებით, რომლისგან თქვენ დინახავთ, რომ უკანასკნელი წლების თქვენი მოღვაწეობა და პიროვნული ბრძოლები, მართალია დიდათ აბრკოლებდა და მოქმედებას უშლიდა ჩვენს წრეს, რომელსაც თქვენ ბრძოლა გამოუცხადეთ, მაგრამ ის მეტად აუღს შედეგებს იძლევა საზოგადოთ მთელი პარტიისათვის და თვით თქვენთვისაც. შესაძლოა მთელი ამ სურათის წარმოდგენამ დაგანახოთ თქვენი ასეთი გეზის ყოვლად შეუწყნარებელი ბუნება და ის დასტოვოთ. ეს თუ არ მოხდა, ის მაინც ვიწროთ იქნება შემოფარგლული მომავალში, ვინაიდან ჩვენი პარტიის ამა თუ იმ წევრს აღარ შეეძლება თქვენ მიერ ატეხილს ბრძოლაში გარევა პარტიული ინტერესების დამოწ-



მებით. ვერ კიდევ ბევრს ჰგონია, რომ თქვენს ოპოზიციას იდეური და ზნეობრივი საფუძვლები აქვს, რომ თქვენ სხვების მიერ ხართ დასჯილი და ნაწამები და არა, წინააღმდეგ ამისა, თქვენ მიერ არიან დასჯილი და ნაწამები ეს სხვები და მასთან ერთად მთელი პარტიული საქმე. თქვენ თუ კვლავ ძველი გზით წახვედით, თქვენ მხარში ამოვიდგებიან მხოლოდ ისეთი ელემენტები, რომლებიც არ დაერიდებიან ახდით და დღემდე ისეთს ხაზუნდ, რომლის მიმართულება იქნება თქვენთვის ეინიანობის განაღდება, ხოლო არსებითად დეზორგანიზატორული და პარტიული სიმტკიცის დამაზიანებელი საქმე.

ამ განმარტებაში ჩვენ გზას აუხვევთ თქვენი საკითხის მრავალს მნიშვნელოვანს თვისებებსა და მოვლენებს და შევეხებით მხოლოდ მის უმთავრესსა და არსებითს საგნებს:

1) უწინარეს ყოვლისა საჭიროა განმარტებულ იქმნას ერთი მოვლენა, რომელიც ფრიად ცუდს სახელს უქმნს ს ჩვენს პარტიას მის ცხოვრებაში ნაკლებად ჩახედულს საზოგადოების თვალში. თქვენი პიროვნების გარშემო ატენილმა ამბებმა მოახვიეს ამ საზოგადოებას მეტად მრუდე აზრი, ვითომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა სავსებით ჩაფლულია პირადი ამბისციებისა და პიროვნულ შეხლა-შემოხლის ჭაობში. ბევრის თვალში სწორედ თქვენ გახდით ასეთი მოვლენის მსხვერპლი და სწორედ თქვენ ხართ დასჯილი თქვენ თანამებრძოლთა ასეთი თვისებით. უთუოდ დაგვეთანხმებით, რომ ასეთი შეხედულების გაბატონება ჩვენს პარტიაზედ ფრიად საზარალთა მისთვის და, ამის მიხედვით, ამ ყალბ შეხედულებათა გაბათილება შეადგენს ჩვენს მოვლენას პარტიის წინაშე.

პიროვნულს უთანხმოებებს ყველა პარტიაში ჰქონია ადგილი და მას, რასაკვირველია, ჩვენი პარტიაც ვერ აიძღვნა თავიდან. მაგრამ რიცხვობრივით რომ ავიღოთ, შეიძლება მასში გასილებით ნაკლებად ჰქონდა ადგილი ასეთს დავას, ვიდრე სხვაგან. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოში ორმოცამდე წევრი ლეზულობდა მონაწილეობას სხვა და სხვა დროს. ამათში ორიოდვე პიროვნების გარშემო თუ ამტყდარა მნიშვნელოვანი ხასიათის პიროვნული კონფლიქტები. ეს ორი პირი იყავით თქვენ და ვეშაპელი. საფიქრებელი იყო, რომ ვეშაპელის სიკვდილის შემდეგ ასეთი მოვლენები მოისპობოდა, ან და შემპირდებოდა სანახევროდ მაინც. სამწუხაროდ ეს არ გამართლდა და უკანასკნელის წლებში უკვე მარტო თქვენ ახერხებთ ასეთი კონფლიქტების შექმნას და წარმოებას და კიდევ მეტს მაშტაბში, ვიდრე ეს იყო წინეთ. 15 წლის მანძილზედ ასეთმა კონფლიქტებმა მეტად დიდი ზიანი მიაცენა ჩვენს პარტიას; მან დიდი დრო შეიწირა და დიდი ენერჯია, რაც ასე აჭირო იყო დადებითი მუშაობისათვის. ყველა ამ ამბების მოგონება და განხილვა ჩვენ აქ არ დაგვიჩრდება. იმ გარემოებას, რომ მუდამ თქვენ იყავით ასეთი ამბების სუბიექტი, ან ობიექტი. ერთს რამეში მაინც უნდა დაერწმუნებოთ თქვენ ამ წელთა მანძილზედ: სანელოდ იმაში, რომ თქვენ გაკლიათ ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც მიუცილებელია საზოგადოებრივს მოღვაწეობაში. ამის მი-

ხედვით, თქვენ ან უნდა გადაგემუშავებინათ თქვენი ხასიათი და ვერ განიხატოთ მუშაობისთვის მიუძღვებელი ზნე შეგვიძინათ, ან და უნდა დაშორებოდით აქტიურ ორგანიზაციულს საქმეს. მაგრამ ამ გზას თუ დაადგებოდით, ესეც მშვიდობიანათ, აურ-ზაურის და შესლავ-შემოხლის გარეშე უნდა მოგეხდინათ. მით უმეტეს, რომ ეს არ იქნებოდა თქვენი პიროვნების არც დამსირება და არც შელახვა. ჩვენ ვხედავთ, რომ დაწინაურებულს ქვეყნებში მრავალი ფრიად დიდი პიროვნებანი და თვით უდიდესი პოლიტიკური მოღვაწენიც სზირად ამა თუ იმ პარტიის მორიგ წევრად რჩებიან და მის ხელმძღვანელს ორგანოში არ შედიან. ასეთი პირები სზირათ სახელმწიფოსაც უდგანან სათავეში და სწორეთ იმ პარტიათა დავალებით, რომლის მორიგ წევრათ ითვლებიან. პარტიის აქტიური ხელმძღვანელობა მოითხოვს ისეთს თვისებებს, რომელიც შეიძლება არ აღმოაჩნდეს ბევრს, ვინც მრავალი სხვა დიდი ღირსებით არიან დაჯილდოებულნი.

პოლიტიკურს ორგანიზაციულს მუშაობაში საზოგადოათ, და განსაკუთრებით მის ხელმძღვანელობაში, მიუძღვებელი თვისებაა სხვების შეთვისების უნარი, თავმდაბლობა, სხვების აზრისა და ღირსების პატივისცემა, მოთმინება, აზრთა და შეხედულებათა სხვადასხვაობის ატანა და მოთმენა, იქვიანობის დარიდება, სხვისი ყოველ წინააღმდეგობის პიროვნულ შეურაცხყოფად არ მიღება, გრძნობების შეთოკვა, მსირე უსიამოვნების მაინც დროზე მივიწყება და სხ. და სხ. ყოველივე სხვას რომ თავი დავანებოთ, ვისთანაც კი მსირე რამ უსიამოვნება გქონიათ თქვენ ამ 15 წლის განმავლობაშ და შემდეგ შერიგებისაართ, ეს შერიგება ყოველთეას ყოფილა გარეგნული და თქვენი ნაწყენობა გულიდან ვერასოდეს ამოვირეცხიათ. ასეთი ვითარება ბუნებრივად ხდებოდა ახალ კონფლიქტთა მუდმივ წყაროდ. ასეთს განწყობილებას დღეს თქვენ განიცდით უკვე ყველას მიმართ, ვისთანაც კი ხელმძღვანელ ორგანოში გიმუშავნიათ წელთა განმავლობაში. გრძნობების ამზომად აყოლა და მასზედ დამორჩილება და მისი გამოძახილი—ჯიუტობა, გაბუტულობა და სხვა ელემენტები ხასიათის სისუსტისა რომ ფრიად აუდს შედეგებს იძლევა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ამისი მაგალითები თქვენ მრავლად გვაჩვენეთ ამ 15 წლის განმავლობაში. მაკრამ ამის მჭერმეტყველ მაგალითს და უთუოდ იშვითად სადმე ნახულ მაგალითს წარმოადგენს ის ოპოზიცია, რომელსაც თქვენ აწარმოებთ ეს მეორე წელიწადია ცენტრალური ბიუროს წინააღმდეგ. თქვენ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეთ ამ ორგანოს, ხოლო ამ ბრძოლის საფუძვლად ვერ მოგიპოვებიათ რა დღემდე, გარდა თქვენი ნაწყენობისა და ვითომდა შელახულ თავმოყვარეობისა.

2. საზოგადო საქმის პირობებთან თქვენი ხასიათის შეუთვისებლობის გარდა, თქვენი ეხლანდელი მდგომარეობის შექმნაში ფრიად დიდი მნიშვნელობა იქონია თქვენ მიერ გამოჩენილმა სისუსტემ და მერყეობამ ჩვენი პარტიის აზრისა, საქმის და პრესტიჟის დასავაში. ასპარეზზედ ახლად გამოსული პარტია ადვილათ აპატივებს თავის მეთაურობას სისუსტეს სოციალ-გამოცდილებაში; მაგრამ ის ვერ აპატივებს მას, უკეთუ ეს ხელმძღვანელობა ვერ ისავს მტკიცედ მის

ორგანიზაციულს ინტერესებსა და ღირსებას. ამ მხრივ ფრედ ტუდი შედეგები ქონდა ჩვენი პარტიისთვის იმ ფსიქოლოგიურსა და იდეურს მერყეობას. რომელსაც განიცდიდით თქვენ, განსაკუთრებით ემიგრაციაში. არამც თუ პარტიულ საქმეს, არამედ საერთოდ პოლიტიკას აძგებდით თქვენ იმ წრეს, რომელიც უნდა გაეწვრთნათ და აღგზარდათ პარტიულად. პოლიტიკას უდიდეს სიბინძურეთ სახავდით მხოლოდ იმიტომ, რომ მსხში მრავალი ტუდი მოვლენა მოიპოვება, როგორც ადამიანის ყოველს ნახელავში. ხოლო პარტიებს დაშლილად აცხადებდით ბეჭდვითი გამოცემაში და არავინ უწყის რა მიზნით და რა მოსაზრებით\*). შესაძლოა ამით უმზადებდით ნიადაგს თქვენს სხვა ახალ აზრებს, რომ თქვენი ბუნება ვერ თავსდება პარტიის ვიწრო ჩარჩოებში (სახელმწიფოებრივი პარტიის „ვიწრო“ ჩარჩოებში მთელი სახელმწიფოებრივი სხოვრება თავსდება ხშირად), რომ საჭიროა პარტიათა შენება პიროვნების გარშემო შემოკრების ნიადაგზე და არა იდეოლოგიურსა და პოლიტიკურ სისტემის გარშემო, როგორც ეს ყოველგან მომხდარა და მიხდება. თქვენმა ასეთმა ახალმა აზრებმა ვერავითარი თანაგრძნობა ვერ ჰპოვეს ჩვენს პარტიულს წრეებში. ამის შემდეგ თქვენ პარტიის გარეშე იწყებთ ახალ ორგანიზაციების შექმნას, სადაც ეძებთ ამ თქვენი ახალი აზრების განაღდების გზებს. სხვათა შორის ამის გამოძახილი იყო თქვენი თაოსნობით „თეთრი გიორგის“ დაარსება, რომელიც მალე სხვამ ჩაიგდო ხელში და ის არამც თუ ჩვენი პარტიის საწინააღმდეგო იარაღად იქცა, არამედ საზოგადოთ ჩვენი ეროვნული პოლიტიკის სხელის გამტეხ მოვლენადაც. ასეთი იდეური მერყეობა და ორგანიზაციული გზადაბნეულობა, რასაკვირველია, შეუთავსებელია პარტიის მეთაურობასთან.

განსაკუთრებით არა ბუნებრივი იყო და შეუწყნარებელი ასეთი მოვლენა ჩვენი პარტიული სხოვრების ამ ახალს პერიოდში, როდესაც ჩვენს პარტიას ამოდენა საამაყო ბრძოლები ჰქონდა გადახდილი და გამათავისუფლებელ ბრძოლაში სრულიად გაჯანსაღებული ერის მებაირალტრედ იყო გამხდარი.—ამ ზომად დიდი ეროვნული გარდატეხისა და გაჯანსაღების შემდეგ თქვენი იდეური სკეპტიციზმის კიდევ ამზომად გაძლიერება აიხსნება უთუოდ იმით, რომ ჩვენს სხოვრებაში მომხდარი ცვლილებები თქვენ არ გქონდათ შეგნებული და შეთვისებული. პოლიტიკური სხოვრება მიდიდა თავის გზით, ხოლო თქვენი აზრები და მისწრაფებანი იქმნებოდენ თქვენი პირადი გრძნობებისა და განსაღების მიხედვით.

3. როდესაც ძველს თქვენი ხასიათის შეუთავსებლობას ორგანიზაციულს მუშაობაში თან დაერთო ახალი იდეურ-ორგანიზაციული მერყეობა და სკეპტიციზმი, მოსალოდნელი იყო, რომ ეს კიდევ უფრო შეასუსტებდა თქვენს უნარს ორგანიზაციულს მუშაობაში და მართლაც ასე მოხდა. ჩვენს წრეში ყველაზე უკეთესი პირობები თქვენ გქონდათ უსხოეთში მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა, არც ერთს დადებითს საქმეში არ გამოვიჩინათ თაოსნობა და საქმიანობა. ყოველივე სხვას რომ თავი დავანებოთ, ათიოდე სტრუქციონიც არ დაგიბეჭდიათ უსხოეთისათვის იმ დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლებსა

\*) იხ. „სამშობლოთათვის“ № 3, სადაც ბ. სპ. კედია სწერს: „სხოვრებამ მოსპო და წაღკეა პარტიული ასპარეზი, პროგრამა და მოქმედება. ეს უნდა დაადასტუროს ჩვენმა გონებამ... დღეს გაუქმებულია მათი (ე. ი. პარტიების) ნიშნობლივი თვისებანი“...“.

და აჯანყებებზედ, რომელსაც ასე თავგანწირულად ეწეოდა ჩვენი ერთი ამ წელთა განმავლობაში (თუ რამე მცირე გაკეთებულა ამ დარგში, ისეც სხვების მიერ), და რომელსაც ჩვენი პარტია თაოსნობდა და ფაქტიურად მეთაურობდა. ეს უკვე გამოუსწორებელი საქმეა, რადგან ამიერიდან ამ ბრძოლებს აღარ ექნება ის ინტერესი ევროპისათვის, რაც მათ ჰქონდა წინეთ. ეს უკვე ისტორიაა ევროპისათვის და ისიც სხვისი ისტორია. მით უმეტეს, როდესაც ამ ევროპას საკუთარი კონფლიქტები გაუჩნდა საბჭოებთან და ეს ისტორიაც არ არის, არამედ მისი მიმდინარე სინამდვილე.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, თვით ხელმძღვანელ ორგანოშიდაც ვერ შესძელით მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარება. თქვენი ემიგრაციაში ყოფნის პირველ სამს წელს თქვენ იყავით ამ ორგანოს თავმჯდომარე და ამ ხნის განმავლობაში თვით თქვენ სტოვებდით მას ადვილად, განზე დგებოდით, თუ იბუტებოდით. ბოლოს 1926 წ. შემოდგომაზედ თქვენ საბოლოოდ სტოვებთ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელს ორგანოს უსხოეთში და განზე დგებით, ფარულად მას უპირდაპირდებით და ამასთანავე მოქმედობთ პარტიის სახელით, როგორც პარტიის თავმჯდომარე და სხვა. ასეთი მდგომარეობა მეტათ არანორმალურა იყო, რასაკვირველია, და პარიზის კომიტეტი მრავალს ნაბიჯს დგამს თქვენს წინაშე 1926-1927 წ., რათა თქვენ კომიტეტში დაბრუნდეთ, მაგრამ უშედეგათ. შემდეგ, 1927 წ. 2 ნოემბერს, პარიზის კომიტეტმა, სასტიკათ დაგმო რა თქვენი კომიტეტის გარეშე მოღვაწეობა, გამოიტანა დადგენილება თქვენი პარტიიდან გარიცხვის შესახებ. კომიტეტის 4 წევრი არ დაეთანხმა ამ დადგენილებას; მათ მოითხოვეს მ. ს. ი. გაუქმება და როდესაც ეს არ გავიდა, კომიტეტი დასტოვეს. მათ მოიწვიეს თქვენთან ერთად კომიტეტის გარეშე მდგომ წევრთა და თანამოაზრეთა თათბირები და გამოსცეს ამ საგანზე განსაკუთრებული დეკლარაცია, სადაც კომიტეტს უსაყვედურებდენ, რომ მას არ ჰქონდა ასეთი დადგენილების გამოტანის უფლება თქვენს შესახებ და რომ ეს მან ჩაიდინა იმის გამო, რომ თქვენ დასტოვეთ კომიტეტი და სალკე დადექით, რადგან არ იწყნარებდით მენშევიკებთან საერთო ფორნტში ყოფნას. პარიზის კომიტეტი იძულებული წდებოდა გაეკეთებინა ვრცელი განმარტება ამ საგანზედ და დაებეჭდა მასალები, რომელთა მიხედვით ყველას უნდა დაენახა, რომ პარიზის კომიტეტმა ეს დადგენილება გამოიტანა არა ვისიმე დასჯის მიზნით, არამედ პარტიის ღირსების დაცვისათვის, რადგან მას მეტად სასიფათოდ მიჩნდა პარტიისათვის თქვენი კომიტეტის გარეშე მოქმედება და იმ ხანათ მას უკვე სწობებდა ჰქონდა, რომ ამას სუდი შედეგები მოყვებოდა პარტიისათვის. რაც შეეხება თქვენი გარიცხვის უკანონობას, კომიტეტს განზრახული ჰქონდა განემარტა, რომ შეიძლება ის უკანონოთ ჩაითვალოს სხვა, ნორმალურ პირობებში მომუშავე ორგანიზაციათა სტატუტების მიხედვით, მაგრამ ის საესებით კანონიერია პარიზის კომიტეტის იმ სტატუტის ძალით, რომელზედაც სპ. კევიასაც უწერია ხელი. ხოლო ფორნტის საკითხის შესახებ კომიტეტი ახსნიდა, რომ თქვენ კომიტეტი დასტოვეთ 1926 წ. არა იმიტომ, რომ

საერთო ფრონტის წინააღმდეგი იყავით, არამედ პირიქით იმიტომ, რომ ამ საერთო ფრონტში არ იყავით გაგზავნილი კომიტეტის წარმომადგენლათ, რასაც მოწმობდა თქვენ მიერ კომიტეტში შეტანილი განცხადება\*). მაგრამ ასეთი კომპანია შეჩერებულ იქმნა, რადგან ორივე წრის წარმომადგენელნი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ამ განხეთქილების რაც შეიძლება ვიწროთ შემოღარგვლა და შემდეგ სრულიად მოსპობა. თქვენი თანხმობაც იყო, როდესაც მოლაპარაკება დაიწყო გაერთიანების მიხნით. დეკლარაციის გამოცემის შემდეგ სადაო საგანი უკვე ერთი იყო: ფრონტისა და თქვენი გამორიცხვის. პირველის შესახებ შეთანხმება მალე მოხდა, ხოლო მეორემ წელწადი გასტანა, რადგან თქვენს შესახებ დადგენილების გაუქმება ძნელდებოდა როგორც შინაური, ისე გარეშე მიზეზების გამო. ბოლოს 1929 წ. აპრილში ეს საკითხიც გადაიჭრა დადებითად და საჭირო იყო შეთანხმების საბოლოო დამტკიცება. ესაა თქვენ წინააღმდეგით შეთანხმების დამტკიცებას, და როგორც კომიტეტში, ისე საზოგადო კრებაზედ სხვა საბუთი არამოკვავდათ რა გარდა იმისა, რომ თქვენ შეურაცყოფილი ხართ, გრძობებს ვერ სძლევეთ და ამის გამო არჩევანს იძლევიან—ან მე ან ისინიო. ხოლო როდესაც შეგვეკითხენ—მაშ თქვენ რა გეგმა გაქვთ დასემულ პარტიულ საქმის აღსადგენათო, თქვენ უპასუხეთ—ამაზე შემდეგ ვაფიქრობო. თქვენ ხანგრძლივად გარწმუნეს მათ, რომ ამ შეთანხმებას მხოლოდ აქტივები აქვს თქვენთვის: თქვენი გამორიცხვის შეახებ დადგენილების გაუქმება, თქვენი მიზეზით მომხდარ განხეთქილების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, ფრონტიდან გამოსვლა, რომლის ავტორად ბევრს თქვენ მიაჩნდით და სხვა. გარწმუნესთ, რომ ამის წინააღმდეგობა არ ვარგა თქვენთვის კიდევ იმის გამო, რომ მას ერთსულოვნად მოითხოვენ ჩვენი წევრები და უთუოდ მიღებული იქნება და მით გამოძლევენდა თქვენი სუსტი მდგომარეობა ორგანიზაციაში. მაგრამ თქვენ არ გაუწიეთ ანგარიში არც ამ საბუთებს და არც პარტიაში შექმნილ ვითარებას და იმათაც არ დაუჯერეთ, ვინც ზემოდ მოხსენებული მუშაობა გამოიწყეს და აწარმოვეს თქვენს დასაცავად. პარიზში საჯარო კრებაზე გაილაშქრეთ შეთანხმების წინააღმდეგ, ხოლო პროვინციაში დეპეშები დაგზავნეთ, რომ ის უარეყოთ. მიუხედავად ამისა ის ყველგან ერთხმად იქნა დამტკიცებული და პარიზში მხოლოდ ოთხმა წევრმა შეიკავა თავი.

4) გაერთიანებულმა ორგანიზაციამ მოქმედება დაიწყო, ხოლო თქვენ განხედ გადქვით ისევე. როგორც 1926 წ. პარიზის კომიტეტის დარღვევის შემდეგ შეთანხმების დამტკიცებამდე ისოლით თქვენ, რომ მოწვეულ იქნებით ცენტრალურ ბიუროში, როგორც კი მიწყნარდებოდა თქვენს გარშემო ატეხილი ამბები. ბიურო ასე მოქცა და ოქტომბერში წერილობით მოგსათ წინადადება: ცენტრალურ ბიუროში შემოსვლა და სხვებთან ერთად განაწილება ჩვენი საერთო საქმის პირ-ვარამისა. ბიურო კარგად ხედავდა, რომ თქვენს შემოსვლას ბიუროში მნიშვნელოვანი პასივები ჰქონდა: ის მტლად გაუძნელდება მას აქტიურ ბრძოლის წარმოებას მინ და გარედ და ასევე საუარყო ურთიერთობას. ჩვენს მტრებსაც მრავალს ახალს იარაღს მისცემდა

\*) ეს განცხადება ბ. სპ. კელიამ გაუგზავნა პარიზის კომიტეტს მეორე დღესვე. ამ განცხადებაში, რასაკვირველია არაფერია ნათქვამი სხვა პარტიებთან შეთანხმების წინააღმდეგ, რადგან ეს შეთანხმება ერთხმად იყო მიღებული და დამტკიცებული.

ქართული  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში. ხოლო თუ თქვენ ძველი ხასიათითა და განსაზღვრებით დარჩებოდით, შესაძლებელი იყო, რომ ეს კვლავ შექმნიდა ბიუროში დაქსაქსულობასა და დამბლადაცემულობას. ამის ნაცვლად აქტივი ის უნდა ყოფილიყო, რომ შინა პარტიული შეხლა-შემოხლა მაინც თავიდან უნდა აგვეციდინა. მეორეს მხრივ ჩვენ კარგად ვიცოდით თქვენი ხასიათის სისუსტე, რის გამო თქვენ, განზედ მდგომსა და ბიუროსთან დაპირდაპირებულს, ადვილათ გაგიხდიდენ ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგე ძალები თავის იარაღად და საშვალებად. ბიუროს მოწვევაზედ პასუხი თქვენ არ მიგიძიათ არც დადებითი და არც უარყოფითი. შემდეგ პირადათა მოგმართეს ზოგიერთ წევრებმა, მაგრამ თქვენგან რაიმე პასუხი ვერ მიიღეს. შემდეგ ბიუროს აცნობეს, რომ ორგანიზაციების დადგენილებაც არის საჭირო, რადგან ეს საკითხი ფართეთ არის გასული საზოგადოებაში. ესეც გაკეთდა. ამის შემდეგ თქვენთან დაახლოვებულმა და თქვენი სახელით მოლაპარაკე ერთმა პირმა საზოგადო კრებაზედ მოგვახსენა (არსებითად ესევე სთქვით თქვენ 10 აგვისტოს კრებაზედ), რომ თურმე თქვენ მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილებით, უკეთუ ბიუროს დაარსებული ორგანიზაციები შეიკრიბებიან ბიუროს გარეშე და მას დაგმობენ, ხოლო თქვენს მოღვაწეობას მოიწონებენ და სრულს ნდობას გამოგიცხადებენ. ასეთი დეზორგანიზატორული გზით მოისურვეთ თქვენი გრძნობების დაყუჩება. ყოველივე ამის შემდეგ ცენტრალურ ბიურომ დასრულებულათ მიიჩნია ეს თქვენი ბიუროში შემოსვლის საკითხი, მით უმეტეს, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში უკვე სავსებით გაბათილებული გქონდათ ის აქტივი, რომელსაც ბიურო მოელოდა თქვენი შემოსვლიდან მრავალ პასივის ნაწილობრივ მაინც დასაფარავად.

5. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, აქ ჩვენ შინაპარტიულ უწყსობებათა თავიდან აცილება გვინდოდა და აგრეთვე ისიც, რომ თქვენ არ გამხდარიყავით იარაღი ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგე ძალთა ხელში. ამას მოითხოვდა პარტიის ინტერესები და თვით თქვენი ღირსება და ინტერესები. მაგრამ თქვენ წინააღმდეგი გზა აირჩიეთ: შინაპარტიული ოპოზიცია გავვიჩინეთ, მაგრამ ოპოზიცია მეტათ უშნაური და უმზგავსო. ამ თქვენს ოპოზიციას არ ჰქონდა რაიმე იდეური შინაარსი. ვერც ცენტრალურ ბიუროს ტაქტიკას სდებდით წუნს, მის ორგანიზაციულ საქმიანობასაც ვერ უარყოფდით, ვინაიდან ფაქტები საკმარისად ნათელყოფდენ, რომ ბიუროს ერთი წლის განმავლობაში გაძილებით მეტი ჰქონდა გაკეთებული იდეურ და ორგანიზაციულს დარგებში უთქვენოთ, ვიდრე ემიგრაციის ყველა წლების მანძილზე თქვენთან ერთად. და ეს მიუხედავათ იმისა, რომ ბიუროს ახალი მოქმედების პირობები გაძილებით უფრო სუდი იყო, ვიდრე წინეთ, თქვენს დროს. ვერც ბიუროს შემადგენლობას გაუწვევდით კრიტიკას, ვინაიდან ის ვაგრძელება იყო ყველა იმ ხელმძღვანელ ორგანიზებისა, რომლებშიდაც თქვენს ირისხებდით. ასეთს პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო თქვენს სასარგებლოთ და ცენტრალურ ბიუროს წინააღმდეგ წესიერი და ღირსეული ოპოზიციის წარმოება. რჩებოდა ამ საკითხის გარშემო ქორების გავრცელების გზები, თქვენი დასახვა მრავალტანჯულ იობად, და მით თქვენდამი სიბ-

რალულის გამოწვევა, ხოლო ბიუროსადმი კი მძულვარებისა და ურების მიხედვით ასეთს დავაში თქვენს გამარჯვებას რაღაც სასწაულები უნდა მოყოლოდა და ამის გარშემო ყველას შეეძლო დაესახა თავის სურვილისამებრ ილიუზები და იმედები. ასეთს „ოპოზიციას“ თავისი შესაფერისი გამოსახულება მიეცა: მალული, დეზორგანიზატორული და კრიმინალური მოქმედებისა. ის დაიწყო ჩვენი ორგანიზაციული გაერთიანებისთანავე. ერთმა წევრმა ყალბი დოკუმენტი შეადგინა, ყალბი ხელის მოწერებით და გაერთიანება უკანონოდ აღიარა და ჩაშლილად\*). ეს კეთდებოდა თქვენი ინტერესების დასაცავად. ასეთი იყო მისი შინაარსი და მისი ასლი თქვენს მოგვრთვათ, მაგრამ თქვენ არ გაიმიჯნეთ ასეთი კრიმინალისაგან შემდეგაც, როდესაც მისი სიყალბე გამომჟღავნდა. შემდეგ ბერლინის ორმა წევრმა დაიწყო მოხსენებებისა და ბარათების ყოველმხრივ გზავნა ჯერ ხელნაწერად და შემდეგ მანქანაზედ ნაბეჭდისა. ეს მწერლობა, ბუნებრივი, პარტიის წევრთა ფარგლებსაც სცილდებოდა. ასლები კვლავ თქვენ გეგზავნებოდათ და თქვენ მისგან არ იმიჯნებით და ამ საგანზედ საუბრებში კიდევაც იმოწმებთ მას. ამ გამძვლებში ჩვენი პარტიული ვითარება საზოგადოთ და კერძოთ ბიუროს მოღვაწიობა მეტად წყალწაღებულად არის მიჩნეული. სამაგიეროთ თქვენ ამაღლებული ხართ და დიდი იმედების წყაროდ მიჩნეული. ხოლო ცენტრალურ ბიუროს წინააღმდეგ მიმართული იერიშები ორი საქმის გარშემო იყრის თავს. პირველია ყალბი ჩერვონცების საქმე; ბიურომ უსამართლოდ დაგმო ეს საქმეო, მას დიდი მნიშვნელობა ქონდა საქართველოს საკითხის პროპაგანდისათვის ევროპაში და სხ. მრავალი უმტკიცეთ მათ, რომ ყოველი სახელმწიფოებრივი პარტია ასე უნდა აფასებდეს ასეთს საქმეს, რომ ანარქისტებიც ვერ კისრულობენ მის დასაცავს და სხ. აუხსენით, რომ პრინციპიალურად მიუღებლობის გარდა, ამ საქმემ ფაქტიურადაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს პარტიას შინ თა გარედ: მტრებს დიდი იარაღი მისცა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ხოლო მეგობრები დაგვიფრთხო და ევროპის ქვეყნებში მუშაობის პირობებიც დიდათ გაგვიფუჭა. ამ საბუთებმაც არ გასურა და ასეთი მწერლობა მათ შემდეგ „თეთრი გიორგის“ ფურცლებზე გადაიტანეს. მეორე საგანი ოპოზიციისა იყო თქვენი დაბრუნების საკითხი ხელმძღვანელს ორგანოში. „პარტიის თავმჯდომარე დაუბრუნდეს პარტიასო“. განუმარტეთ მრავალჯერ, რომ თქვენ გიწვევთ ბიუროში, ხოლო თქვენ განხედვებართ გაბუტული და იქედან გვემუქრებით. აუხსენით ისიც, რომ თქვენ პარტიის მიერ კი არ ყოფილხართ არჩეული თავმჯდომარედ, არამედ მთავარი კომიტეტის წევრთა მიერ თავის თავმჯდომარედ და რომ ესლა ამ საკითხის აღძვრა მეტად უსწაურია, ვინაიდან თქვენ ებრძვით ყველა იმათ, ვინც თქვენ წინეთ აგირჩიეს თავის თავმჯდომარედ. ასეთი ირიბული გზებით თავმჯდომარეობის საკითხის აღძვრა არ უნდა ყოფილიყო თქვენთვის მისაღები, რადგან ამ თქვენი თავმჯდომარეობის მშვიდობიანი გზით ლიკვიდაცია გადაწყვეტილი იყო თქვენივე თანხმობით ჯერ კიდევ 1925 წ., შემდეგ 1926 წ. თქვენ თვითონვე თასტოვით ის ფაქტიურათ, ხოლო 1928 წელს ზაფხულს თქვე

ფორმალურადაც აიხსენით ეს თანამდებობა მთ. კომ. თავმჯდომარის მოადგილის სახელზედ მიმართულს განცხადებით\*).

რასაკვირველია ასეთი უწყისო ოპოზიციის დიდად გამოიყენეს ჩვენი პარტიის მოპირდაპირე ძალებმა მარცხნივ თუ მარჯვნივ. ამ მიმართულებით სვლა დიდად გაუადვილა მათ იმ გარემოებამ, რომ თქვენ სასიამოვნოდ განწყობილება ალადგინეთ მათთან, როგორც კი მოხდა გაერთიანება შარშან და თქვენ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ წრეს დაუპირდაპირდით. ამ ბრძოლაში ისენი მრავალი გზითა და საშვალეობით გიჭერენ მხარს და თქვენ რომ სავსებით გრძნობების ტყვეობაში არ იყავთ და გონებრივი საზომით განსაჯოთ ასეთი ვითარება, თქვენი ოპოზიციის ყოვლად შეუწყნარებელს ბუნებას ადვილათ შეიცნობდით და დააფასებდით. საქმე იქამდე მიდის, რომ მთელი საზოგადოება დარწმუნებულია: რომ თქვენ უკვე გადასულიხართ „თეთრი გიორგის“ ჯგუფში, და თქვენც გიხდებთ უახლოესი თქვენი წრის რწმუნება, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება. ასე შეარყიეთ თქვენვე თქვენ უკანასკნელი წლების მოღვაწეობით თქვენი მდგომარეობა მახლოვებულ და შორეულთა თვალში, როგორც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პასუხისმგებელი წევრისა.

6. მაგრამ შეიძლება თქვენ იმ ზომად ცუდი პირობები გქონდათ პარტიაში გაზრდისა და განვითარებისათვის, რომ თქვენი ბუნება პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარ გზებს ასცდა და ზემოდ მოხსენებული მიმართულებით წავიდა? ასეთი კითხვა ბუნებრივად ისმება, როდესაც თქვენ უპირდაპირდებით პარტიის აქტიურ მეთაურობის მთელს წრეს, უნაკლულად.

ცენტრალურს ბიუროში იმყოფება ის წრე, რომელმაც თქვენ მოგიწვიათ 15 წლის წინეთ, მაშინ სრულიად ახალგაზრდა პიროვნება და ჯერ კიდევ გამოუხვლელი საზოგადოებრივ მოღვაწეობის ფართე ასპარეზზე, მეთაურად იმ პოლიტიკური მუშაობისა, რომელიც იმ ხანადაც დიდი საქმე იყო. ამ წრის ხელში იყრიდა თავს მესამომსიანთა დასის ეროვნულ აღორძინების მთელი მემკვიდრეობა, და მასვე ეკუთვნოდა საქართველოს გამოსცემათა ნახევარზედ მეტი. ეგზომ კარგს პირობებში სხვას არავის დაუწყია პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოში. ეს წრე მალე დარწმუნდა, რომ ამ საქმის მეთაურად სულ სხვა თვისებათა და შეძლებათა მქონე პიროვნება იყო საჭირო, მაგრამ დროც დადგა ფრიად არეული და პოლიტიკურ ასპარეზზედ გამოსული წრეც საზოგადოთ სუსტი იყო. საერთო ძალებით უნდა გაკეთებულიყო ყოველივე, რასაც უხერხულად მოსთხოვდა ჩვენს ჯგუფსა და მიმართულებას. და ამ წრეში შემდგეც არავის დაუყენებია საკითხი: ან მე და ან სპ. კეღია, ან კიდევ—ან ჩვენ და ან სპ. კეღიაო, როგორც ამას შვრებით თქვენ.

ცენტრალურ ბიუროში იმყოფებიან აგრეთვე ისენიც, ვისაც ყველაზედ მეტი ჯაფა და შრომა აქვთ გაწეული ყველა თქვენი კრფლიქტების დასწრებაში და უკანასკნელი სამი წელი ხომ თითქმის სავსებით ამას მოანდომეს. ასე რომ, არ გამიტანესო, არ დამინდესო, არ დამაფასესო ყოველს შემთხვევაში, არ გეტქმისო.



ჩვენი პარტია სახელმწიფოებრივი პარტიაა და მისი ასპარეზი ფრიად ვრცელია. აქ არის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, პოლიტიკა, საორგანიზაციო საქმე, პრესა და შემდეგ მეცნიერება, სწავლა-განათლება, სამხედრო საქმე, სასოფლო-მეურნეობა, მრეწველობა და სხ. და სხ. არც ერთს ამ დარგში თქვენ არ დაგიტოვებიათ ისეთი კვალი, რომელიც შეეფერებოდა თქვენს მდგომარეობას პარტიაში. თქვენ არ იყავით ამის გაკო პარტიის ისეთი ხელმძღვანელი და გეზის მიმსდემი, როგორც ეს საქმეს სჭირდა. თქვენ იყავით მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე და, ფაქტიურად, მისი სხდომების თავმჯდომარე, მაგრამ გარეშეთათვის თქვენ იყავით პარტიის თავმჯდომარე და შეიძლება კარგახანს შეიორჩენდით ამ მდგომარეობას, უკეთუ მშვიდობიანობას და სიწყნარეს მაინც დაიცავდით და მუდმივი აყალმაყალის წყაროდ არ გახდებოდით. ყოველივე ამის შემდეგ თქვენ კიდევ ასეთი რიხით გალმა გადავება და მთელს მეთაურთა წრესთან ასეთი წვრილმანი დავების ატება ფარდას ხდის თქვენი ხასიათის იმ დიდ მანკს, რომელიც ასე მძიმე ატმოსფერას ქმნიდა პარტიაში და მის ზრდა-განვითარებას ფრთებს უკვეცავდა.

7. ჩვენს პარტიას რომ უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა, ეს უკვე ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ვალვიაროთ ისიც, რომ ამის გარეშეც მრავალი იყო მასში ისეთი წესები, განსდებები, ზნე და ხასიათი, რომელთა ერთი ნაწილი ზემოდ არის მოხსენებული და რომელნიც პრიმიტიულ პოლიტიკის ელემენტებს შეიცავდნენ. ყოველივე ეს ძალაუნებურად დასაშვები იყო იმ ხანაში, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზედ ახლად გამოსული ერის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ელემენტები დარაზმვას იწყებდნენ, მაგრამ ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა და პარტიის ხელმძღვანელების გარდაუვალ მოვალეობას შეადგენს პარტიის განთავისუფლება ყველა ასეთ პრიმიტიულ ელემენტებისაგან და მისი აგება თან მედროვე დაწინაურებულ ქვეყნების პარტიათა საფუძვლებზედ. ცენტრ ბიურომ სამართლიანად თავის თავიდან დაიწყო ეს პარტიულ საქმის გაჯანსაღების პროცესი და ის ფრიად კმაყოფილია მისი შედეგებით. ხელმძღვანელ ორგანოში დამყარდა ერთსულოვნობა, წესი და რიგი, როგორც ეს არასოდეს ყოფილა წინეთ. ეს მოხერხდა საერთო ძალით, საერთო ნებისყოფითა და ერთმანეთისადმი ნდობის დამყარებით. ამის შემდეგ ბიურო შეუდგა წევრთა აღზრდასა და გაწვრთნას, რაც ასე ცუდად გვექნა დაყენებული წინეთ. ჩვენი სურვილი იყო, რომ თქვენც ყოფილიყავით ასეთი მუშაობის მონაწილე, მაგრამ ეს არ მოხერხდა და 10 აგვისტოს თქვენმა გამოსვლამ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ თქვენმა ბუნებამ არავითარი ევოლუცია არ განიცადა ამ მიმართულებით და, წინააღმდეგ ამისა, კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლა ზემოდ მოხსენებულსა და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან შეუფერებელს განწყობილებაში.

ყოველივე ამის მიხედვით ცენტრალური ბიურო აღარ სთვლის ჩვენი პარტიული საქმისთვის სასარგებლოთ თქვენს მის წრეში დაბრუნებას. თქვენ ეს საკითხი კარგი ხანია გადაჭრილი გავით ფაქტიურად

და ამ უამად ცენტ. ბიუროს მას ადასტურებს თავის მხრივ, ბიუროს  
საქიროდ სთვლის ამის ვრცლად განმარტებას ამ ღია ბარათით მთე-  
ლი პარტიის საყურადღებოთ.

საქართველოს ერ.-დემოკრატიულ პარტიის  
საზღვარ-გარეთის ცენტრალური ბიურო.

20 - VIII - 1930 წ.

პ ა რ ი ზ ი.

**ბატონ ტიტე მარგველაშვილს, ბერლინში.**

ემიგრაციაში მრავლად დარიგდა ის დეკლარაცია, რომელიც  
შეგიმუშავებიათ თქვენ ამა მაისის 14. არც ჩვენი პარტიის საზღვარ-  
გარ. ცენტრალურ ბიუროს და არც საორგანიზაციო კომიტეტს ეს  
დეკლარაცია არ მიუღია, მაშინ, როდესაც მისი შინაარსი მხოლოდ  
ამ ორგანოებს შეეხება.

ამ რიგად, თქვენ კვლავ მოახდინეთ ფარული და ქურდული  
თავდახსნმა ჩვენს ორგანიზაციებზე, რასაც თქვენ ამ სამი წლის გან-  
მავლობაში ეწეოდით, თქვენი უამრავი ხელნაწერი და მანქანაზედ  
დანაბეჭდ წერილებით. ერთ ხანს ასეთი მოღვაწეობა თქვენ კიდევ  
„თ. ვიორგის“ ფურცლებზედაც გადაიტანეთ და იქ დიდი დეკლარა-  
ციებით გამოდით. ყველა ამ ნაწერებში თქვენ ათასს ერთმანეთის  
საწინააღმდეგო აზრებს ქადაგობდით, მაგრამ იქ ჩვენ მაინც ვნახეთ  
ორიოდე აზრი, რომელიც ჩვენ შეხედულებასა და ჩვენი ეროვნული  
საქმის რეალურ ამოცანებს ეთანხმებოდა. ერთი ასეთი აზრი ისაა,  
რომ თუ „ჰეგემონიის პოლიტიკა საქართველოს დაღუპვის პოლი-  
ტიკათ შეიქმნა, მორიგების პოლიტიკა საქართველოს ხსნის პოლი-  
ტიკად უნდა გახდეს“ და მეორე, რომ „ძველი თაობის მხოლოდ  
ერთმა ნაწილმა იგრძნო მოვალეობა და სულიერი მოთხოვნილება  
ზვარაკად მიეტანა თავისი თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე და  
მთელი ახალგაზრდობა მას ამოუდგა გვერდში, რადგან მათში თავ-  
განწირულ მებრძოლ მამულიშვილებში იგრძნო ერის სული და ერის  
უზენაესი მორალი. ჩვენი შეხედულება სწორედ ასეთი იყო თავი-  
დანვე. ჩვენ ვიდებოთ და ვდგევართ ეროვნულ ძალთა მორიგების  
ნიადაგზე, და ისეთს პირებს მივსდევდით საქართველოში წარმოე-  
ბული ბრძოლის ხანებში და აქაც, ემიგრაციაში ჩვენ ამ პირებთან  
ვართ, რომელნიც თავიდანვე იყვნენ თაოსანნი და მონაწილენი ამ  
თავდადებული ბრძოლებისა და დღემდე არ დაუტოვებიათ ეს პო-  
ზიციები და მათი უმალღესი მორალი. სამწუხაროთ, თქვენ 1921 წლი-  
დანვე გადაუდებოთ ბრძოლის ამ გეზს საქართველოშივე და ამიტომ  
არ უნდა გიკვირდეთ, რომ თქვენ ამ წრის გარეშე დარჩით. თქვენს  
კერძო წერილებსა და დაბეჭდილ დეკლარაციებში ჩართულ ახალ-  
გაზრდობისადმი ქათინაურების მიზანი ნათლად სჩანს. თქვენ

გსურსთ აუშხედროთ ის უფროს თაობას და, მაშასადამე, ვინც მტკიცედ სდგანან ბრძოლის პოზიციებზე. ჩვენ ამას არ ვეთანხმებით, და მხოლოდ იმას ვეცდებით, რომ მტკიცე აზრისა, მტკიცე ხასიათის და მტკიცე მორალის ახალგაზრდა და უფროსი თაობა ერთად იყოს და ხელი-ხელ ხელ ჩაკიდებული განაგრძობდეს განმათავისუფლებელ ბრძოლას საქართველოსა და უცხოეთში.

ჩვენ მიერ მოწვეული ერ.-დემ. პარტიის ახალგაზრდობის უფროსი თაობის ყრილობა სწორედ ასეთს მიზანს ისახავდა და ამ მიზნის ქვეშ ჩატარა თავისი მუშაობა. მის წინააღმდეგ თქვენი ასეთი უწყესო და უღირსი გალაშქრება ეწინააღმდეგება არამც თუ ჩვენი ეროვნული ბრძოლის და ჩვენი მებრძოლ პარტიის ინტერესებს არამედ პოლიტიკური ზნეობის სრულიად ელემენტარულს წესებსაც. თქვენ ისიც დაივიწყეთ, რომ „თ. გიორგში“ დაბეჭდილს დეკლარაციაში თქვენ თვითონ გვირჩევდით ასეთი კონფერენციის მოწყობას, მაგრამ, რასაკვირველია, არა ასეთი მიზნისათვის, არამედ ინტრიგებისა და განხეთქილების გაღრმავებისათვის. რაც შეეხება თქვენს მოსაზრებებს შესახებ კონფერენციის მოწვევის წესისა და ბ. ალ. ასათიანის მანდატებისა, ამის შესახებ თქვენ საკმარისი საბუთები გაქვთ თქვენი შეხედულების საწინააღმდეგოდ, მაგრამ თქვენ მათ ჰგვარავთ. 1929 წლიდან პარტიის საზღ.-გარ. ცენტრ. ბიურომ მოახდინა პარტიის წევრთა რეგისტრაცია, საგანგებოდ დაბეჭდილ ფურცლების საშუალებით. ეს მუშაობა შემდეგ საორგანიზაციო კომ. დამთავრა და პარტიის ორგანიზაციულს წყობაში წესი და რიგი დაამყარა. ორი წელი საკმაოდ დროდ მიგვაჩნია რეგისტრაციისათვის, და ამ ხნის განმავლობაში ემიგრაციაში მყოფ პარტიის ყოველს წევრს საშუალება ჰქონდა სარეგისტრაციო ბარათი შეევესო და ც. ბიუროსათვის დაებრუნებია. თქვენ პირადად არ ინებეთ ამ სარეგისტრაციო ბარათის შევსება, და რეგისტრაციაში გატარება საერთო წესის მიხედვით და მით თქვენი თავი პარტიის ორგანიზაციის გარეშე დააყენეთ. ამ გვარად ჩატარებულმა რეგისტრაციამ ჩვენ სრული ცნობები მოგვცა პარტიის ყოველი აღრიცხული წევრის შესახებ. ამ აღრიცხვის შემდეგ სამწუხაროდ, პარტიის რამოდენიმე წევრმა დასტოვა პარტიის ორგანიზაცია. საორგ. კომისია, რომლის თაოსნობით იქმნა მოწვეული პარტიის ახალგაზრდობის უფროსი თაობის ყრილობა, მომხდარი რეგისტრაციით სარგებლობდა და ამ ყრილობაზედ მოიწვია პარტ. ორგანიზაციებში მყოფი ახალგაზრდათა პირველი ორი თაობის აქტიური და დაცდილნი წევრები. ყრილობაზედ გადაწყვეტი ხმით, მხოლოდ ასეთები დაესწრნენ. არც ერთს პარტიას და კერძოდ ჩვენს პარტიას არასოდეს ჰქონია წესდება, რომელსაც დასაშვებად მიაჩნდეს პარტიის ორგანიზაციების ყრილობაზედ პარტიის ორგანიზაციებიდან გასული და მის გარედ

მყოფ ხალხის მოწვევა - მონაწილეობა. ცხადია, რომ ჩვენც არ შეგვეძლო სხვაგვარად მოქცევა. სხვათაშორის თქვენ რომ სწორთ — თითქოს ჩვენთან „უმცირესობაა და თქვენთან უმრავლესობა“ ამის პასუხად ის პატარა ფაქტიც გეყოფათ, რომ თქვენ პირადათ და თქვენი მეგობრები გახვედით პარტიის ორგანიზაციებიდან მას შემდეგ, რაც აქ ვერ შესძელით თქვენი განზრახვებისათვის საჭირო უმრავლესობის შოვნა. როდის ყოფილა, რომ უმრავლესობა გასულიყო რომელიმე პარტიის ორგანიზაციიდან და უმცირესობა კი შიგ დარჩენილიყო?! თქვენი თავი თქვენ დამსახურებულ პოლიტიკურ მოღვაწეთ მოგაქვთ, და ის კი უნდა გესმოდეთ, რომ სადაც პარტიებში არის „უმცირესობა“ და უმრავლესობა“, ეს ორგანიზაციაში მყოფ ხალხს შეეხება და არა ორგანიზაციიდან განდევნილთ, თუ გასულთ. ორგანიზაციის გარეშე მყოფი მილიონები მოიპოება, მაგრამ ეს არ ჩაითვლება რომელიმე პარტიის უმრავლესობად თუ უმცირესობად. ამრიგად, ბ-ნო ტიტე, ამ კონფერენციის საქმეს თუ ყოველგვარ სხვა ორგანიზაციულს მუშაობას და საქმეს ჩვენ ვამყარებდით და ვამყარებთ იმ პირებზე, რომელნიც აქტიურად იყვნენ ჩამბულნი ჩვენს მუშაობაში. ვინ არის ასეთები ემიგრაციაში უფროსი თაობისა თუ ახალგაზრდობისა, ეს ჩვენ კარგად გვაქვს გამოვკვეთული და ესენი ანგარიშიდან არასოდეს გამოვვირიცხავს, ხოლო თუ არიან ისეთები, რომელნიც წინეთ ჩვენთან იყვნენ და ხანდისხან ეხლაც იყენებენ ჩვენი პარტიის სახელს, მაგრამ საქმით მის გარეშე სდგანან და მას ებრძვიან დაისიც ყოვლად შეუწყნარებელი საშვალეობებით, ასეთების გარეშე ჩვენს პარტიულ საქმეებში, ჩვენ არც კანონიერად მიგვაჩნია და არც სასარგებლოთ. რაც შეეხებათ პირადათ თქვენ, იქნება ფრიად დიდი პიროვნება ბრძანდებით, მაგრამ თქვენი აქტიური როლი ჩვენს პარტიაში ჩვენ არ დავგინახავს ყოველს შემთხვევაში ამ 13-14 წლის მანძილზე, ხოლო წინეთ თუ რამ დიდი როლი გითამაშიად ამას ისტორია უთუოდ არ დაგივწყებსთ.

თქვენ ცენტრალურ ბიუროს ებრძვით ყოვლად უღირსო საშუალებებით ვითომდა ბატონი სპ. კელიას საქმეაგოთ, მაგრამ ბ-ნი სპ. კელიას დროსაც თქვენ არავის გაურევიხართ არც რაიმე საპასუხისმგებლო მოლაპარაკებაში, და არც სხვა რამსაპასუხისმგებლო საქმეში. ხოლო სავსებით რად მოხვდით თქვენ ჩვენი პარტიულ წრის გარეშე, თქვენ ესეც კარგათ მოგეხსენებათ. თქვენ აცნობეთ ცენტრ. ბიუროს, რომ განზრახული გაქვთ შრომის დაბეჭდვა ყალბი ჩერვონცების საქმის შესახებ. ამ საგანზე თქვენ პარტიის საწინაღმდეგო აზრი გქონდათ აღებული და ყალბი ჩერვონცების საქმეს დიდ ეროვნულ მიღწევათ ასაღებდით. თქვენ გადმოგვიგზავნეს ბიუროს დადგენილება, რომ თუ თქვენ ერთს სტრიქონს დასწერდით ამის შესახებ, თქვენ მიჩნეული იქნებოდით ჩვენი პარტიული წრის გარეშე დამდა-

რად. თქვენ ამას არ დაემორჩილეთ და ამ საგანზედ „თ. გიორგი-ს...“ ფურცლებზედ დეკლარაციებით გამოდიეთ. ცენტრ. ბიურომ შეასრულა თავისი გადაწყვეტილება და გაცნობათ, რომ თქვენ თავს ამიერიდან ნუ სთვლით ჩვენს წრეში მყოფად. თქვენ ეს არ გავისაჩივრებიათ და ამის შემდეგ ჩვენ ორგანიზაციებს ყოველ-გვარი კავშირი აქვთ შეწყვეტილი თქვენთან. თუ თქვენ გესურვებთ მომავალშიც მოვეცემათ საშუალება, რომ წარსდგეთ პარტიულ სასამართლოს წინაშე. ხოლო თუ თქვენ ამას ვერ სჩადიხართ, რა იურიდიული და ზნეობრივი ფასი უნდა მიეცეს ყველა თქვენს გამოხვედებს და დეკლარაციებს?

თქვენსავით უწესო საშვალელებით კიდევ რამოდენიმე პირი აწარმოებდნენ ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ ინტრიგებს ამ სამი წლის განმავლობაში და ისინი სხვა უწესოებებთან ერთად აშკარა „პაღლოვს“ და ფალსიფიკაციებს აწყობდნენ. ამ ყამად თქვენც ამ გზით მიდიხართ. როდესაც სარეგისტრაციო ბარათები გამოგიგზავნათ ბიურომ, თქვენ მას აცნობეთ, რომ ბერლინში მხოლოდ ორი წევრი ხართ ერ.-დემ. პარტიისა. ეხლა გარეშეებს უგზავნით დეკლარაციებს და სწერთ, რომ ათი წევრი ხართ ორგანიზაციაში. ამ ხნის განმავლობაში ბერლინს არავინ მომატებია ჩვენი პარტიის წევრი და საიდან გახდა ის ათი? შეიძლება სხვა პარტიის ხალხი მონათლეთ ნაც.-დამოკრატათ, მაგრამ ეს თუ ასეა, გვაცნობეთ ვინ ბრძანდებიან ისინი და როგორ კისრულობენ მისვლისთანავე პარტიის მეთაურთა ნდობა-არნდობის საკითხის გადაჭრას, როდესაც ამ პარტიასთან და მის მეთაურებთან დღემდე არავითარი კავშირი არ ჰქონიათ?

დასასრულ თქვენ აცხადებთ, რომ „მთელი პარტიის სახელით მოქმედება, მოლაპარაკების წარმოება, ან ვინმესთან შეთანხმებაში შესვლა შეუძლია მხოლოდ იმ პირს, რომელსაც აქვს პარტიის ყველა და საყოველთაო კონფერენციათა მანდატი და უფლება-მოსილობა“. თქვენ რომ პარტიულს საქმეში ჩახედილი იყვეთ, გეცოდინებოდათ, რომ ასეთი პიროვნული მანდატი და უფლებები ბ-ნ სპ. კედიას და არც სხვა ვისმესთვის ჩვენს პარტიას არასოდეს არ მიუნიჭებია. ბ-ნ სპ. კედიას ისეთივე უფლებები ენიჭებოდა მუდამ, როგორც მთავარი კომიტეტის სხვა წევრებს, ხოლო თუ მთავარი კომიტეტის წევრებმა თავის თავმჯდომარეთ აირჩიეს, ეს ამ წევრების უფლება იყო და არა ბ-ნ სპ. კედიასი. 1926 წელს ბ-ნ სპ. კედია დასცილდა მთავარი კომიტეტის წევრთა ერთს ნაწილს და 1929 წელს დანარჩენებსაც. რომელს მანდატზე შეიძლება ლაპარაკი ამის შემდეგ ბ-ნო ტიტე! შემგევ თქვენ პირადათ ესხმით ბ-ნ ალ. ასათიანს და უთუოდ ფიქრობთ, რომ ამ ანკესზე ვინმე წამოეგება. თქვენ ბრძანებთ, რომ „ბ-ნი ალ. ასათიანის მოქმედება მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ საფუძვლებს, რომ მას პარტიისაგან არავითარი მანდა-

ტი არ აქვს და მოკლებულია აგრეთვე ნდობასაც-ო“ და სხ. ზემოთ მოგახსენეთ, რომ მას, ბ-ნ ალ. ასათიანს, როგორც მთავარ კომიტეტის წევრს, და თავმ. მოადგილეს ჰქონდა და აქვს ყველა ის იურიდიული უფლებები, რომელიც მითვისებული აქვს ამ თანამდებობებს, ხოლო ფაქტიური მდგომარეობა მისი პარტიაში იყო მუდამ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ვიდრე ეს მისი იურიდიული უფლებები, ეს თქვენ კარგათ მოგეხსენებათ. რაც შეეხება ბ-ნ ასათიანისადმი ნდობის საკითხს, ჩვენს პარტიაში, როგორც ყველა სხვა პარტიებში ყოფილა დავა და აზრთა უთანხმოება და დროებითი განხეთქილებანიც, მაგრამ ბ-ნ ალ. ასათიანის შესახებ უნდობლობის საკითხის დაყენებას, ანუ მის წინააღმდეგ პიროვნული ბრძოლის ატეხას არასოდეს ჰქონია ადგილი. და ვისთვის რა ფასი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თქვენს ნდობასა თუ უნდობლობას? ყოველ შემთხვევაში ამ იურიდიულ უფლებისა და ნდობის შესახებ თქენი აზრის არ არის ის პირი, რომელსაც თქვენ ზურგს უკან ეფარებით. როდესაც ბ-ნ სპ. კედია ფორმალურად გადადგა მთ. კომიტეტს თავმჯდომარეობის თანამდებობიდან, მან 1928 წელს 5 ივლისს სწორეთ ბ-ნ ალ. ასათიანს გადასცა, როგორც თავმჯდომარის მოადგილეს ეს თანამდებობა ოფიციალური გადადგომის ბარათით. ეს თქვენ კარგათ მოგეხსენებთ ბ-ნო ტიტე და სარგებლობთ იმით, რომ ცენტრ. ბიუროს არ გამოუქვეყნებია ჩვენი შინაპარტიული საქმეების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები და ფართე საზოგადოებაში ყალბს აზრებსა და ამბებს ავრცელებთ ჩვენი ორგანიზაციებისა და მის ხელმძღვანელთა შესახებ.

დასასრულ უნდა დავარწმუნოთ ბ-ნო ტიტე, რომ 15-17 წლის მანძილზე ვართ ნამუშევარი პარტიაში და მის საქმეს, მის მიმართულებას და მასში ვინ რას წარმოადგენს, კარგათ ვეცანით. რაც შეეხება იმას, თითქოს ჩვენგან ვინმემ განიცადა ბოლშევიკური მეთოდით ტანჯვა და ამის გამო ადგილი ჰქონდა ჩვენს კონფერენციაზე „მონანიების ღალადის“, ეს უკვე ისეთი ფანტაზიაა, რომ ჯანსაღ ადამიანის ფანტაზიასაც სცილდება. ვის რა ძალდატანების და ტანჯვის მოყენება შეუძლია აქ ჩვენთვის ვარდა იმ ზნეობრივი ტანჯვისა, რომელსაც თქვენ და კიდევ ზოგიერთების უწესო მოქმედება გვაყენებს? ჩვენ ჩეკის ტანჯვას არ შეუღმინებიათ, ბ-ნო ტიტე, და ძალზე ახირობულია ამ საგანზე სიტყვის ჩამოგდება თქვენს მიერ, როდესაც თქვენ ამ ჩეკის შორეულ აჩრდილსაც ვერ გაუძეულით და დეზერტირობა ჩაიდინეთ 1921 წელს, მარტში, როდესაც სხვა თქვენი ამხანაგები საშიშ მებრძოლ პოზიციებზე დარჩნენ. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გვინდა ერთი რჩენა მოგვცეთ ბატონო ტიტე: მართალია თქვენ უფროსი ბრძანდებით ხნითა და მოღვაწეობით, მაგრამ ამ ჩვენს პარტიულ საქმეებთან, თქვენც დავგიჯერეთ,

ჩვენ უფრო ახლო ვიყავით და ვართ და ეს ჩვენი რჩევა ამ მხრივ საფუძველს მოკლებული არ იქნება: როგორც წინეთ იყავით დაშორებული ამ ჩვენ პარტიულ საქმეს, ბ-ნო ტიტე, ისევე უნდა დარჩეთ ამ მახლობელ წლებში მაინც. თქვენმა აფუსფუსებამ ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში დიდი უსიამოვნებები მიაყენა ჩვენს ორგანიზაციებს და შებღალა ამასთანავე მისი სახელი მანდ, ბერლინში და თქვენი პიროვნული ღირსებაც საკმაოდ შელახა. ყოველივე ამის გამოსწორებისათვის სხვა გზა და სხვა მოქმედება საჭირო და არა ის, რომელიც თქვენ გაქვთ აღებული.

**ყრილობის პრეზიდიუმში და საორგანიზაციო კომისია:**  
სევ. ჭირაქაძე, დიმ. უგრეხელიძე, გ. ინჯია, ალ. აბაშიძე,  
ბ. ქოჩაკიძე, ალ. ფაშალიშვილი და ივ. ასათიანი.

1932 წ. 10 საქტემბერი.

### პარტიულ ორგანიზაციებსა და წევრებს

ეროვნულ-დემ. პარტიის ცენტ. ბიურომ და საორგანიზაციო კომისიამ მიიღეს ტ. მარგველაშვილის, და „ივერია-გუშაგის“ გამოსვლების შესახებ დუბის, ლიონის და ნორმანდიის ორგანიზაც. დადგენილებანი, სადაც ეს გამოსვლები ერთხმად არის დაგმობილი. ჩვენ არ ვბეჭდავთ ამ რაზოლიუციებს, ვინაიდან ისინი საკმაოდ ვრცელი არიან და ამასთანავე მათში მოყვანილია უმთავრესად იგივე საბუთები და მოსაზრებები, რაც ზემოდ მოთავსებულ წერილებში მოიპოება. ამის გარდა ჩვენ საკმარისად მივიჩნიეთ ამ გამოსვლებზე პასუხის გაცემა ფაქტიური მასალებით და არ გადაგვაქვს ის ორგანიზაციებში, რადგან ყველა ამ კითხვებზე ჩვენს ორგანიზაციებს დიდი ხანია მტკიცე გადაწყვეტილებები აქვთ მიღებული და არც წინეთ და არც „ივერია-გუშაგი“-ს გამოსვლის შემდეგ ჩვენი ორგანიზაციის წევრებიდან არავის დაუნახავს საჭიროდ ამ დადგენილებათა გადასინჯვა.

საორგანიზაციო კომისია.

სარედაქციო კოლეგია.

Le Gérant L. OTTOLINI.

Imp. de Navarre, 5, rue des Gobelins, Paris.





ქართული  
ლიბრარი

6-486